178/
1971/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა სამართალი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

1971 3

საბჭოთა სამართალი № 3

მაისი—ივნისი

1971 წელი

გამოცემის XVIII წელი

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს ორგანო
ორთვიური ჟურნალი

შინაარსი

ცნობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1971 წლის 13 ივნისის არჩევნების შედეგების შესახებ 3

საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავისათვის

სახელოვანი იუბილე 5

დ. სტურუა — ბრძოლისა და გამარჯვების სახელოვანი გზა 9

საბჭოთა ხელისუფლების პირველი საკანონმდებლო აქტები 21

ა. გობრონიძე — მუდმივი კომისიების როლი ამომრჩეველთა განაწესების შესრულებაში 41

გ. იოსავა, გ. დევდარიანი — კოლმეურნეთა სარჩელებით აღძრულ საქმეთა განხილვის სასამართლო პრაქტიკა 46

გ. პეტროვი — მოქალაქე და თანამდებობის პირი საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოში 53

ა. მიქაძე — განზრახვის ინტელექტუალური ელემენტის ზოგიერთი სადავო საკითხი . 60

ზ. წულაია — საფეიქრო მრეწველობის საწარმოებიდან პროდუქციის გატაცების ხერხებისა და მათი დადგენის მეთოდების შესახებ 71

იურიდიული კონსულტაცია მოსახლეობას

ვ. შარაშენიძე — მუშაობის უწყვეტი სტაჟის შენარჩუნების წესი 78

ჩვენი პუბლიკაცია 33

მოთხრობა

დ. ასკურავა — ფაქტების პირისპირ 85

ინფორმაცია 91

11904

ეროვნული ბიბლიოთეკა

СОДЕРЖАНИЕ

Сообщение Центральной избирательной комиссии по выборам в Верховный Совет Грузинской ССР об итогах выборов в Верховный Совет Грузинской ССР 13 июня 1971 года 3

К 50-ЛЕТИЮ СОВЕТСКОЙ ГРУЗИИ И КОМПАРТИИ ГРУЗИИ

Славный юбилей 5
Д. Стуруа — Славный путь борьбы и побед 9
Первые законодательные акты Советской власти 21

А. Гобронидзе — Роль постоянных комиссий в выполнении наказов избирателей 41

Г. Иосава, Г. Девдариани — Судебная практика рассмотрения дел, возбужденных по искам колхозником 46
Г. Петров — Гражданин и должностное лицо в Советском социалистическом государстве 53
А. Микадзе — Некоторые спорные вопросы интеллектуального элемента умысла 60
З. Цулая — О способах хищения продукции из предприятий текстильной промышленности и методах их установления 71

ЮРИДИЧЕСКАЯ КОНСУЛЬТАЦИЯ НАСЕЛЕНИЮ

В. Шарашенидзе — Порядок сохранения непрерывного стажа работы . . 78

Наша публикация 83

РАССКАЗ

Д. Аскурава — Перед лицом фактов 85

Информация 91

შეკვ. № 2547
ტირაჟი 23.150
უე 02109

სარედაქციო კოლეგია
ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ვ. აბაშმაძე,
ბ. ბარათაშვილი, თ. დადიანი, გ. ინწკირველი,
აკ. კარანაძე, მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე,
ზ. რატიანი, ა. ტაკიძე, ვ. ქვაჩახია,
თ.წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი — 99-09-62.

გადაეცა წარმოებას 15/VI-71 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/VII წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი, 6, პირობითი საბეჭდი ფურცელი 8,4, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,87.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14,
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1971 წლის 13 ივნისის არჩევნების შედეგების შესახებ

კვირას, 1971 წლის 13 ივნისს, გაიმართა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობდა მაღალი შრომითი და პოლიტიკური აქტივობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისა და საბჭოთა საქართველოს ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის ფართოდ გაშლილი მოძრაობის ვითარებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის შექმნილი იყო 400 საარჩევნო ოლქი. ხმის მიცემა საარჩევნო უბნებში დაიწყო დილის 6 საათზე და დამთავრდა საღამოს 10 საათზე ადგილობრივი დროით.

არჩევნები ჩატარდა ოთხასსავე საარჩევნო ოლქში.

საოლქო საარჩევნო კომისიებმა, არჩევნების დებულების სრული შესაბამისობით, დათვალეს ხმები, შეაჯამეს არჩევნების შედეგები თვითეული ოლქის მიხედვით და ხმის მიცემის შედეგები წარუდგინეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

საოლქო საარჩევნო კომისიების მონაცემების მიხედვით ამომრჩეველთა სიებში შეტანილი იყო 2.821.739 კაცი, მათგან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2.821.713 კაცმა, ანუ 99,99 პროცენტმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს ხმა მისცა არჩევნების მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვიდან 2.821.522 კაცმა, ანუ 99,99 პროცენტმა. დეპუტატობის კანდიდატების წინააღმდეგ ხმა მისცა არჩევნების მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვიდან 190 კაცმა, ანუ 0,01 პროცენტმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის ყველა კანდიდატმა, რომლებიც კენჭს იყრიდნენ 400 საარჩევნო ოლქში, ხმების აბსოლუტური უმრავლესობა მიიღო და „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 93-ე მუხლის შესაბამისად არჩეულია დეპუტატად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა ახალი ძალით ცხადყო საბჭოთა დემოკრატიის გამარჯვება, რესპუბლიკის მშრომელთა მონოლითური ერთიანობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ თავის 16 ივნისის სხდომაზე განიხილა საოლქო საარჩევნო კომისიების მასალები არჩევნების შედეგების შესახებ თვითეული საარჩევნო ოლქის მიხედვით და „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 38-ე მუხლის საფუძველზე რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ოთხასსავე საარჩევნო ოლქში არჩეული დეპუტატები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა შემადგენლობაში არჩეულია 109 მუშა, ანუ დეპუტატთა 27,3 პროცენტი, 92 კოლმეურნე — ანუ 23,0 პროცენტი, 141 ქალი, ანუ 35,3 პროცენტი, 136 უპარტიო, ანუ 34,0 პროცენტი, 66 დეპუტატი, ანუ 16,5 პროცენტი 30 წლამდე ასაკისაა, ხოლო 263 დეპუტატი, ანუ 65,8 პროცენტი, არ ყოფილა საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში ყველა არჩეული დეპუტატი კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის ღირსეული წარმომადგენელია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების
ცენტრალური საარჩევნო კომისია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელოვანი იუბილე

ქართველმა ხალხმა საბჭოთა კავშირის მოძმე ერებთან ერთად დიდი აღ-
მავლობისა და ზეიმის ვითარებაში აღნიშნა ლირსშესანიშნავი თარიღი თავისი
უახლესი ისტორიისა — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა
და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის ორმოცდაათი წლისთავი.
განვითარების ძნელი და რთული გზა განვლო საქართველომ. დიდი მსხვერპლი
გაიღო ქართველმა ხალხმა, რათა თავი დაეღწია სოციალური და ეროვნული ჩაგ-
ვრის უღლისაგან. მტრის ურიცხვი ველური ურდოები საუკუნეების მანძილზე
აპარტახებდნენ ჩვენს ქვეყანას, ფერფლად აქცევდნენ მის ქალაქებსა და სოფ-
ლებს, უდაბნოებს ამსგავსებდნენ აყვავებულ ბაღნარებსა და ვენახებს, სპობდნენ
ხალხის მატერიალური კულტურის საგანძურს, მამაცი და შრომისმოყვარე
ქართველი ხალხი მალე იშუშებდა მძიმე ჭრილობებს, დაუღალავად აღადგენდა
ციხე-სიმაგრეებსა და შესანიშნავ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს, გაჰყავდა ახალი
არხები, საფუძველს უყრიდა ზვრებსა და ხეხილის ბაღებს. კვლავ უბრუნდე-
ბოდნენ ნორმალურ ცხოვრებას მთაცა და ბარიც.

ქართველი ხალხის მშვიდობიანი განვითარებისათვის, მისი მეურნეობისა
და კულტურის აღორძინებისათვის უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო სა-
ქართველოს ნებაყოფლობით შეერთება რუსეთის მძლავრ სახელმწიფოსთან.
„ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მიუხედავად, — აღნიშნა ამხანაგმა ვ. პ. მჟა-
ვანაძემ მოხსენებაში საიუბილეო სხდომაზე ქ. თბილისში 1971 წლის 14 მაისს,—
ამ კავშირმა ხელი შეუწყო საქართველოს განვითარებას, ქართველი ხალხის და-
ახლოებას რუს ხალხთან და რუსეთის სხვა ხალხებთან, რუსეთის განმათავისუფ-
ლებელ მოძრაობაში ჩაბმას“[1].

XX საუკუნის გარიჟრაჟზე ქართველი ხალხი მხარში ამოუდგა რუსეთის
მშრომელებს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლაში და
მრავალი სასახელო ფურცელი ჩაწერა რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში.
„საქართველოს მუშათა კლასის განმათავისუფლებელი ბრძოლა თვითმპყრობე-
ლობისა და ბურჟუაზიული ბატონობის წინააღმდეგ ორგანულად იყო დაკავ-
შირებული სრულიად რუსეთის მუშათა მოძრაობასთან. ცარიზმის წინააღმდეგ
გააფთრებულ ბრძოლაში საქართველოს მუშათა კლასმა მოიპოვა საპატიო უფ-
ლება ეწოდებოდეს რუსეთის პროლეტარიატის მებრძოლი რაზმი,“[2] —აღნიშნა
საიუბილეო სხდომაზე ვ. პ. მჟავანაძემ.

---

[1] გაზეთი „კომუნისტი“, 1971 წლის 15 მაისი.
[2] გაზეთი „კომუნისტი“, 1971 წლის 15 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელიც შემობრუნების პუნქტი იყო კაცობრიობის ისტორიაში, ახალი შესანიშნავი პერსპექტივები დასახა მეფის ჩაგრული განაპირა რაიონების ხალხებისათვის, მათ შორის ქართველი ერისთვისაც. მაგრამ ქართველი ხალხის დაუძინებელმა მტრებმა— მენშევიკებმა, უცხოელი ინტერვენტების დახმარებით დროებით ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება და საქართველო სამი წლით მოსწყვიტეს რევოლუციურ რუსეთს. ეს იყო ჩვენი ისტორიის შავბნელი ხანა. ქართველი ხალხი, რომელსაც ხელმძღვანელობდა კომუნისტური პარტია, არ ურიგდებოდა ამ უსამართლობას და იარაღით ხელში იბრძოდა საძულველი მენშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის.

1921 წლის 25 თებერვალს ეს ბრძოლა წარმატებით დაგვირგვინდა. საქართველოში გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ. იმავე დღეს თბილისიდან მოსკოვში ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის სახელზე ს. ორჯონიკიძის ხელმოწერით გაიგზავნა ისტორიული დეპეშა: „თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელსუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს“. ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში დაიწყო ახალი ერა — განახლებისა და აყვავების ერა, ეკონომიკისა და კულტურის გარდაქმნის ხანა.

კომუნისტური პარტიის დამაარსებელი და ბელადი ვ. ი. ლენინი დიდ ყურადღებას აქცევდა მოვლენების განვითარებას საქართველოში, აძლევდა ბრძნულ მითითებებს ქართველ კომუნისტებს საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და სოციალისტური მშენებლობის აქტუალურ საკითხებზე. განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა ამ მხრივ საქართველოსა და კავკასიის კომუნისტების სახელზე გამოგზავნილმა ლენინის სახელმძღვანელო წერილებმა და სხვა დოკუმენტებმა.

ვ. ი. ლენინმა საქართველოსა და კავკასიის კომუნისტებს ამოცანად დაუსახა ხალხის სამსახურში ჩაეყენებინათ მხარის მდიდარი წიაღისეული სიმდიდრეები, განევითარებინათ მორწყვა და ჰიდროენერგეტიკული რესურსები. საქართველოს კომპარტია შეუდგა დიდი ლენინის მითითებების შესრულებას.

ორმოცდაათი წელი — ეს ისტორიულად მოკლე მონაკვეთი სავსებით საკმარისი აღმოჩნდა ბუმბერაზული ნახტომისათვის ჩამორჩენილობიდან პროგრესისაკენ. ნახევარი საუკუნის მანძილზე სსრ კავშირის ყველა ხალხთან ძმური თანამეგობრობით საქართველოს მშრომელებმა მოახდინეს ძირეული ისტორიული გარდაქმნანი. საბჭოთა საქართველო გადაიქცა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ერთ-ერთ მაღალგანვითარებულ რესპუბლიკად. საბჭოთა ხელისუფლების წლებში სამრეწველო წარმოების მოცულობა 85-ჯერ გაიზარდა.

საქართველოს გლეხობის ბედისათვის ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა დაქსაქსული მეურნეობის გაერთიანებას, სოფლის სოციალისტურად გარდაქმნას, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებას. ამის შედეგად საქართველო გადაიქცა მრავალდარგოვანი ინტენსიური სოფლის მეურნეობის ქვეყნად, რომელიც აღჭურვილია უახლესი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით. საქართველოს სოფლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობის მუშაკები ყოველწლიურად ადიდებენ ჩაის ფოთლის, ყურძნის, ციტრუსების, ეთერზეთოვანი კულტურის წარმოებას. დიდად განვითარდა მეხილეობა, მეთამბაქოობა, მეაბრეშუმეობა და სხვ.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში თვალსაჩინო მიღწევებია ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური ქართული კულტურის მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში.

„საბჭოთა საქართველო მარტო მთლიანი წიგნიერების რესპუბლიკა როდია. ახლა საბჭოთა საქართველოს აქვს მოსახლეობის განათლების ისეთი დონე, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მსოფლიოში. ყოველ 1.000 მომუშავეზე 711 კაცს აქვს უმაღლესი, საშუალო და არასრული საშუალო განათლება“[3] (ვ. პ. მჟავანაძე).

ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხისათვის, ქართველი ერისთვისაც დიდი გამოცდა იყო სამამულო ომი, რომელიც ჩვენს ხალხს თავს მოახვიეს გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა. ჩვენი დიადი სამშობლოს დასაცავად აღდგა ქართველი ხალხიც. ბევრი მამაცთა სიკვდილით დაეცა ბრძოლის ველზე. საქართველომ ექვსასი ათასზე მეტი მეომარი მისცა ფრონტს, ყოველი მესამე ველარ დაუბრუნდა მშობლიურ კერას. „ქართველი ხალხის ათიათასობით მამაცმა შვილმა, —აღნიშნა თავის სიტყვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა სიტყვაში საიუბილეო საღამოზე, — თავისი სახელი დიდების შარავანდედით შემოსა. 137 მათგანს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, ორასორმოც ათასზე მეტი დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით“[4].

რესპუბლიკის მშრომელთა შესანიშნავი მიღწევები განუყრელად დაკავშირებულია საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობასთან, რომელიც დიდ მუშაობას ეწევა კომუნისტური მშენებლობის დიდებული გეგმების შესასრულებლად, ზრდის მშრომელებს საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

დიდია საბჭოთა საქართველოს დღევანდელი წარმატებანი, მაგრამ კომუნისტებს არ სჩვევიათ იცხოვრონ გუშინდელი მიღწევებით. საქართველოს მშრომელებს, თვითეულ ქართველს კარგად ესმის, თუ რაოდენ დიდია ახალი ამოცანები და პერსპექტივები, რომლებიც ჩვენს წინაშე დასახა XXIV ისტორიულმა ყრილობამ.

ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების სულისკვეთებით, ამ განწყობილებით ცხოვრობს და შრომობს დღეს ქართველი ხალხი. ამ განწყობილებით ჩაიარა ქართველი ხალხის დიდმა ეროვნულმა ზეიმმაც. ზეიმს განსაკუთრებული ელფერი მიეცა იმის გამოც, რომ მას დაესწრო და სიტყვით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ილიას-ძე

---

[4] გაზეთი „კომუნისტი“, 1971 წლის 15 მაისი.
[3] გაზეთი „კომუნისტი“, 1971 წლის 15 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრეჟნევი. ზეიმზე მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ აგრეთვე ქ. მოსკოვის, ქ. ლენინგრადის, მოკავშირე რესპუბლიკების, მეზობელი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების და სხვა დელეგაციები.

თავის სახელოვან ნახევარსაუკუნოვან იუბილეს სამგზის ორდენოსანი საბჭოთა საქართველო შეხვდა დაბრძენებული, დიდი მიღწევებით სამეურნეო და კულტურული ფრონტის ყველა უბანზე. ეჭვი არ არის, რომ საქართველოს მშრომელები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კვლავაც ისახელებენ თავს, რეალურად განახორციელებენ პარტიის გეგმებს, თავიანთ დიდ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლისა და გამარჯვების სახელოვანი გზა

დ. სტურუა,

სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური ფორმაციისათვის ორმოცდაათი წელი ერთნაირი ორმოცდაათი წელი როდია. ნახევარ საუკუნეს არსებითი ცვლილებები როდი შეუტანია წინასოციალისტურ ეპოქაში, თუმცა ამ დროის მანძილზე ხდებოდა ხოლმე ერთგვარი მნიშვნელოვანი ცვლილებანი ქვეყნებისა და ხალხთა ცხოვრებაში.

თუ კაპიტალისტურ წყობილებას ფეოდალური წყობილების დასამარცხებლად დაახლოებით სამი საუკუნე დასჭირდა, თანაც ზოგან მსოფლიოში ისინი დღესაც მშვიდობიანად თანაარსებობენ, კომუნისტური ფორმაციისათვის 50 წელი როგორც მატერიალური წარმოების სფეროში, ისე საზოგადოების პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების სფეროში მომხდარი ძირეული მსხვრევის პერიოდია. ეს პერიოდი ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის პირველი ფაზის აშენებით დაგვირგვინდა.

სსრ კავშირის ხალხთა მიერ, მათ შორის ქართველი ხალხის მიერ საბჭოთა ხელისუფლების 50 წლის მანძილზე მოპოვებული წარმატებები დამაჯერებლად მოწმობენ სოციალისტური საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების უდავო უპირატესობას.

საბჭოთა საქართველოს და მისი კომუნისტური პარტიის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე ლენინის უკვდავი იდეების გამარჯვების, მისი ბრძნული ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების ნათელი დადასტურებაა.

ქართველი ხალხის მიერ 50 წლის მანძილზე განვლილ გზას თუ გადავხედავთ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ახალი ცხოვრების შენება ისეთი მასალისაგან მოგვიხდა, რომელიც მემკვიდრეობად მივიღეთ კაპიტალისტური და თვით პატრიარქალურ-ფეოდალური წყობილებისგანაც კი.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს მშრომელებმა ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით და საბჭოთა რუსეთის დახმარებით დაამხეს საძულველი მენშევიკთა უღელი და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება.

საქართველო სოციალისტური ქვეყნების ძმურ ოჯახში შევიდა. დაიწყო ახალი, ბედნიერი ერა საქართველოს მშრომელთა ისტორიაში.

XIX საუკუნის დამდეგს ქართველმა ხალხმა თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა დიდ რუს ხალხს. მეფის თვითმპყრობელობის კოლონიზატორული პოლიტიკის მიუხედავად რუსეთთან საქართველოს შეერთებას პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან საქართველომ თავი დაიხსნა უცხოელ დამპყრობთა განუწყვეტელი გამანადგურებელი შემოსევებისა და ფეოდალურ შინაბრძოლისაგან. შეიქმნა ხელსაყრელი პირობები ეკონომიკის განვითარებისა და იმისათვის, რომ ქართველი ხალხი ზიარებოდა მოწინავე რუსულ კულტურას და საერთო-რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობას.

ქართველი სამოციანელები ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი და სხვები არსებითად რუსეთის რევოლუციურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემოკრატიის ქართულ რაზმს შეადგენდნენ, რევოლუციური დემოკრატიისა, რომელიც მარქსიზმის წინამორბედი იყო რუსეთში.

XIX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში შეიქმნა პირველი მარქსისტული წრეები, ხოლო შემდეგ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, რომლებსაც წარმოშობის მომენტიდანვე რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ადგილობრივ ორგანიზაციებად მიაჩნდათ თავი. საქართველოს პარტიული ორგანიზაციები პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე შენდებოდა. ამიერკავკასიის და, კერძოდ, საქართველოს რევოლუციურ მარქსისტთა მოღვაწეობას მრავალეროვანი მხარის მშრომელთა ინტერნაციონალური შეკავშირებისათვის ვ. ი. ლენინი სანიმუშო მაგალითად უსახავდა რსდმპ სხვა ორგანიზაციებს.

ვ. ი. ლენინი წერდა: „მუშათა მოძრაობის ინტერესებსა და ამოცანებს შეეფერება ყველა ეროვნების ის სრული ერთიანობა (ადგილებზე, თავიდან ბოლომდე), რომელიც ასე დიდხანს და ასეთი წარმატებით ხორციელდებოდა კავკასიაში“[1].

საქართველოს პირველი მარქსისტული წრეებისა და ორგანიზაციების საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდნენ გადმოსახლებული რუსი რევოლუციონერები.

ვ. ი. ლენინს მუდამ კავშირი ჰქონდა საქართველოს რევოლუციურ მარქსისტებთან, სისტემატურად ეხმარებოდა მათ მუშაობაში. სწორედ ეს კავშირი იყო საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ძლიერების წყარო.

ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით საქართველოს ბოლშევიკები იბრძოდნენ, რათა განეხორციელებინათ ახალი ტიპის პარტიის აშენების ლენინური გეგმა, დაეცვათ ჩვენი პარტიის ლენინური იდეოლოგიური, ორგანიზაციული და ტაქტიკური პრინციპები. ქართველ ბოლშევიკთა არალეგალურ სტამბებს მთელ რუსეთის იმპერიაში ტოლს ვერ უპოვიდით, ხოლო ქართული არალეგალური პრესა მგზნებარედ უწევდა პროპაგანდას ლენინურ იდეებს, იბრძოდა რევოლუციური მარქსიზმის პრინციპების სიწმინდისათვის. ამიტომ შემთხვევით როდი იყო, რომ ვ. ი. ლენინი კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს ჩვენი პარტიის ყველაზე მებრძოლ ორგანიზაციებს უწოდებდა[2].

საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა გამოაწრთეს კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ისეთი თვალსაჩინო მოღვაწეები, როგორიც იყვნენ მ. გ. ცხაკაია, ფ. ე. მახარაძე, ა. გ. წულუკიძე, ვ. ზ. კეცხოველი, ი. ბ. სტალინი, გ. კ. ორჯონიკიძე, ს. გ. შაუმიანი, პ. ა. ჯაფარიძე, მ. ზ. ბოჭორიძე, მიმიხეილ და ზაქარია ჩოდრიშვილები, ი. თ. სტურუა, კამო (ს. ა. ტერპეტროსიანი), პ. ვ. მონტინი და სხვები.

ქართველი ლენინელები რომ დიდ მუშაობას ეწეოდნენ, ამას შესანიშნავად ადასტურებს მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის გაბედული გამოსვლები რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში. თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების არაერთი მაზრა ხელთ ეპყრა აჯანყებულ ხალხს, რომელმაც გადააყენა მეფის ადმინისტრაცია და ფაქტობრივად მუშათა და გლეხთა რევოლუციური დიქტატურა დაამყარა. ვ. ი. ლენინი ყურადღებით ადევნებდა თვალს საქართველოს და მთელი კავკასიის ამბებს, „სადაც მოძრაობა ყველაზე მეტად

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 19, გვ. 84.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 8, გვ. 497—498.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასცდა ძველ ტერორს, სადაც აჯანყება ყველაზე უკეთ არის მომზადებული, სადაც პროლეტარული ბრძოლის მასობრივი ხასიათი ყველაზე მძლავრად და ნათლადაა გამოხატული"[3].

როგორც ცნობილია, რსდმპ III ყრილობაზე ვ. ი. ლენინის თანამომხსენებლად გლეხთა საკითხის ირგვლივ მ. გ. ცხაკაია გამოვიდა. ეს პატივი მას წილად ხვდა იმიტომ, რომ ყრილობის დელეგატებისათვის გაეცნოთ საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების მდიდარი გამოცდილება, შეძენილი მშრომელ გლეხობაში მუშაობის დროს, რევოლუციური მუშებისა და გლეხების კლასობრივი კავშირის შედუღაბების დროს.

რეაქციის წლებში საქართველოს ბოლშევიკურ ორგანიზაციებს მეფის მთავრობის უსასტიკესი რეპრესიები დაატყდათ თავს. მენშევიკური და წვრილ-ბურჟუაზიული პარტიები ცილს სწამებდნენ ბოლშევიკებს, ვ. ი. ლენინს და ლენინელებს აბრალებდნენ, ავანტურისტები ხართო. ისინი ამბობდნენ, ხელში არ უნდა აგვეღო იარაღი, რადგან რუსეთის მუშათა კლასი მზად არ არის რევოლუციის ჰეგემონის როლის შესასრულებლადო. რეპრესიებისგან დამფრთხალმა მენშევიკმა კაპიტულანტებმა და მერყევმა ელემენტებმა იწყეს პარტიიდან გასვლა. ამ წლების მანძილზე პარტიაში ჩამოყალიბდა ანტიპარტიული მიმდინარეობანი — ლიკვიდატორობა, ოტზოვიზმი და ცენტრიზმი. საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები მიუხედავად იმისა, რომ რეპრესიებისაგან იყვნენ დასუსტებულნი, იბრძოდნენ პარტიის რიგების შენარჩუნებისა და ახალი რევოლუციური აღმავლობისათვის ძალთა მოკრების ლენინური ტაქტიკის განსახორციელებლად.

პარტიის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში, ოპორტუნისტული ელემენტებისაგან მისი რიგების გაწმენდისათვის, რევოლუციური მარქსიზმის პრინციპების სიწმინდისათვის ბრძოლაში უდიდესი როლი შეასრულა ბოლშევიკთა პრაღის კონფერენციამ. ამ კონფერენციის მომზადებაში აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს პარტიული ორგანიზაციები. პრაღის კონფერენციის მომწვევი ორგანიზაციული კომისიის საქმიანობა განუყოფელად არის დაკავშირებული ერთგული ლენინელის, პარტიის საყვარელი შვილის გ. კ. ორჯონიკიძის სახელსა და მოღვაწეობასთან. მისმა თვალსაჩინო ორგანიზატორულმა ნიჭმა ბევრ რამეში განაპირობა ორგანიზაციული კომისიის წარმატება.

პირველი მსოფლიო ომის წლებში საქართველოს ბოლშევიკები თავგამოდებით იბრძოდნენ იმისათვის, რომ განეხორციელებინათ ომის, ზავისა და რევოლუციის ლენინური დებულებანი, გადაეზარდათ იმპერიალისტური ომი სამოქალაქო ომად. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ მენშევიკთა და ესერთა შემთანხმებლურმა პარტიებმა ისარგებლეს იმით, რომ ბოლშევიკთა ორგანიზაციები დიდად დააზარალა და დაასუსტა რეპრესიებმა, ხელთ იგდეს უმრავლესობა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებში და ხელისუფლების ეს ორგანოები გადააქციეს დროებითი რევოლუციური მთავრობის დანამატად.

1917 წლის 9 მარტს შეიქმნა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი — დროებითი მთავრობის სამხარეო ორგანო. აქვე უნდა ითქვას, რომ ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი კოალიციური ორგანო იყო, რომელშიც შედიოდნენ სხვადასხვა ბურჟუაზიულ-მემამულური პარტიების წარ-

[3] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 10, გვ. 127.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომადგენლები, აგრეთვე მენშევიკი ა. ჩხენკელი. ამ პერიოდში ზოგიერთი ბოლშევიკური ორგანიზაციის, მათ შორის საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების უთუო შეცდომა იყო მენშევიკურ ორგანიზაციებთან გაერთიანება, რაც ეწინააღმდეგებოდა პრაღის კონფერენციის გადაწყვეტილებებს. ვ. ი. ლენინს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ პარტიას ძვირად უღირს თავისი რიგების ერთიანობა, მაგრამ კიდევ უფრო ძვირად უღირს რევოლუციური მარქსიზმის პრინციპების სიწმინდე. VII (აპრილის) კონფერენციის შემდეგ საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები დამოუკიდებლად გაფორმდნენ.

სრულიად რუსეთის აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად მებრძოლმა ქართველმა ბოლშევიკებმა მუშაობა გააჩაღეს მასებში, რათა უმრავლესობა მოეპოვებინათ საბჭოებში და საბჭოების მეშვეობით განეხორციელებინათ ხალხის ხელში სახელმწიფო ხელისუფლების გადასვლა. ეს იყო სოციალისტური რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების კურსი. მაგრამ ივლისში პეტროგრადში დატრიალებულმა ამბებმა — დემონსტრაციის დაბვრეტამ — ნათელყო, რომ ორხელისუფლებიანობა დამთავრდა. დროებითმა მთავრობამ ხელთ იგდო მთელი ძალაუფლება, ბოლშევიკებს სახელმწიფო ღალატი დააბრალა და გააძლიერა რეპრესიები მათ წინააღმდეგ.

ახალი ვითარების შესაფერი ტაქტიკის შესამუშავებლად შეიკრიბა პარტიის VI ყრილობა, რომელმაც კონტრრევოლუციური დროებითი მთავრობის დასამხობად შეიარაღებული აჯანყების კურსი აიღო.

2—7 ოქტომბერს თბილისში გაიმართა კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პირველი სამხარეო ყრილობა, რომელმაც შეიარაღებული აჯანყების მომზადების ძირითადი საკითხები განიხილა. ყრილობამ აირჩია ბოლშევიკთა კავკასიის სამხარეო კომიტეტი.

1917 წლის 23—26 ოქტომბერს თბილისში გაიმართა კავკასიის არმიის ბოლშევიკური ორგანიზაციების კონფერენცია, რომელიც აღფრთოვანებით შეხვდა ოქტომბრის რევოლუციის ამბავს და კავკასიის არმიის რევოლუციური ჯარისკაცების სახელით მისალმება გაუგზავნა ბალტიის ფლოტს, პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს და კაცობრიობის ისტორიაში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს პირველ თავმჯდომარეს ვლადიმერ ილიას ძე ლენინს.

როგორც კი გაიმარჯვა დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, ამიერკავკასიაში **კონტრრევოლუციურმა პარტიებმა** ბლოკი შეკრეს, შექმნეს ახალი კონტრრევოლუციური ორგანო — ამიერკავკასიის კომისარიატი, რომლის ჩამოყალიბებაში პირველხარისხოვანი როლი შეასრულეს უცხოელმა ინტერვენტებმა. ასე წარმოიშვა ამიერკავკასიის ბურჟუაზიული ფედერაციული სახელმწიფო, რომელიც საბჭოების რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად იქცა.

1917—1918 წლების მიჯნაზე საქართველოში რევოლუციურმა მოძრაობამ ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ფართო გაქანება მიიღო.

1918 წლის თებერვალში აღსდგა ლეჩხუმის მაზრის გლეხობა. მალე აჯანყებულებმა ხელთ იგდეს მაზრა და საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. აჯანყებულებსა და დამსჯელ მენშევიკურ რაზმებს შორის გაჩაღებული სისხლისმღვრელი ბრძოლები 1918 წლის ზაფხულამდე არ შეწყვეტილა.

1918 წლის მარტში აჯანყებამ აფხაზეთში იფეთქა. 26 მაისს მშრომელებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამა ხელთ იგდეს სოხუმი და აფხაზეთი საბჭოთა რესპუბლიკად გამოაცხადეს. მენშევიკებმა აჯანყებულთა წინააღმდეგ დამსჯელი რაზმები გაგზავნეს; მათ შორის ბრძოლა 1918 წლის სექტემბრამდე გაგრძელდა.

საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად ამავე პერიოდში აჯანყდნენ სენაკისა და ზუგდიდის მაზრების, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის გლეხები. რევოლუციურმა გამოსვლებმა მოიცვა საქართველოს თითქმის ყველა კუთხე, მაგრამ მენშევიკური კონტრრევოლუცია ამ გამოსვლებს ულმობლად ახშობდა.

კონტრრევოლუციური ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნა არსებითად იმას მოასწავებდა, რომ ამიერკავკასია მოსწყვიტეს საბჭოთა რუსეთს. 1918 წლის თებერვალს თბილისში გაიმართა სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების ამიერკავკასიელ დეპუტატთა, აგრეთვე სხვადასხვა კონტრრევოლუციური პარტიების წარმომადგენელთა სხდომა, რომელმაც აირჩია ხელისუფლების უმაღლესი ორგანო — ამიერკავკასიის სეიმი. მალე, 26 მაისს, სეიმი დაიშალა და შეიქმნა საქართველოს „დამოუკიდებელი“ რესპუბლიკა, რომელმაც ორიენტაცია იმთავითვე ევროპის იმპერიალისტურ სახელმწიფოებზე აიღო.

„საქართველოში გლეხთა აჯანყების პირველი პერიოდი, — აღნიშნავდა ფ. მახარაძე კომინტერის II კონგრესისათვის წარდგენილ მოხსენებაში (1920 წლის ივლისი — აგვისტო), — 1918 წლის თებერვალში იწყება და აგვისტოს დამლევს მთავრდება. ამ ხნის მანძილზე გერმანელი და თურქი იმპერიალისტების კატეგორიული, ულტიმატური მოთხოვნით ამიერკავკასია ძალით დაყვეს სამ ნაწილად: საქართველოდ, სომხეთად და აზერბაიჯანად (1918 წლის მაისში). სწორედ ეს სურდა ამიერკავკასიის ყველა შოვინისტურ, რეაქციულ და კონტრრევოლუციურ ჯგუფსა თუ ელემენტს, მათ შორის პირველ რიგში ქართველ მენშევიკებს. როგორც გერმანელი და თურქი იმპერიალისტებისათვის, ისე ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი რეაქციონერებისა და შოვინისტების კლასობრივი ინტერესებისათვის ხელსაყრელი იყო არა მარტო ის, რომ ამიერკავკასია ჩამოშორებოდა საბჭოთა რუსეთს, არამედ ისიც, რომ თვით ამიერკავკასია დაეყოთ პატარ-პატარა ნაჭრებად“[4].

ჩვენს პარტიის ისტორიის ლიტერატურაში სადავოდ გახდა საკითხი, იყო თუ არა საქართველოში რევოლუციური სიტუაცია ანუ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების რეალური შესაძლებლობა 1917 წლის დამლევს — 1918 წლის დამდეგს. წინამდებარე სტატიის ფარგლები საშუალებას არ გვაძლევს ვრცლად შევეხოთ აღნიშნულ პრობლემას, მით უმეტეს, რომ იგი საიუბილეოა, მაგრამ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური მთავრობის წინააღმდეგ მშრომელთა გამოსვლების მასობრივი ხასიათის დამადასტურებელი ზემოთ მოყვანილი ფაქტები უდავოდ მოწმობენ რევოლუციური სიტუაციის არსებობას. საქართველოს კომპარტიის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ცალკეული შეცდომა დაუშვა შექმნილი მდგომარეობის შეფასებაში და ერთგვარი გაუბედაობა გამოიჩინა (ეს აღნიშნული აქვს ვ. ი. ლენინს).

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შეფერხების ძირითადი მიზეზი კი ის იყო, რომ საქართველოს საქმეებში ჩაერივნენ ჯერ გერმანელი და თურქი, ხოლო შემდეგ ინგლისელი, ფრანგი და ამერიკელი ინტერვენტები. რაც შეეხება სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შინაგან ობიექტურ და სუბიექტურ წანამძღვრებს, ეს წანამძღვრები არსებობდა.

[4] მლიხფპა. აღწ. 7, საერთო განყოფილება, ს. 216/III, ფურც. 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას შემდეგ, რაც გერმანიამ და მენშევიკურმა საქართველომ 1918 წლის ივნისში შეთანხმება დადეს, საქართველოში გერმანელთა საოკუპაციო ჯარები შემოვიდნენ და თბილისში, ქუთაისში, გორში, ფოთსა და „დამოუკიდებელი" რესპუბლიკის სხვა ადგილებში დაბანაკდნენ.

გერმანელი ინტერვენტები ულმობლად ახშობდნენ მუშათა და გლეხთა რევოლუციურ გამოსვლებს. ბარონმა ფონ კრესმა მენშევიკ ხელისუფლებს შესთავაზა, ფოთი — ახალსენაკი — ზუგდიდი — ანაკლიას რაიონში — სადაც, როგორც კრების წერილში იყო აღნიშნული, „ბოლშევიკთა დიდი ბანდები იმყოფებოდნენ" — მოსახლეობის დასამშვიდებლად გერმანიის ჯარები გავგზავნოთო[5].

გერმანელებს საქართველოს ბატონ-პატრონად მოჰქონდათ თავი. ისინი აქედან ეზიდებოდნენ მარგანეცის მადანს, — ხე-ტყეს, მატყლს., აბრეშუმის პარკს, საკვებ პროდუქტებს, თუმცა ამ პერიოდში ქართველ ხალხს თვითონ უჭირდა ეს ყოველივე. ინტერვენტებმა თურქებს გასაძარცვავად მისცეს ოზურგეთის და ახალციხის მაზრების ნაწილი; საქართველოს „დამოუკიდებლობას" მეტად მჭევრმეტყველურად ახასიათებს ის ფაქტი, რომ თურქმა დამპყრობლებმა გერმანელ ოკუპანტთა ლოცვა-კურთხევით სახელი შეუცვალეს ბათუმის ქუჩებს.

ამ პერიოდის ამიერკავკასიის საქმეების მდგომარეობას რომ ეხებოდა, გ. კ. ორჯონიკიძე 1918 წლის სექტემბერში კავკავიდან დეპეშით ატყობინებდა ვ. ი. ლენინს: „საქართველოში გლეხთა აჯანყება გრძელდება; გერმანელები მონაწილეობას ღებულობენ რუს და სომეხ გლეხთა აჯანყების ჩახშობაში თეთრ წყაროში, თბილისიდან 40 ვერსზე, და სთავაზობენ თავიანთ სამსახურს აჯანყების ჩასახშობად სამეგრელოში..."[6].

პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების შემდეგ, 1918 წლის დეკემბერს, საქართველოში გერმანელი ოკუპანტები ინგლისელთა საოკუპაციო ნაწილებმა შეცვალეს. თბილისში პარპაშობდა აგრეთვე ამერიკის მისიის მეთაური ჯეკსონი. სხვათა შორის, მან დიდი უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ როცა „დამოუკიდებელი" საქართველოს დედაქალაქში იყო, ყველგან მენშევიკური გვარდიის წითელი დროშები ფრიალებდა. ჯეკსონმა საკმაოდ უხეშად განუმარტა მენშევიკ მმართველებს, წითელი ალამი სოციალიზმის და რევოლუციის ემბლემაა. იგი ქართველ მენშევიკთა ერთ-ერთ ლიდერს დ. თოფურიძეს შეეკითხა: ნუთუ მართლა სოციალისტურია საქართველოს მთავრობა. დ. თოფურიძემ უმალ დაამშვიდა აფოფინებული ამერიკელი, დააჯერა იგი, რომ ქართველ მენშევიკებს სოციალიზმთან საერთო არა ჰქონდათ რა.

ამ საინტერესო დიალოგს უშედეგოდ არ ჩაუვლია. მენშევიკებმა დაუყოვნებლივ ჩამოხსნეს ყველგან წითელი დროშები, თავიანთ გვარდიას კი, რომელსაც ადრე „წითელი გვარდია" ეწოდებოდა, „სახალხო გვარდია" უწოდეს. ცხადია, ეს გვარდია ისეთივე „სახალხო" გვარდია იყო, როგორც „წითელი".

ასევე მოურიდებლად მბრძანებლობდა ბათუმში სამხედრო გუბერნატორი კუკ-კოლისი, რომელმაც განკარგულება გასცა ადგილობრივი მოსახლეობა განაიარაღეთო, შემოიღო კავშირებისა და საზოგადოებათა ახალი წესები, რი-

---

[5] Борьба за победу Советской власти в Грузии. Документы и материалы, გვ. 324.

[6] გ. პ. ორჯონიკიძე. სტატიები და სიტყვები. ტ. I, თბილისი, 1957, გვ. 55 .

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაც ფაქტობრივად აკრძალა მათი საქმიანობა. აიკრძალა მუშათა და მოსამსახურეთა გაფიცვები, დათხოვნილ იქნა ბათუმის ოლქის მმართველი საბჭო.

ბრიტანეთის ჯარების სარდალმა ამიერკავკასიაში გენერალ-მაიორმა ფორესტიე უოკერმა აცნობა ნ. რამიშვილს — საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს — თავისი გადაწყვეტილება გაეგზავნა ყაზბეგში ბრიტანეთის რაზმი, ყველა სახეობის იარაღით აღჭურვილი, რათა დაეცვა დარიალის ხეობა ბოლშევიკებისაგან.

ეს და მრავალი სხვა ფაქტი შესანიშნავად მეტყველებს, თუ რას წარმოადგენდა სინამდვილეში მენშევიკური საქართველოს „დამოუკიდებლობა".

როცა 1919 წელს, დენიკინის ურდოების მოსკოვზე შეტევასთან დაკავშირებით, საბჭოთა რუსეთი აღმოჩნდა საშინელი განსაცდელის წინაშე, ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა აჯანყება მოაწყეს დენიკინის ზურგში, იმ მიზნით რომ ჩაეშალათ ამიერკავკასიის ბურჟუაზიული რესპუბლიკების სამხედრო მონაწილეობა პირველი სოციალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ ლაშქრობაში და დაებანდებინათ დენიკინის ძალების ნაწილი.

სექტემბერში რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმმა გადაწყვეტილება მიიღო მოეწყო შეიარაღებული აჯანყება დიდი ოქტომბრის რევოლუციის მეორე წლისთავის ზეიმის დღეებში. ოქტომბერ-ნოემბერში იარაღით ხელში გამოვიდნენ აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, ოზურგეთის, დუშეთის და სხვა მაზრათა მუშები და გლეხები. მართალია, ეს გამოსვლები ჩახშობილ იქნა, მაგრამ მათ ჩაშალეს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ლაშქრობაში საქართველოს ჩაბმის იმპერიალისტური გეგმები. დენიკინი იძულებული გახდა გადაესროლა კავკასიაში რამდენიმე პოლკი.

1919 წლის აჯანყების მნიშვნელობისა და მიზნის შესახებ კარგადაა ნათქვამი რუსეთის ფედერაციის სახკომსაბჭოს, კომუნისტურ ინტერნაციონალისა და წითელი არმიისადმი კავკასიის მშრომელთა მიმართვაში: „წითელი ფრონტის უმძიმესი კრიზისის ჟამს, როცა შავი გენერლის დენიკინის ბანდები გამოვიდნენ ორიოლიდან და დაადგნენ მოსკოვის ვზას, ჩვენ, რევოლუციური ინსტინქტით ვიგრძენით, რომ რევოლუციას დიდი საფრთხე მოელის და საქართველოში ბრძოლა დავიწყეთ გამარჯვების რაიმე იმედის უქონლად, რითაც საფრთხე შევქმენით დენიკინის ზურგში და გამოვეშურეთ თქვენდა საშველად. ჩვენივე მტრების აღიარებით, ჩვენ არ ვიშურებდით ძალ-ღონეს, სიცოცხლესა და საკუთარ ოჯახს, რათა გვეხსნა წითელი არმია დამარცხებისაგან, რადგან ვიცოდით, რომ თქვენი დამარცხება — ეს იყო ყველა ჩვენთაგანის სიკვდილი, ოქტომბრის რევოლუციის ყველა ჩვენ დიდ მონაპოვართა სიკვდილი, რომ საბჭოთა რუსეთის კატასტროფა იქნებოდა ყველა ქვეყნის მუშათა კლასის ყველა იმედისა და სურვილის დასამარება. ჩვენ დავმარცხდით.

მაგრამ წითელმა არმიამ, რომელმაც სასიკვდილო ლახვარი ჩასცა დენიკინის თეთრ არმიას, მოადგა კავკასიის საზღვრებს"[7]. შეუძლებელია დღესაც აუღელვებლად წავიკითხოთ ეს თავისი სიმძაფრით მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომლებიც სინამდვილეში გვიჩვენებს, თუ რას წარმოადგენს კლასობრივი სოლიდარობა, პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, ხალხთა ლენინური მეგობრობა.

---

[7] Борьба за победу Советской власти в Грузии. Документы и материалы, გვ. 549.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1920 წლის მაისის დამდეგს აჯანყებებმა კვლავ ახალი ძალით იფეთქა აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, და აგრეთვე საქართველოს ბევრ სხვა მაზრაში. თბილისელმა ბოლშევიკებმა სცადეს ხელთ ეგდოთ ძალაუფლება, მაგრამ მენშევიკებმა ამჯერადაც შეძლეს აჯანყების ჩახშობა. იმისათვის რომ გადაედო გარდუვალი აღსასრული, მენშევიკურმა მთავრობამ მიმართა რსფს რესპუბლიკას წინადადებით დაედოთ საზავო ხელშეკრულება. ხელშეკრულება გაფორმდა 7 მაისს. ამ ხელშეკრულების თანახმად მენშევიკებს ყოველგვარი კავშირი უნდა გაეწყვიტათ რუსეთის კონტრრევოლუციასთან, გაერეკათ საქართველოდან უცხოელი ინტერვენტები და მოეხდინათ ბოლშევიკური პარტიის ლეგალიზება.

1920 წლის 20 მაისს საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები გაერთიანდნენ საქართველოს კომუნისტურ პარტიაში (ბოლშევიკებისა). ქმედითი დახმარება საქართველოს კომუნისტებს გაუწია ს. მ. კიროვმა, რომელიც იმ ხანად მუშაობდა რსფს რესპუბლიკის სრულუფლებიან წარმომადგენლად საქართველოში.

ქართველი მენშევიკები სისტემატურად არღვევდნენ საბჭოთა რუსეთთან ხელშეკრულების პირობებს. გაძლიერდა ბოლშევიკების წინააღმდეგ რეპრესიები. კომუნისტებს ციხეებში ჰყრიდნენ, დაიხურა ბოლშევიკური გაზეთები. მენშევიკური საქართველო უწინდებურად რჩებოდა ერთ-ერთ კონტრრევოლუციურ კერად.

ქართველი მენშევიკები დიდ იმედს ამყარებდნენ საქართველოში II ინტერნაციონალის ლიდერთა ვიზიტზე. ამ სოციალ-გამცემლების, ბურჟუაზიის ლაქიების გასტროლების მიზანს წარმოადგენდა არა მარტო მსოფლიოში პირველი ისეთი სახელმწიფოს საქმიანობის გაცნობა, რომელსაც სათავეში ედგნენ მენშევიკები, არამედ ევროპის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა დახმარების ორგანიზაცია მარიონეტულ მენშევიკურ მთავრობისადმი. ზოგიერთმა, ზომიერების გრძნობადაკარგულმა ოპტიმისტურად განწყობილმა დელეგაციის წევრმა განაცხადა, რომ ისინი იმყოფებიან „სოციალისტურ სამოთხეში“, მაგრამ II ინტერნაციონალის ბელადს კარლ კაუცკის ეყო რეალობის შეგრძნების უნარი და მან საქართველოდან წასვლის შემდეგ განაცხადა, რომ ქვეყანა შეუჩერებლივ მიექანება ბოლშევიზმისაკენ.

ამომწურავი დახასიათება „სოციალისტურ სამოთხეს“, მისცა თვით ქართველი მენშევიკების ლიდერმა ნ. ჟორდანიამ. ეკონომიურ თათბირზე 1920 წლის ოქტომბერს, მან თქვა: „რამდენიმე ხნის წინათ ჩვენ ვამბობდით, რომ ეკონომიურად სწრაფი ნაბიჯებით მივდიოდით კატასტროფისაკენ. შემდგომში ჩვენ არაერთხელ გავიმეორეთ ეს, ასე რომ ამ სიტყვებს მივეჩვევენით კიდეც და აინუნშიაც არ ვაგდებდით ამას, მაგრამ... ახლა ყოველი ჩვენგანი გრძნობს, ყოველი ჩვენგანი მთელი სიმწვავით საკუთარ თავზე განიცდის მწარე სინამდვილეს. ჩვენ უკვე კატასტროფამდე მივედით“[8].

აი კიდევ ორი საინტერესო დოკუმენტი, რომლებიც ახასიათებენ ეროვნული კულტურის მდგომარეობას, უფრო სწორედ იმას, თუ სადამდე მიიყვანეს იგი ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების „დამცველებმა“. 1918 წელს, ქართველმა მწერლებმა გაუგზავნეს მენშევიკურ მთავრობას მემორან-

[8] Г. В. Хачапуридзе. Борьба грузинского народа за установление Советской власти. М., 1956, გვ. 232.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუმი, რომელშიაც ნათქვამი იყო: მწერლებს შიმშილისაგან სული ხდებათ... ქართველი მწერლებისათვის არ არსებობს არც ჰონორარი, არც ურთიერთდამხმარე სალაროები. ქართველი მწერალი მოკლებულია წიგნის გამოცემის შესაძლებლობას... ქართველ მწერლებს არა აქვთ არცერთი ჟურნალი, რომელშიაც ისინი დაიბეჭდებოდნენ... ეს უკვე თითქმის ეროვნული შეურაცხყოფაა, და თუ ეს ასე გაგრძელდა, ეს იქნება სირცხვილი ლიტერატურისთვისაც და საქართველოსთვისაც[9].

კიდევ უფრო საცოდავ დღეში იყო ქართული ეროვნული თეატრი. ამის შესახებ შესანიშნავად მეტყველებდა ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება". 1920 წლის თებერვლის ნომერში ვკითხულობთ: „მაშინაც კი, როცა ჩვენი ქვეყანა იმყოფებოდა ორთავიანი არწივის ბრჭყალებში, ქართული თეატრი იყო ერთადერთი დაწესებულება, წმიდა ტაბლა, სადაც მკვიდრობდა ქართველის კაცის პატიოსნება. და აი, დღეს კარი ამ თეატრისა დაგმანულია... მისი მუშაკნი, ძალ-ღონე გამოცლილნი, მშიერ-მწყურვალნი დაეხეტებიან". როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია.

1921 წლის თებერვლის დამდეგს გ. კ. ორჯონიკიძემ ბაქოდან აცნობა რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს: „საქართველო საბოლოოდ გადაიქცა მსოფლიო კონტრრევოლუციის შტაბად ახლო აღმოსავლეთში. იქ პარპაშობენ ფრანგები... პარპაშობენ ინგლისელები, იქ პარპაშობს ყაზიმ ბეი, ანგორის მთავრობის წარმომადგენელი"[10].

საქართველოში შექმნილ ეკონომიურ და პოლიტიკურ კრიზისიდან გამოსავალი ერთი იყო — ანტიხალხური მენშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ აჯანყება და მისი იძულებითი დამხობა. 1921 წლის 11 თებერვალს დაიწყო შეიარაღებული აჯანყება ბორჩალოს მაზრაში, რომელიც მალე მთელ საქართველოს მოედო. 16 თებერვალს შექმნილმა რევოლუციურმა კომიტეტმა ქართველი ხალხის სახელით მიმართა თხოვნით ვ. ი. ლენინს აღმოეჩინა დახმარება საქართველოს მშრომელთათვის, რომლებიც აღსდგნენ მენშევიკური ტირანიის წინააღმდეგ. ამ მიმართვაში ნათქვამი იყო:

11904

„საქართველოს მთავრობისათვის დასახმარებლად იჩქარიან ევროპის რეაქციის ძალები. ერთიანი შავი ლაშქრის შეჩერება ძალუძს მხოლოდ ერთიან წითელ სოციალისტურ ლაშქარს. ჩვენ იმედი გვაქვს, ჩვენ გვწამს, რომ არა მხოლოდ დიდი პროლეტარული რევოლუციისა, არამედ დიდი მატერიალური შესაძლებლობების ქვეყანა არ მიგვატოვებს უთანასწორო ბრძოლაში და დაეხმარება საქართველოს ახლადშობილ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას"[11].

საბჭოთა რუსეთი, ერთგული თავისი ინტერნაციონალური მოვალეობისა, დაუყოვნებლივ დაეხმარა აჯანყებულ ქართველ მუშებსა და გლეხებს. 1921 წლის 25 თებერვალს იშვა საბჭოთა საქართველო. დაიწყო ახალი ერა ქართველი ხალხის ისტორიაში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოს კომუნისტური პარტიის მმართველ პარტიად გადაქცევის შემდეგ, პარტიის წინაშე წამოიჭრა ახალი სოციალისტური წყობილების შექმნის ურთულესი ამოცანები. ქარ-

---

[9] იხ. ი. მ. კაჭარავა. საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში, თბილისი, 1958, გვ. 445.

[10] მოსკოვა, ფ. 85, აღწ. 15. შესან. ერთ. 72, ფურც. 3.

[11] Борьба за победу Советской власти в Грузии. Документы и материалы, გვ. 659.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველი კომუნისტების მოქმედების პროგრამა სოციალიზმის მშენებლობის პირველ ეტაპზე მოხაზა ვ. ი. ლენინმა, რომელიც წინანდებურად სისტემატურ დახმარებას უწევდა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს, წარმართავდა მთელ მათს მუშაობას. ლენინის მითითებანი დღემდე ინარჩუნებენ მთელ თავის აქტუალობას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება დაემთხვა ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების გადასვლას. ვ. ი. ლენინი ქართველი კომუნისტებისაგან მოითხოვდა გაეგოთ ახალი ეკონომიურ პოლიტიკის არსი, გაეთვალისწინებინათ საქართველოში სოციალისტური მშენებლობის თავისებური პირობები და შემოქმედებითად გამოეყენებინათ საბჭოთა რუსეთის გამოცდილება. ვ. ი. ლენინი, რომელიც კარგად იცნობდა კავკასიის, მათ შორის საქართველოს ეკონომიკას, ურჩევდა ქართველ ამხანაგებს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოთ სამთამადნო მრეწველობის, ელექტროფიკაციისა და რწყვის განვითარებისათვის (უნდა ითქვას, რომ ეს საკითხები ახლაც დგას საქართველოს კომპარტიის ყურადღების ცენტრში).

ვ. ი. ლენინმა კავკასიის კომუნისტებს ამოცანად დაუსახა უმოკლეს ვადაში აღმოეფხვრათ ეროვნული შუღლი ხალხებს შორის, გადაექციათ კავკასია ეროვნული მშვიდობის ნიმუშად, რომელიც არ ნახულა ბურჟუაზიის დროს და შეუძლებელია ბურჟუაზიულ წყობილებისას[12]. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დანერგვა ჩვენი ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზეც წარმოადგენს პარტიის იდეოლოგიური მუშაობის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს.

ვ. ი. ლენინი ძვირფას მითითებებს იძლეოდა ძველი სახელმწიფო მანქანის მსხვრევისა და ახალი, სოციალისტური აპარატის შექმნის ზოგიერთ კონკრეტულ საკითხებზეც.

ვ. ი. ლენინის ინიციატივით შეიქმნა ამიერკავკასიის ფედერაცია, რომელმაც თვალსაჩინო როლი შეასრულა ამ მხარის მთელი რესურსების მობილიზაციის საქმეში, ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში, აზერბაიჯანელი, სომეხი და ქართველი ხალხის მეგობრობის განმტკიცებაში.

ამიერკავკასიის ფედერაციის არსებობის პერიოდში (1922—1936) დამთავრდა ძირითადი სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა, ჩამოყალიბდა აზერბაიჯანელი, სომეხი და ქართველი სოციალისტური ერები, ლიკვიდირებულ იქნა წარსულიდან მემკვიდრეობად მიღებული ერების ფაქტობრივი უთანასწორობა. ამან შესაძლებელი გახადა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მოკავშირე რესპუბლიკებად გარდაქმნა და მათი სუვერენული უფლებების გაფართოება.

ქართველმა ხალხმა ღირსეულად გაუძლო მძიმე განსაცდელს დიდ სამამულო ომში. 700 ათასი მებრძოლი მისცა ფრონტს საბჭოთა საქართველომ. მათი ნახევარი გმირულად დაეცა ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ქართველი ხალხის თითქმის 245 ათასი შვილი — ვაჟები და ქალები — დიდი სამამულო ომის მონაწილე, დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირისა და არაერთი საზღვარგარეთული სახელმწიფოს საბ-

[12] В. И. Ленин. Полное собрание сочинений, т. 53, გვ. 399.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რძოლო ორდენებითა და მედლებით, ხოლო 136, მამაცთა შორის უმამაცესს, მიეკუთვნა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ომის წლებში საქართველო გადაიქცა საბჭოთა შეიარაღებული ძალების ერთ-ერთ არსენალად. საქართველომ უმოკლეს ვადაში მთელი მუშაობა საომარ ყაიდაზე გარდაქმნა, სულ უფრო მეტ დახმარებას უწევდა გმირულ ფრონტს, აწვდიდა მას სულ უფრო მეტ შეიარაღებას-საბრძოლო მასალას, ფორმის ტანსაცმელს და სურსათ-სანოვაგეს.

საქართველოს მშრომელთა მარტო ნებაყოფლობითმა შენატანებმა ფრონტისადმი დახმარების სხვადასხვა ფონდებში შეადგინა 3 მილიარდ 173 მილიონი მანეთი.

დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ ქართველმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სულ მალე აღადგინა საბალხო მეურნეობის ომამდელი დონე და ახალ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგში.

1970 წელს, 1913 წელთან შედარებით, საქართველოს მრეწველობის საერთო მოცულობა გაიზარდა 85-ჯერ, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება — 6,8-ჯერ.

ინდუსტრიული საქართველოს სიამაყეს წარმოადგენს მარგანეცის, მეტალურგიული, დაზგათსაშენებელი, ქიმიური, მანქანათსაშენებელი, ელექტროტექნიკური, კვების და მრეწველობის სხვა დარგები. საქართველოს თავისი სამრეწველო პროდუქცია გააქვს საზღვარგარეთის 70 ქვეყანაში.

განსაკუთრებული ადგილი საბჭოთა კავშირის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში უკავიათ ქართულ ჩაის, ციტრუსებს, ყურძენს, თამბაქოს, ხილსა და ეთერზეთოვან კულტურებს.

ფართო განვითარება პოვა ყველა სახეობის ტრანსპორტმა — რკინიგზის, საჰაერო, საზღვაო, საავტომობილო, სამილსადენო, მიწისქვეშა ტრანსპორტმა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში კაპიტალდაბანდებამ ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგის მიხედვით შეადგინა 14 მილიარდ 375 მილიონი მანეთი.

განუწყვეტლივ იზრდება საქართველოს მშრომელთა კეთილდღეობა, რასაც მოწმობს მოსახლეობის რიცხვის ზრდაც, რომელმაც საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისათვის მიაღწია 4,8 მილიონ კაცს.

არნახულად გაიფურჩქნა ქართველი ხალხის ძველი და თვითმყოფი კულტურა. ჯერ კიდევ ომამდელი ხუთწლედების მანძილზე საქართველო იქცა სრული წიგნიერების რესპუბლიკად.

ამჟამად 4 571 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლობს ერთ მილიონზე მეტი ბავშვი. 100 საშუალო სპეციალურ სკოლაში სწავლობს 53 ათასზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი. საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში უმაღლესი განათლების მხრივ. რესპუბლიკის 18 უმაღლეს სასწავლებელში ირიცხება 90 ათასზე მეტი სტუდენტი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში იყო მხოლოდ რამდენიმე სამეცნიერო დაწესებულება. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების ოცი წლისთავისათვის (1941 წლის 20 თებერვლისათვის) დაარსდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, რომელიც გადაიქცა საბჭოთა მეცნიერების უმსხვილეს მეცნიერულ ცენტრად. იგი წარმართავს რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც აკადემიის სისტემას, ასევე რესპუბლიკის სხვა უწყებათა სამეცნიერო დაწესებულებების მთელ საქმიანობას. რესპუბლიკის 200 სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებასა და 18 უმაღლეს სასწავლებელში მუშაობს 19,3 ათასი მეცნიერი მუშაკი, მათ შორის 942 დოქტორი და 5 607 მეცნიერების კანდიდატი. საქართველოს მეცნიერებმა თავიანთი საგრძნობი წვლილი შეიტანეს მეცნიერების უმუალო მწარმოებლურ ძალად გადაქცევის საქმეში. მთელ მსოფლიოში ცნობილია ქართველი მათემატიკოსების, ფიზიოლოგების, ფსიქოლოგების, გეოლოგების, ენათმეცნიერთა, ისტორიკოსების, აღმოსავლეთმცოდნეებისა და მეცნიერების სხვა დარგების მოღვაწეთა მიღწევები.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველო დაიფარა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართო ქსელით.

ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებები შევიდა საბჭოთა და მსოფლიო კულტურის ოქროს ფონდში.

ქართველი ხალხის ყველა წარმატება დაკავშირებულია ლენინური პარტიისა და მისი მებრძოლი ავანგარდის — საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობასთან, რომელმაც დარაზმა საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო და ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციის საქმიანობა და წარმართა იგი ერთი მიზნისაკენ — კომუნიზმის მშენებლობის დიდებული პროგრამის განხორციელებისაკენ.

თავისი პირველ ყრილობის მომენტისათვის (1922 წ.) საქართველოს კომპარტიის რიგებში ითვლებოდა დაახლოებთ 14 ათასი კომუნისტი. XXIV ყრილობისათვის საქართველოს კომპარტია გაიზარდა ქართველი ხალხის საუკეთესო შვილების 300 ათასიან არმიად, რომელსაც ძალუძს გადაჭრას გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პერიოდის ურთულესი ამოცანები.

საქართველოს კომუნისტური პარტია თავის რიგებში აერთიანებს 70-ზე მეტი ეროვნების წარმომადგენელს და გვევლინება თანამოაზრე-ინტერნაციონალისტთა მონოლითურ ორგანიზაციად, რომელიც შედუღაბებულია საერთო ნებითა და ერთიანი მიზნით.

სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობის შეფასება იმით გამოიხატა, რომ საბჭოთა საქართველო ლენინის ორი ორდენით დააჯილდოეს (1935, 1965).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის სიტყვაში საქართველოს სსრ რესპუბლიკისათვის ლენინის მეორე ორდენის გადაცემისას თქვა, რომ საქართველოს დაჯილდოება ლენინის მეორე ორდენით „არის დამსახურებული აღიარება დიდი წვლილისა, რომელიც ქართველ ხალხს შეაქვს ჩვენს საერთო დიად საქმეში — დედამიწაზე პირველი კომუნისტური საზოგადოების შექმნაში“[15].

საქართველოს მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, რომლებიც წარმოადგენენ მთელი საბჭოთა ხალხის საბრძოლო პროგრამას კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

---

[15] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი. ლენინური კურსით, ტ. I, გვ. 496.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ხელისუფლების პირველი საკანონმდებლო აქტები

დადგენილება № 26

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

კერძო პირთა და საზოგადოებათა ქონების რეკვიზიციისა და კონფისკაციის წესის შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის მიერ 1924 წლის მარტის 10-ს თარიღით და 77-რით მიღებული დადგენილების 2 მუხ. წესისამებრ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო სამოქალაქო სამართლის კოდექსის 69 და 70 მუხ. დანართის გასაუქმებლად ადგენენ:

1. არავითარი ქონება არ შეიძლება იყოს რეკვიზიციაქმნილი ან კონფისკაციაქმნილი, თუ არა იმ წესით, რაც ქვემოაღნიშნულ მუხლებშია გათვალისწინებული.

2. რეკვიზიციად ჩაითვლება სახელმწიფოს მიერ სახელმწიფოებრივი საჭიროებისათვის ისეთი ქონების იძულებითი და სასყიდლის გადახდით ჩამორთმევა ან დროებით დაჭერა, რაც კერძო პირის ან საზოგადოების ხელშია.

3. ქონების რეკვიზიცია შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს შეადგენს განსაკუთრებულ სახლმწიფოებრივ საჭიროებასა და მარტოოდენ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, რასაც სისრულეში მოიყვანს საათანადო აღმასრულებელი კომიტეტი.

4. მე-3 მუხლის თანახმად რეკვიზიციაქმნილი ქონების სასყიდელს განსაზღვრავს კომისია, რომელიც შესდგება საფინანსო ინსპექტორის, სახალხო მოსამართლისა და აღმასრულებელი კომიტეტის წევრისაგან უკანასკნელის თავმჯდომარეობით.

ქ. თბილისისათვის სარეკვიზიციოდ დანიშნული ქონების სასყიდლის განსაზღვრისათვის მოეწყობა კომისია აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის თავმჯდომარეობით, ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და ამიერ-კავკასიის საგარეო და შინა-ვაჭრობის სახალხო კომისრის რწმუნებულის სამართველოს წარმომადგენელთა შედგენილობით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. შემფასებელ კომისიას შეუძლიან მოიწვიოს რეკვიზიციაქმნილი ქონების შესაფასებლად მცოდნე პირები.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. მესაკუთრეს სასყიდელი, ქონების ჩამორთმევამდე უნდა მიეცეს იმ უწყების სათანადო ორგანოს მიერ, რომლისთვისაც რეკვიზიცია მოხდა. რეკვიზიციაქმნილი ქონების პატრონის თანხმობით ფულადი სასყიდელი შეიძლება შეიცვალოს ნატურალურ სასყიდლად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 3. კომისიის სხდომაზე დაბარებულ უნდა იქნეს ქონების პატრონი, რომელსაც შეუძლიან მისცეს განმარტება და წარადგინოს დოკუმენტები. მესაკუთრის გამოცხადება, უკეთუ მას უწყება ჩაბარდა, სავალდებულო არ არის.

5. სარეკვიზიციოდ დანიშნული ქონების შეფასების შესახებ კომისია შეადგენს დაწვრილებით აქტს, რასაც ხელს მოაწერს ყველა დამსწრე.

6. *კონფისკაციად ჩაითვლება სახელმწიფოს* სასარგებლოდ მთელი ქონების ან მისი ნაწილის უსასყიდლოდ და იძულებითი ჩამორთმევა; იგი იხმარება, როგორც სოციალური დაცვის ღონისძიება, სათანადო სასამართლოს და საგანგებო კომისიის განაჩენით; ამასთან, საგანგებო კომისიას შეუძლიან ამ ღონისძიების ხმარება მხოლოდ ისეთ საქმეზე, რომელზედაც განაჩენის გამოტანის უფლება აქვს, იგი იხმარება აგრეთვე სამხედრო, საბაჟო, სააქციზო და საფოსტო უწყების განკარგულებითაც, საამისოდ არსებული განსაკუთრებული კანონის თანახმად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. იმ შემთხვევაში, როდესაც კონფისკაცია შეფარდებულია როგორც სოციალური დაცვის ღონისძიება, ხელისუფლების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანო, რომელიც კონფისკაციას მოახდენს, ვალდებულია დაუტოვოს კონფისკაციაქმნილი ქონების პატრონს და მისი ოჯახის წევრებს საოჯახო საგნები, შინამრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების იარაღი, უკეთუ იგი მათი არსებობის საღსარია და გამოყენებული არ არის შრომის ექსპლოატაციისათვის; უნდა დაუტოვოს აგრეთვე სურსათ-სანოვაგე და ფული, რაც საჭიროა პირადათ მსჯავრდადებულისა და მისი ოჯახის წევრთა სარჩენად და, რაც ერთად აღებული საერთო ღირებულებით არ აღემატება იმ ადგილის მუშის ექვსი თვის საშუალო სამუშაო ხელფასს.

შენიშვნა 2. მსჯავრდადებულის პროფესიონალური მუშაობისათვის საჭირო ინვენტარის კონფისკაცია შეიძლება მხოლოდ მაშინ თუ უკეთუ სასამართლო თავის დადგენილებით აუკრძალავს მსჯავრდადებულს პროფესიას.

7. საკონცესიო საწარმოს ქონების რეკვიზიცია და კონფისკაცია შეიძლება მარტოოდენ იმ შემთხვევაში და იმ წესით, რაც გათვალისწინებულია საკონცესიო ხელშეკრულებით.

8. თვითეული რეკვიზიციისა და კონფისკაციისათვის, ქონების ჩამორთმევის დროს, შედგენილ იქნება ცალკე აქტი, რაშიაც აღინიშნება:

ა) რეკვიზიციისა და კონფისკაციის კანონიერი საფუძველი;

ბ) იმ პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და უფლებამოსილება, რომელიც მოახდენს რეკვიზიციას ან კონფისკაციას;

გ) ქონების პატრონის სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილი და ის ადგილი, სადაც ქონებაა;

დ) ვისაც გადაეცა ქონება შესანახად;

ე) ქონების დაწვრილებითი და სწორი აღწერილობა, ამასთან სათანადო შემთხვევაში აღინიშნება: წონა, ზომა, აგრეთვე როგორ არის ეს ქონება ჩაწყობილ-ჩალაგებული.

აქტს ხელს აწერენ: თანამდებობის პირი, ქონების პატრონი, ან შემნახველი და ორი წერაკითხვის მცოდნე გარეშე მოწმე; აქტის ასლი მიეცემა პატრონს არა უგვიანეს სამი დღისა.

9. უკეთუ აღმოჩნდება რეკვიზიციისაგან გადამალული ქონება, ან ისეთი ქონება, რომელსაც კონფისკაცია უნდა ექნეს, მილიცია წინასწარ შეჰკრავს მას.

10. იმ ქონების წინასწარ შეკვრის დროს, რომელსაც რეკვიზიცია ან კონფისკაცია უნდა ექნეს, მე-8 მუხლში აღნიშნული წესისამებრ, შესდგება ქონების შეკვრის აქტი და დაუყოვნებლივ გაეგზავნება სათანადო სასამართლო და საადმინისტრაციო ორგანოს, რომელიც ვალდებულია არა უგვიანეს სამი კვირისა გამოუცხადო შეკრული ქონების პატრონს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნული ქონების შეკვრისა ან განთავისუფლების შესახებ.

11. ქვემო ჩამოთვლილი საგნები, უკეთუ შესანახად სათანადო ნებართვა არ იყო მიღებული, აუცილებლად და უსასყიდოდ უნდა ჩაბარდეს სახელმწიფოს; ხოლო უკეთუ ეს საგნები სადმე აღმოჩნდება, კონფისკაცია უნდა ექნას და შემნახველი კი პასუხისგებაში მიეცეს სისხლის სამართლის წესით; ეს საგნებია: ა) იარაღი, ასაფეთქებელი იარაღი, სამხედრო საჭურველი და საფრენი მანქანა, ბ) ტელეგრაფის და რადიო-ტელეგრაფის ქონება, გ) გაბათილებული ფასიანი ქაღალდები.

12. თანამდებობის პირი, რომელიც დაარღვევს ზემოაღნიშნულ წესებს, პასუხს აგებს სასამართლოს წესით. ამის დამოუკიდებლად, უკანონო რეკვიზიციით ან კონფისკაციით ქონებრივად დაზარალებულ პირს უფლება აქვს მოითხოვოს უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნება ან ზარალის ანაზღაურება, რისთვისაც იგი სარჩელს აღძრავს სათანადო სასამართლოში სახელმწიფო ხელისუფლების იმ ორგანოს წინააღმდეგ, რომლის წარმომადგენელმაც უკანონოდ მოახდინა რეკვიზიცია ან კონფისკაცია.

13. კონფისკაციაქმნილი ქონების გამოყენების წესი განისაზღვრება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წლის სექტემბრის 22-ის დადგენილებით. („იზვესტია“-ს 242 №-ის 1925 წლისა).

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე: ფ. მახარაძე.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე: შ. ელიავა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი: ს. თოდრია.

(გაზ. „კომუნისტი“, 1926 წ. 13 აპრილი, № 82).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 28

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

შრომის კანონდებულებათა დარღვევისათვის ადმინისტრაციული გადასახდელის დადების წესის შესახებ

ა-კ. ს. ფ. ს. რ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წლის აგვისტოს 13-ს თარიღისა და № 43 ბ-რის დადგენილების („შრომის ინსტრუქტორების მიერ დაქირავებულთა პასუხისგებაში მიცემის წესის შესახებ სახელმწიფო, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ და კერძო საწარმოთა, დაწესებულებათა და მეურნეობათა მუშა-მოსამსახურეების შრომის დაცვის მიზნით გამოცემული დადგენილების აღსრულებლობისათვის) 1 და 2 მუხ. განსავითარებლად (გამოქვეყნებულია გაზეთ „ზარია ვოსტოკა"-ს 962 №-ში 1925 წ. აგვისტოს 28-ს) სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ შემდეგ წესს ადმინისტრაციული გადასახდელის დადების შესახებ:

1. ა-კ. ს. ფ. ს. რ შრომის სახალხო კომისარიატის 1925 წ. აგვისტოს 29-ის თარიღითა და 56 №-ის დადგენილებასთან გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს 971 №-ში 1925 წლის სექტემბრის 8-ს) დართულ ნუსხაში აღნიშნული შრომის კანონიერებისა და განკარგულებების დარღვევისათვის, დამნაშავეს დაედება შემდეგი ადმინისტრაციული გადასახდელი:

ა) თავისუფლების აღკვეთა 2 თვემდე,

ბ) იძულებითი მუშაობა თავისუფლების აღუკვეთლად, 2 თვემდე და

გ) ფულადი ჯარიმა 100 მანეთამდე.

2. უკეთუ შრომის სფეროში დარღვეულია ისეთი კანონი, და განკარგულება, რომლის დარღვევისათვისაც დამქირავებელი შეიძლება პასუხისგებაში იქნეს მიცემული ადმინისტრაციული წესით, შრომის ინსპექტორი შეადგენს ოქმს, რასაც ხელს მოაწერენ ოქმის შემდგენელი (ინსპექტორი), დამრღვევი და მოწმე.

შენიშვნა: უკეთუ დამრღვევი უარს იტყვის ოქმზე ხელის მოწერაზე, ეს უარი შეტანილ უნდა იქნეს ოქმში, უარის მოტივის აღნიშვნით, დამრღვევის უარი ხელმოწერაზე ვერ შეაჩერებს ოქმის წარმართვას ამა დადგენილების მე-3 მუხლის წესისამებრ.

3. წინა მუხლში აღნიშნული ოქმი დაუყოვნებლივ წარედგინება სათანადო საქალაქო ან სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის ადმინისტრაციულ განყოფილებას, რომელიც დაადგენს გადასახდელის დადებას იმ წესით, რაც აღნიშნულია სავალდებულო დადგენილების გამოცემის წესისა და მათი დარღვევისათვის ადმინისტრაციული წესით დასჯის შესახებ გამოცემულ დებულებაში.

(სრ. საქ. ცაკ-ის 1923 წ. მაისის 4-ს დეკრეტი).

4. იმ შემთხვევაში უკეთუ ოქმიდან აშკარა იქნება, რომ დამნაშავეს ბრალად ედება ისეთი ქმედობა, რომელიც დევნილ უნდა იქნეს სასამართლოს წესით, საქმე გადაეცემა სათანადო სასამართლოს ქვემდებარეობისამებრ.

5. უკეთუ ის პირი, ვისაც ადმინისტრაციული გადასახდელი დაედო, უკმაყოფილოა, შეუძლიან 7 დღის განმავლობაში დღიდან დადგენილების ასლის ჩაბარებისა, სთხოვოს სათანადო აღმასრულებელ კომიტეტს აღნიშნული დადგენილების გადასინჯვა, ან ეს დადგენილება განასაჩივროს საინსტანციო წესით შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატში. საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს დადგენილების სისრულეში მოყვანას.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერ: **ი. ხარაბაძე**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მაგიერ: **ს. ჯუღელი**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ: **შ. მათიკაშვილი**

1926 წ. აპრილის 5.
თბილისი — სასახლე.
(გაზ. „კომუნისტი" 1926 წ. 18 აპრილი № 87)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 27

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

უმწეო ბავშვთა დამხმარე კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დამტკიცებული იქნეს ამასთანავე დართული დებულება სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული უმწეო ბავშვთა დამხმარე კომისიის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარის მაგიერ: ი. ხარაბაძე

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივნის მაგიერ: შ. მათიკაშვილი

დებულება

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ უმწეო ბავშვთა დამხმარე კომისიისა

1. ვ. ი. ლენინის ხსოვნის საუკუნეთაგან საუკუნეში აღსანიშნავად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტთან მოეწყობა უმწეო ბავშვთა დამხმარე კომისია (ბავშვთა კომისია).

2. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული კომისიის მიზანს შეადგენს ბავშვთა უმწეობასა და დანაშაულებრიობასთან ბრძოლა საქართველოს სსრ ფარგლებში.

3. ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან მოეწყობიან უმწეო ბავშვთა დამხმარე კომისიები, რომლებიც იმუშავებენ სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების უშუალო ზედამხედველობით და თავიანთ შემოქმედებაში იხელმძღვანელებენ ამა დებულებით და სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული უმწეო ბავშვთა დამხმარე კომისიის დირექტივებით და დადგენილებებით.

4. ზემოთაღნიშნული მიზნის განსახორციელებლად სრულიად საქართველოს ცაკ-თან არსებული ბავშვთა კომისია:

ა) ხელმძღვანელობას გაუწევს ყველა დაინტერესებულ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის მოქმედებას ბავშვთა უმწეობისა და დანაშაულობრიობასთან ბრძოლის საქმეში.

ბ) ხელს შეუწყობს განათლების სახალხო კომისარიატს, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს და აგრეთვე სხვა დაინტერესებულ უწყებას ბავშვთა უმწეობასთან მებრძოლ დაწესებულებათა მოწყობის საქმეში (სახელოსნოებისა, სასადილოებისა, თავშესაფართა, ბაგათა, კერათა, სასოფლო-სამეურნეო კომუნათა და სხვ.).

გ) ეძიებს სახსარს ბავშვთა უმწეობასა და დანაშაულებრიობასთან მებრძოლი ორგანიზაციების მოსაწყობად და აგრეთვე სათანადო დაწესებულებათა შესანახად.

დ) მიიღებს ღონისძიებას უმწეოთათვის მუდმივი და დროებითი სამუშაოს აღმოსაჩენად, იზრუნებს უმწეოთა გაგზავნას სამშობლოში ან სამუშაო ადგილას, მიაღებინებს მათ საწარმოში და სახელოსნოში შეგირდებათ, გლეხებისა და მუშების ოჯახებში, ხოლო ავადმყოფებს — სამკურნალოდ დაწესებულებებში და სხვ.

ე) გაუწევს უმწეოთ სათანადო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მეშვეობით ყოველგვარ დახმარებას, სხვათა შორის იურიდიულსა და სამკურნალოს და აგრეთვე დაეხმარება ძუძუმწოვართა ბავშვიან უსახლკარო დედებს.

ვ) მიიღებს ღონისძიებას, რათა დაინტერესებული სახელმწიფო დაწესებულებანი და საზოგადოებრივი, პროფესიონალური, პარტიული ორგანიზაციები და საერთოდ საბჭოთა საზოგადოებრიობა ჩაებას უმწეო ბავშვთა დახმარების საქმეში.

ზ) მოაწყობს ადგილობრივ „ბავშვთა მეგობრების“ საზოგადოებას და ხელმძღვანელობას გაუწევს მათ მოქმედებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: „ბავშვთა მეგობრების“ საზოგადოება მოეწყობა იმ წესით, რაც გათვალისწინებულია კანონით ისეთ საზოგადოებათა და კავშირთა მოსაწყობათ, მოგების შოვნას არ მისდევენ, საამისოდ ბავშვთა კომისია შეიმუშავებს ტიპიურ წესდებას, რომელსაც სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი დამტკიცებს.

5. სრულიად საქართველოს ცაკთან არსებულ ბავშვთა კომისიას თავმჯდომარეობს ცაკის თავმჯდომარე. კომისიაში შედიან განათლებისა, ჯანმრთელობისა, სოციალური უზრუნველყოფისა, შინაგან საქმეთა, იუსტიციისა, ფინანსთა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებისა, თბილისის აღმასრულებელი კომიტეტისა, სსსრ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი, საქართველოს სსრ ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირისა, ქალთა განყოფილებისა და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების წარმომადგენელნი. კომისიის შემადგენლობას დაამტკიცებს სს ცაკის პრეზიდიუმი, გარდა ამისა, კომისიაში, სს ცაკის პრეზიდიუმის დასტურით, შეიძლება დანიშნულ იქნეს სხვადასხვა პირი პერსონალურად.

6. ბავშვთა კომისიის მიმდინარე მუშაობის უშუალო ხელმძღვანელობისათვის კომისიის შემადგენლობიდან გამოიყოფა ხუთი პირისაგან შემდგარი პრეზიდიუმი.

7. თავის მოქმედებაში კომისია იხელმძღვანელებს ს. ს. ცაკის პრეზიდიუმის დირექტივებით და ანგარიშვალდებულია მის წინაშე; ბავშვთა კომისიის მუშაობის გეგმას დამტკიცებს ს. ს. ცაკის პრეზიდიუმი, რომელსაც წარედგინება კომისიის მოქმედების კვარტალური ანგარიშები.

8. ბავშვთა კომისიის პლენუმის სხდომები მოხდება ორჯერ თვეში, ერთხელ მაინც, ხოლო პრეზიდიუმისა — თვეში ორჯერ მაინც.

9. ბავშვთა კომისიის მიმდინარე საქმეებს განაგებს კომისიის პლენუმის მიერ არჩეული პასუხისმგებელი მდივანი, რომელიც საამისოდ გამოიყენებს ს. ს. ცაკის საქმეთა მართველობის ტექნიკურ აპარატს.

10. ბავშვთა კომისიის დადგენილება, უკეთუ იგი შეთანხმებულია ყველა დაინტერესებულ უწყებასთან, სავალდებულოა და დაუყოვნებლივ უნდა იქნეს განხორციელებული სათანადო სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოს მეშვეობით.

ის დადგენილება, რომელზედაც შეთანხმება დაინტერესებულ უწყებასა და დაწესებულებასთან ვერ იქნა მიღწეული — დასამტკიცებლად, ს. ს. ცაკის პრეზიდიუმში გადაიტანება.

11. ამა დადგენილების ფარგლებში ბავშვთა კომისიას აქვს იურიდიული პირის უფლებანი, კომისიას აქვს აგრეთვე თავისი ბეჭედი.

12. კომისიის სახსარს შეადგენს:

ა) ნებაყოფლობითი შეწირულება, როგორც ერთდროული, ისე პერიოდული;

ბ) წარმოდგენებისა, საღამოებისა, კონცერტებისა, კინო-სეანსებისა, სეირნობისა და სხვ. მოწყობით შემოსული თანხები;

გ) „ბავშვთა მეგობრები“-ს ადგილობრივი საზოგადოებათა პროცენტული ანარიცხები;

დ) სახელმწიფო სახსარიდან გაცემული.

ე) სხვა წყაროები, რაც ბავშვთა კომისიას მიენიჭება განსაკუთრებული კანონ-დებულებით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარის მაგიერ: ი. ხარაბაძე

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივნის მაგიერ: შ. მათიკაშვილი

(გაზ. „კომუნისტი“ 1926 წ. 20 აპრილი № 88).

დადგენილება № 29

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სისხლის სამართლის კოდექსის 81, 82, 82-2, 82-3 და 84-4 მუხლებისა და იმავე კოდექსისათვის 82-6 მუხლის დამატების შესახებ

თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-11 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 19 თარიღითა და 77 N-ის დადგენილებისა, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სისხლის სამართლის კოდექსის 81, 82, 82-2, 82-3 და 82-4 მუხ. შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 81. იმ პირთა აღნუსხვისათვის დადგენილი წესების დარღვევა, რომელნიც ვალდებულნი არიან იმსახურონ სამხედრო სამსახურში ან ზურგის ლაშქარში გამოიწვევს

— იძულებით მუშაობას ორ თვემდე ან ჯარიმას ას მანეთამდე.

მუხ. 82. თავის არიდება: სასწავლო, განმეორებითი პერიოდული სასწავლო და შესამოწმებელი შეკრებისაგან, აგრეთვე ისეთი შეკრებისაგან, რაც დაწესებულია ჯარიმა გაწვევამდე მომზადებისათვის, გამოიწვევს

— იძულებით მუშაობას სამ თვემდე ან ჯარიმას ორას მანეთამდე.

მუხ. 82-2. თავის არიდება სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან, ან ზურგის ლაშქარში ჩარიცხვისაგან გამოიწვევს

— თავისუფლების აღკვეთას ექვს თვემდე (ქონების ნაწილის კონფისკაციას ან უამისოდ); ხოლო თავისუფლების აღკვეთის ვადის მოხდის შემდეგ მსჯავრდადებული გაიგზავნება სამხედრო ნაწილში სამხედრო სამსახურის მოსახდელად დაწესებული ვადის განმავლობაში, ან ზურგის ლაშქარში — კუთვნილებისამებრ.

ხოლო უკეთუ დანაშაული ჩადენილია ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებაში — ჯარიმას იხდის სამას მანეთამდე; ხოლო მსჯავრდადებული გაიგზავნება ჯარის ნაწილში სამხედრო სამსახურის მოსახდელად დაწესებული ვადის განმავლობაში ან ზურგის ლაშქარში — კუთვნილებისამებრ.

მუხ. 82-3. თავის არიდება სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან ან ზურგის ლაშქარში ჩარიცხვისაგან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით, ყალბი დოკუმენტის შედგენით, თანამდებობის პირის მიხედვით, საკუთარი გვარის ან წოდების შეცვლით, აგრეთვე ვითომდა სარწმუნოებრივი საბაბით ან სხვა რაიმე ხერხით გამოიწვევს.

— თავისუფლების აღკვეთას ხუთ წლამდე, ხოლო თავისუფლების აღკვეთის ვადის გასვლის შემდეგ, მსჯავრდებული გაიგზავნება სამხედრო ნაწილში სამხედრო სამსახურის მოსახდელად დაწესებული ვადის განმავლობაში, ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით დაწესებული შეღავათის მიუცემლად, ან ზურგის ლაშქარში გაგზავნით — კუთვნილებისამებრ.

მუხ. 82-4. სამხედრო ვალდებულთა მიერ მობილიზაციიდან თავის არიდება გამოიწვევს

— თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ექვსი თვისა. ისე-კი, რომ განაჩენის სისრულეში მოყვანა გადაიდება საომარი მოქმედების დამთავრებამდე, ხოლო თვით მსჯავრდადებული გადაიცემა სამხედრო ხელისუფლების განკარგულებაში.

იგივე მოქმედება, ჩადენილი ისეთი პირის მიერ, რომელიც სამეთაურო შედგენილობას (საკომანდო, საპოლიტიკო, საადმინისტრაციო, საექიმო და საველტერინო) ეკუთვნის, გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ორი წლისა; ამასთანავე განაჩენის სისრულეში მოყვანა გადაიდება ამა მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული წესისამებრ, ხოლო მსჯავრდადებული გადაიცემა სამხედრო ხელისუფლების განკარგულებაში.

II.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 82-6 მუხ. შემდეგი შინაარსით:

მუხ. 82-6. სამხედრო სამსახურში გაწვევის დროს ცნობების მიუწოდებლობა ოჯახში მომხდარი ისეთ ცვლილებებზე, რაც სპობს ოჯახური ან ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით დაწესებულ შეღავათს ან სცვლის ამ შეღავათის კატეგორიას, გამოიწვევს იძულებით მუშაობას ექვს თვემდე, ან ჯარიმას ექვსას მანეთამდე; ხოლო იძულებითი მუშაობის მოხდის შემდეგ მსჯავრდადებული გაიგზავნება სამხედრო ნაწილში, სამხედრო სამსახურის მოსახდელად დაწესებულ ვადის განმავლობაში; ამასთან ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით დაწესებული შეღავათი მას არ მიეცემა.

ხოლო სამხედრო სამსახურში გაწვევის დროს ტყუილი ცნობების მიწოდება ოჯახში მომხდარ ისეთ ცვლილებებზე, რაც ანიჭებს ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით დაწესებულ შეღავათს ან სცვლის ამ შეღავათის კატეგორიას, გამოიწვევს

— თავისუფლების აღკვეთას ექვს თვემდე, ხოლო თავისუფლების აღკვეთის ვადის მოხდის შემდეგ მსჯავრდადებული გაიგზავნება სამხედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილში სამხედრო სამსახურის მოსახდელად დაწესებული ვადის განმავლობაში, ამასთან ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობის დაწესებული შეღავათი მას არ მიეცემა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე: ფ. მახარაძე

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე: ს. ჯუღელი

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი: ს. თოდრია

1926 წლის, მაისის 5.
თბილისი — სასახლე.
(გაზ. „კომუნისტი" 1926 წ. 14 მაისი № 107)

დადგენილება № 31

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის დაწესებულებათა დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის დაწესებულებათა შესახებ.

2. პირველ მუხლში აღნიშნული დებულების შემოღებისთანავე გაუქმებულ იქნეს დებულება სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის დაწესებულებათა შესახებ დამტკიცებული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის ნოემბრის 25 თარიღისა და 36 №-ის დადგენილებით.

3. მოკავშირე აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის აჭარის ავტონომიური სოც. საბჭო. რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის დაწესებულებათა დებულება შემუშავებული უნდა იქნეს ამა დებულების საფუძველთა მიხედვით და დამტკიცებული სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, ამასთან აღნიშნული რესპუბლიკებისა და ოლქის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებმა თავიანთი მაძიებელი მილიციის დაწესებულებათა მოქმედება უნდა შეუთანხმონ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის მოქმედებას.

4. დადგენილება ესე და დებულება ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე: ფ. მახარაძე

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე: ს. ჯუღელი

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი: ს. თოდრია

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებულება

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის დაწესებულებათათვის.

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის დაწესებულებანი — ცენტრალური სისხლის სამართლის მაძიებელი მილიცია და მისი ადგილობრივი ორგანოები იმყოფებიან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამგებლობაში და მიზნად ისახავენ დანაშაულებრივი ქმედობის წინასწარ აცდენას, აღკვეთასა და აღმოჩენა-გამოაშკარავებას.

2. სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის დაწესებულებათა მოქმედების წესი განისაზღვრება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, არა დებულებით და ცალკე ინსტრუქციებით.

3. სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის მოქმედება დანაშაულის წინასწარი აცდენისა, აღკვეთისა და აღმოჩენა-გამოაშკარავების საქმეში მჭიდროდ არის დაკავშირებული მ-გ. მილიციისა და სასამართლო ორგანოების მოქმედებასთან.

4. სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციისა და მ-გ. მილიციის ურთიერთობა და მათ შორის ფუნქციების განსაზღვრის საქმე მოწესრიგდება ცალკე ინსტრუქციით.

5. სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის თანამშრომელთა დანიშვნისა, დათხოვნისა და ადგილიდან ადგილზე გადაყვანის წესი განისაზღვრება მ-გ. მილიციის დებულებით.

6. იმ ადგილებში, სადაც სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის ორგანოები არ არიან, სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის მოვალეობა დაეკისრება მ-გ. მილიციას.

7. სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის ადგილობრივი ორგანოები იმყოფებიან ადგილობრივი აღმასკომების ხარჯზე.

8. ცენტრალური სისხლის სამართლის მილიციის და მის ადგილობრივ ორგანოებს აქვთ ღერბიანი ბეჭედი.

II. ცენტრალური სისხლის სამართლის მაძიებელი მილიცია

ცენტრალური სისხლის სამართლის მაძიებელი მილიცია არის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადმინისტრაციული განყოფილების ქვეგანყოფილება; ამ ქვეგანყოფილების სათავეში სდგას უფროსი.

9. ცენტრალური სისხლის სამართლის მაძიებელი მილიცია შესდგება შემდეგი ნაწილებისაგან:

ა) აქტიური-სამძებრო,

ბ) საიდუმლო,

გ) ცენტრალური სარეგისტრაციო ბიურო,

ცენტრალურ მაძიებელ მილიციასთან მოწყობილია მაძებარი ძაღლების ცენტრალური მოსაშენებელი.

10. რესპუბლიკის ცენტრალური სისხლის სამართლის მაძიებელ მილიციას დაეკისრება:

ა) მოაწყოს სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის აღგილობრივი ორგანოები და გაუწიოს მათ მოქმედებას ოპერატიულ-ტექნიკური ხელმძღვანელობა,

ბ) აწარმოოს დამნაშავეთა ცენტრალური დაქტილოსკოპიური რეგისტრაცია,

გ) სძებნოს რესპუბლიკის ფარგლებში ის პირნი, რომელნიც თავს არიდებენ გამოკვლევას, გამოძიებას, სასამართლოს და სოციალური დაცვის ღონისძიებას,

დ) მეძებარი ძაღლების მუშაობისათვის შეარჩიოს და გაწვრთვნას ხელმძღვანელნი და ამგვარი ხელმძღვანელებით შეავსოს სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის ორგანოები,

ე) შეიმუშაოს და შეასწავლოს სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის ადგილობრივ ორგანოებს დანაშაულებრიობის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები,

ვ) აწარმოოს უშუალოდ ფარული ძიება (შემუშავება) და მოკვლევა საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დანაშაულის გამო, და აწარმოოს ასეთივე ძიება (შემუშავება) და მოკვლევა მილიციისა და სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციისა ადგილობრივ თანამშრომელთა მიერ ჩადენილი თანამდებობრივი დანაშაულის გამო,

ზ) შეკრიფოს და მეცნიერულად შეიმუშაოს დანაშაულთა რეგისტრაციისა და დანაშაულებრიობის წინააღმდეგ ბრძოლის მასალები და ამავე ბრძოლისათვის მოაწყოს მეცნიერულ-საჩვენებელი ხასიათის მუზეუმი.

თ) მოახდინოს განსაკუთრებულად მძიმე დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მასალების ცენტრალიზაცია. შეიმუშაოს ამ ბრძოლისათვის გეგმა და თვით განახორციელოს ამ ბრძოლის საქმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის ადგილობრივი ორგანოები

11. სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის ადგილობრივი ორგანოები არიან:

ქ. თბილისის მაზრაში — თბილისის აღმასკომის ადმინისტრაციული განყოფილების სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის ქვეგანყოფილება, ხოლო საქართველოს სსრ დანარჩენ მაზრებში — სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის განყოფილებანი, რომელნიც შედიან მაზრის მილიციის სამართველოში.

12. აღნიშნული ქვეგანყოფილების სამართველოსა და განყოფილების სათავეში სდგანან უფროსები, რომელნიც ამავე დროს არიან თანაშემწენი ქ. თბილისში — თბილისის აღმასკომის ადმინისტრაციული განყოფილების უფროსისა, ხოლო დანარჩენ ადგილებში — მაზრის მილიციის უფროსებისა.

13. სისხლის სამართლის მაძიებელ მილიციის ადგილობრივი ორგანოები არსებობენ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებული ცალკე შტატებით.

14. სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის ადგილობრივ ორგანოებს დაეკისრებათ:

ა) მიიღონ ღონისძიებანი მაზრაში (ქალაქში) დანაშაულობისა და რევოლუციონური წესრიგის დარღვევის წინასწარ ასაცდენად, აღსაკვეთად და აღმოჩენა-გამოსაძიებლად,

ბ) დანაშაულის მიკვლევა-გაჩხრეკისა, დაპატიმრებისა, გამორკვევის და სხვა, კანონით დაწესებული მოქმედების საშუალებით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად,

გ) დანაშაულის მოკვლევა მისი ჩადენის ადგილას საგამომძიებლო, ხელისუფლების მოსელამდე,

დ) დამნაშავეთა ძებნა და შეპყრობა,

ე) მოკვლევით დამთავრებული საქმეების წარმართვა სასამართლოს და საგამომძიებლო ორგანოებში,

ვ) სისხლის სამართლის დამნაშავეთა აღნუსხვა და რეგისტრაცია და კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში ცნობების გაცემა გასამართლებულთა შესახებ,

ზ) მაზრის (ქალაქის) ფარგლებში სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის აგენტების მოქმედებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა და ცენტრალური ორგანოების მიერ სისხლის სამართლის სამაძიებლო საქმის შესახებ გამოცემული განკარგულებისა და დირექტივების განხორციელება.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე: ფ. მახარაძე

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე: ს. ჯუღელი

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი: ს. თოდრია

თბილისი — სასახლე.
(გაზ. „კომუნისტი“ 1926 წ. 18 მაისი № 110)

დადგენილება № 36

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სისხლის სამართლის კოდექსის 78, 79 და 80 მუხ. შეცვლისა, იმავე კოდექსისათვის 80-1 მუხლის დამატებისა და 79-1 მუხლის ამოშლის შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-11 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10 თარიღისა და 77 №-რის დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 78, 79 და 80 მუხლის რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 78. სახელმწიფო თუ ადგილობრივი გადასახადისა ან გამოსაღების გაღებაზე ან კანონიერად შემოღებული ბეგარის მოხდაზე წინასწარ შეთანხმებით მასიური უარის თქმა გამოიწვევს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამქეზებლისა, ხელმძღვანელისა და ორგანიზატორისათვის —

თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ექვსი თვისა სასტიკი იზოლაციით და თანაც ჯარიმას შეწერილი გადასახდელისა და ბეგარის ორმაგი რაოდენობით, ხოლო უკეთუ დანაშაული ჩადენილია განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში — მთელი ქონების ან მისი ნაწილის კონფისკაციას,

დანარჩენ მონაწილეთათვის —

ჯარიმას იმავე გადასახდელისა და ბეგარის რაოდენობით.

მუხ. 79. სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისა, ან სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის გადასახდელის ვადაზე გაუღებლობა იმის მიუხედავად, რომ დამნაშავეს შეეძლო მათი გადახდა, უკეთუ მას უკვე შეეფარდა გადახდევინების ღონისძიება მით, რომ გასულ საშენაწერო წელს, თუნდაც ერთხელ, ხოლო მიმდინარე საშენაწერო წელს ორჯერ, აუწერს ან საჯარო ვაჭრობით გაუყიდის აწერილ ქონებას, გამოიწვევს

პირველად — ჯარიმას იმავე გადასახდელის რაოდენობით,

მეორედ — თავისუფლების აღკვეთას ან იძულებით მუშაობას ექვს თვემდე ან ჯარიმას იმავე გადასახდელის გაორკეცებული რაოდენობით.

ბეგარის მოხდაზე ან საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებაზე უარის თქმა გამოიწვევს:

პირველად — ადმინისტრაციულ გადასახდელს, რასაც კანონით დაწესებულ ფარგალში გადასწყვეტს სათანადო ხელისუფლების ორგანო,

მეორედ — თავისუფლების აღკვეთას ან იძულებით მუშაობას ექვს თვემდე ან ჯარიმას იმავე ბეგარის და სამუშაოს რაოდენობით.

მუხ. 80. ურთიერთ შეთანხმებით მოწყობილი გადამალვა გადასახად-დასადები ან აღსანუსხავი საგნებისა, ან ამ საგნების რაოდენობაზე ტყუილი ცნობების მიცემა — გამოიწვევს

წამქეზებლისა, ხელმძღვანელისა და ორგანიზატორისათვის —

თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ექვსი თვისა ქონების ნაწილის კონფისკაციით ან უამისოდ,

დანარჩენ მონაწილეთათვის —

ჯარიმას არა უმეტეს გადასახდელის ორმაგი რაოდენობისა ან გადამალული საგნის ღირებულებისა.

II.

სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 80-1 და 80-2 მუხლი, შემდეგი შინაარსით:

მუხ. 80-1. ცალკე პირის მიერ გადამალვა გადასახად-დასადები ან აღსანუსხავი საგნისა ან ამ საგანზე წინასწარ შეცნობით ტყუილი ცნობის მიცემა, უკეთუ სპეციალური დებულებით არ არის გათვალისწინებული სხვა რამ შედეგი, გამოიწვევს:

იძულებით მუშაობას ექვს თვემდე ან ფულად ჯარიმას არა უმეტეს გადასახდელის ორმაგი რაოდენობისა, ან გადამალული საგნის ღირებულებისა.

მუხ. 80-2. თავის არიდება საფინანსო ორგანოს მოთხოვნით ცნობის წარდგენისაგან ან წინასწარ შეცნობით ტყუილი ცნობის მიცემა მენარჩენის ქონების შესახებ იმ კერძო პირის მიერ, ვისთვისაც ამ ქონებაზე ცნობების მიცემა სავალდებულოა და ვინც იმავე დროს ეს ქონება იცის, გამოიწვევს:

იძულებით მუშაობას სამ თვემდე ან ჯარიმას სამას მანეთამდე.

III.

სისხლის სამართლის კოდექსის 72-1 მუხლი ამოშლილი იქნეს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე: ფ. მახარაძე

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე: შ. ელიავა

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი: ს. თოდრია

1926 წ. — ივნისის 28.

თბილისი — სასახლე.

იბეჭდება შესწორებით. რედაქცია.

(გაზ. „კომუნისტი“ 1926 წ. 28 ოქტომბერი № 246).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 50

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სისხლის სამართლის კოდექსისათვის 231-1 მუხლის დამატების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10 თარიღით და 77 ნომრის დადგენილების მე-2 მუხლით გათვალისწინებული წესისამებრ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 231-1 მუხლი შემდეგი შინაარსისა:

მუხ. 231-1. რადიოსადგურის გამართვისა და გამოყენებისათვის შემოღებული წესების დარღვევა გამოიწვევს იძულებით მუშაობას ორ კვირამდე ან ჯარიმას 50 მანეთამდე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე: ფ. მახარაძე

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე: შ. ელიავა

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი: ს. თოდრია

1926 წ. ივლისის 10.
თბილისი — სასახლე.
(გაზ. „კომუნისტი", 1926 წ. 11 აგვისტო № 181)

დადგენილება № 46

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სამოქალაქო სამართლის კოდექსის ახალი 84-1 მუხლის შევსებისა და ამავე კოდექსისა 155, 156 და 166 მუხლებისათვის შენიშვნების დამატების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ს თარიღისა და 77-ის დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ: სამოქალაქო სამართლის კოდექსი შევსებულ იქნეს ახალი 84-1 მუხლით და ამავე კოდექსის 155, 156 და 166 მუხლებს დაერთოს შემდეგი შენიშვნები:

1. მუხ. 84-1 უფლება ეძლევა ახლად აგებულ, აღდგენილ და დასამთავრებლად აღებულ სახლში გააკეთოს სავაჭრო-სამრეწველო და სასაწყობო სადგომი, რომელიც მას შეუძლიან ან საკუთრივ თვითონ გამოიყენოს საექსპლოატაციოდ ან გააქირაოს დამქირავებელთან თავისუფალი შეთანხმებით; ამასთანავე თანაშეფარდებას საცხოვრებელი სადგომის სივრცესა და სავაჭრო-სამრეწველო და სასაწყობო სადგომის შორის სივრცეს განსაზღვრავს აღმნაგი სათანადო კომუნალურ ორგანოსთან შეთანხმებით (მუხ. 71).

2. 155 მუხ. შენიშვნა 2. „ამა მუხლის 1-ლი შენიშვნა არ გავრცელდება, აღნაგობის ხელშეკრულებისამებრ, კერძო კაპიტალით ახლად აგებულ საცხოვრებელ სახლზე და აგრეთვე აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგენილ და დასამთავრებლად აღებულ სახლზე".

3. 156 მუხ. შენიშვნა 2: „ეს მუხლი არ გავრცელდება იმ პირზე, რომელიც ცხოვრობს აღნაგობის ხელშეკრულებისამებრ, კერძო კაპიტალით ახლად აგებულ სახლში და აგრეთვე აღდგენის და დასამთავრებლად აღებულ სახლში, უკეთუ გამქირავებელი არ მოისურვებს ხელშეკრულების ვადის განგრძობას, დამქირავებელი კი უარს იტყვის ბინის განთავისუფლებაზე, მისი გამოსახლება მოხდება საერთო სასამართლო წესისამებრ".

4. 166 მუხ. შენიშვნა: „ბინის ქირა ისეთ სახლებში, რაც აღნიშნულია 156 მუხ. მე-2 შენიშვნაში, განისაზღვრება გამქირავებელსა და დამქირავებლის თავისუფალი შეთანხმებით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე: ფ. მახარაძე

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე: შ. ელიავა

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი: ს. თოდრია

1926 წ. ივლისი
თბილისი — სასახლე.
(გაზ. „კომუნისტი" 1926 წ. 13 ივლისი № 158)

დადგენილება № 49

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 430 მუხლის დანართის შევსების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის მიერ 1924 წ. მარტის 10 თარიღით და 77 ნომრით გამოცემული დადგენილების მე-2 მუხ. თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. სახალხო კომისართა საბჭოს ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 430 მუხლი შევსებულ იქნეს შემდეგი შინაარსის დანართით:

1. „ამა თუ იმ პირის გარდაცვალება უკეთუ გარდაცვალების შემდეგ სამემკვიდრეო ქონება დარჩა, — ქალაქად — სახლის მართველობა ან მისი მენაცვლე პირის (კომენდატი, სახლის პატრონი, მოიჯარადრე და სხვ.), ხოლო სოფლად — თემაღმასკომი (სოფლის საბჭო) მოვალეა აცნობოს ერთი კვირის განმავლობაში სათანადო საფინანსო განყოფილებას".

2. „საფინანსო განყოფილებას უფლება აქვს მოსთხოვოს სახელმწიფო, საზოგადოებრივ თუ კერძო დაწესებულებასა და საწარმოს და აგრეთვე თანამდებობის პირს, ყველა ის ცნობა, რაც კი მათ მოეპოვებათ მემკვიდრეობით გადამსვლელი ქონების შესახებ და აგრეთვე მიმოიხილოს ყველა ის საქმე, რაც მათ წარმოებაშია და აღნიშნულ ქონებას შეეხება".

3. „ყველა სახელმწიფო დაწესებულება, როგორც სასამართლო, ისე ადმინისტრაციული, აგრეთვე თანამდებობის პირი, მოვალეა აცნობოს სათანადო საფინანსო განყოფილებას ყველა ის შემთხვევა მემკვიდრეობით ქონების გადასვლისა, რაც მათი საქმის წარმოებიდან გამოაშკარავდება, უკეთუ ეს ქონება გადასახადდასადებია და საქმის წარმოებიდან კი არა სჩანს გადახდილია თუ არა გადასახადი".

4. „სახალხო მოსამართლემ და სასამართლოს აღმასრულებელმა, ან მათ მენაცვლე ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა წარუდგინოს საფინანსო განყოფილებას ცნობა ყოველი ისეთი სამკვიდრო ქონების დაცვის საქმეზე, რასაც გადასახადი უნდა დაეტოვოს, როგორიცაა: ქონების აღწერილობა, სასამართლოს, დადგენილება და სხვ.".

5. „სახელმწიფო დაწესებულებას, როგორც სასამართლო, ისე ადმინისტრაციულსაც, საზოგადოებრივ დაწესებულებას და თანამდებობის პირს, აგრეთვე საკრედიტო დაწესებულებას შეუძლია გადასცეს მემკვიდრეს კაპიტალი ან სხვა რამ ქონება მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემკვიდრე წარუდგენს მას სათანადო საფინანსო განყოფილების მოწმობას, რომ ამ ქონების შედგენილობის შესახებ მიღებულია სათანადო განცხადება".

6. „ყველა ზემო აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობისათვის თანამდებობის პირი პასუხს აგებს, როგორც თანამდებობრივ-დანაშაულებისათვის სისხლის სამართლის კოდექსის 110 და 111 მუხ. თანახმად, ხოლო კერძო პირს გადახდება ჯარიმა 300 მანეთამდე, რასაც მას დაადებს საფინანსო განყოფილება".

7. „განზრახ გადამალვა მთელი სამკვიდრო ქონებისა ან მისი ნაწილისა და, აგრეთვე ამ ქონების ღირებულების ხელოვნურად შემცირება გადასახადისაგან განთავისუფლებისა ანდა შესაწერი გადასახადის შემცირების მიზნით გამოიწვევს სისხლის სამართლის კოდექსის 108 მუხ. გათვალისწინებულ სოციალური დაცვის ღონისძიებას".

8. „საფინანსო განყოფილება (მე-6 მუხ.) ჯარიმის დადების შესახებ საბოლოოა, იგი შეიძლება გადასინჯულ და გაუქმებულ იქნეს ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ მარტოოდენ ზედამხედველობის წესისამებრ".

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე: შ. მახარაძე

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე: შ. ელიავა

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი: ს. თოდრია

1926 წ. ივლისის 5
თბილისი — სასახლე.
(გაზ. „კომუნისტი" 1926 წ. 11 აგვისტო, № 181)

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 36

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სისხლის სამართლის კოდექსის 78, 79 და 80 მუხლის შეცვლისა და იმავე კოდექსისათვის 81-1 და 80-2 მუხლის დამატებისა და 79-1 მუხლის ამოშლის შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10 თარიღისა 77 ნომრის დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 78, 79 და 80 მუხლის რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 78. სახელმწიფო თუ ადგილობრივი გადასახადისა ან გამოსაღების გაღებაზე ან კანონიერად შემოღებული ბეგარის მოხდაზე წინასწარ შეთანხმებით მასიური უარის თქმა გამოიწვევს:

წამქეზებლისა, ხელმძღვანელისა და ორგანიზატორისათვის —

თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ექვსი თვისა სასტიკი იზოლაციით და თანაც ჯარიმა შეწერილი გადასახდელისა და ბეგარის ორმაგი რაოდენობით, ხოლო უკეთუ დანაშაული ჩადენილია განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში — მთელი ქონების ან მისი ნაწილის კონფისკაციას.

დანარჩენ მონაწილეთათვის —

ჯარიმას იმავე გადასახდელისა და ბეგარის რაოდენობით.

სახელმწიფო ან ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისა, ან სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გადასახდელის ვადაზე გაუღებლობა, იმის მიუხედავად, რომ დამნაშავეს შეეძლო მათი გადახდა, უკეთუ მას უკვე შეეფარდა ვადახდევინების ღონისძიება იმით, რომ გასულ საშენაწერო წელს — თუნდაც ერთხელ, ხოლო მიმდინარე საშენაწერო წელს — ორჯერ, აუწერეს ან საჯარო ვაჭრობით გაუყიდეს აწერილი ქონება, გამოიწვევს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველად ჯარიმას იმავე გადასახდელის რაოდენობით,

მეორედ — თავისუფლების აღკვეთას ან იძულებითი მუშაობას ექვს თვემდე ან ჯარიმას იმავე გადასახდელის გაორკეცებული რაოდენობით.

ბეგარის მოხდაზე ან საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებაზე უარის თქმა გამოიწვევს:

პირველად — ადმინისტრაციულ გადასახდელს, რასაც კანონით დაწესებულ ფარგლებში გადასწყვეტს სათანადო ხელისუფლების ორგანო,

მეორედ — თავისუფლების აღკვეთას ან იძულებით მუშაობას ექვს თვემდე, ან ჯარიმას იმავე ბეგარისა და სამუშაოს რაოდენობით.

II.

სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 80-1 და 80-2 მუხ. შემდეგი შინაარსისა:

მუხ. 80-1. ცალკე პირის მიერ გადამალვა გადასახად-დასადები ან აღსანუსხი საგნისა ან ამ საგანზე წინასწარი შეცდომით ტყუილი ცნობის მიცემა, უკეთუ სპეციალური დებულებით არ არის გათვალისწინებული სხვა რამ შედეგი, გამოიწვევს:

იძულებით მუშაობას ექვს თვემდე ან ფულად ჯარიმას არა უმეტეს გადასახდელის ორმაგი რაოდენობისა ან გადამალული საგნის ღირებულებისა.

მუხ. 80-2. თავის არიდება საფინანსო ორგანოს მოთხოვნით ცნობის წარდგენისათვის ან წინასწარ შეცნობით ტყუილი ცნობის მიცემა მენარჩენის ქონების შესახებ, იმ კერძო პირის მიერ, ვისთვისაც ამ ქონებაზე ცნობების მიცემა სავალდებულოა და ვინც იმავე დროს ეს ქონება იცის, გამოიწვევს:

იძულებით მუშაობას სამ თვემდე ან ჯარიმას სამას მანეთამდე.

III.

სისხლის სამართლის კოდექსის 79-1 მუხლი ამოშლილ იქნეს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე: შ. მახარაძე

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე: შ. ელიავა

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი: ს. თოდრია

1926 წ. ივნისის 22.
თბილისი — სასახლე.
(გაზ. „კომუნისტი" 1926 წ. 18 აგვისტო, № 183)
იბეჭდება შესწორებით. რედაქცია.

დადგენილება № 39

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სისხლის სამართლის კოდექსის 30 მუხლის რედაქციის შეცვლისა. ამავე კოდექსის 28 და 30 მუხლისათვის შენიშვნების დამატებისა და სამხედრო დანაშაულთა დებულების ზოგიერთი მუხლის შეცვლისა და დამატების შესახებ

თანახმად სსრკ ცაკისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წლის თებერვლის 19-ის დადგენილებისა — სამხედრო დანაშაულთა დებულების 1 მუხ. შევსების შესახებ და იმავე წლის მარტის 5-ის დადგენილებისა სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითად საფუძველთა მე-18 და 19 მუხლისა, აგრეთვე სამხედრო დანაშაულთა დებულების მე-4, 6 და 11 მუხ. შეკრებისა და შეცვლის შესახებ —

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახ. კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

30 მუხლის რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 30. იძულებითი მუშაობა თავისუფლების აღუკვეთლად გადაწყვეტილ უნდა იქნეს ვადით არა უმეტეს ერთი წლისა, მისი მოხდის წესი განისაზღვრება შრომა-გასწორების კოდექსით.

II.

სისხლის სამართლის კოდ. 28 და 30 მუხ. დაემატოს შემდეგი შენიშვნები:

მუხ. 28. შენიშვნა 2. მუშათა და გლეხთა წითელი არმიის კადრის სამერიგეო და უფროსი სამეთაურო შედგენილობის მსახური, რომელსაც სათანადო სასამართლომ სამხედრო ან საერთო სისხლის სამართლის დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთა გადაუწყვეტია ვადით არა უმეტეს ერთი წლისა, შეზღუდვის შეუფარდებლად, — უნდა გაიგზავნოს საშტრაფო ნაწილში.

უკეთუ საშტრაფო ნაწილში ყოფნის ვადა ორ თვეს არ აღემატება, იგი მოიხდება იმ წესით, რაც დადგენილია სადისციპლინო წესით დატუსაღებისათვის.

მუხ. 30. შენიშვნა 3. მუშათა და წითელი არმიის კადრის სამერიგეო და უმცროსი სამეთაურო შედგენილობის სამხედრო მსახურისათვის შესაფარდებელი იძულებითი მუშაობა თავისუფლების აღუკვეთლად შეიცვლება თავისუფლების აღკვეთად იმ ვადით, რაც შესაფარდებელი მუშაობის ვადის ერთ მეექვსედს უდრის.

III.

სამხედრო დანაშაულთა დებულების (საქართველოს სსრ სისხლის სამ. კოდ. დანართი) 1 მუხლს დაემატოს შენიშვნა და შეიცვალოს მე-4, 6 და 11 მუხლის რედაქცია.

მუხ. 1. შენიშვნა. სამხედრო დანაშაულად ჩაითვლება აგრეთვე ისეთი დანაშაული, რასაც ჩაიდენს გზათა სახ. კომისარიატის განსაკუთრებული შეიარაღებული რაზმის (რეზერვის) სამწყობრო შედგენილობის პირი და რაც მიმართული იქნება სამსახურის ასრულებისათვის დადგენილი წესის წინააღმდეგ.

მუხ. 4. შეურაცხყოფა ძალადობითი მოქმედებით სამხედრო მსახურის მიერ თავისი უფროსისა, როდესაც ეს უკანასკნელი სამსახურის ძოვალეობას ასრულებდა, გამოიწვევს სოციალური დაცვის ღონისძიებად თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ერთი წლისა სასტიკ იზოლიაციით.

უკეთუ შეურაცხყოფა მიყენებულ იქნა მხოლოდ სიტყვით ან არაძალადობითი მოქმედებით, შეფარდებული უნდა იქნეს თავისუფლების აღკვეთა ექვს თვემდე; ხოლო უკეთუ დანაშაული ჩადენილია შემამსუბუქებელ გარემოებაში, დამნაშავეს უნდა შეეფარდოს სადისციპლინო წესდება. იგივე ქმედობა იმავე პირობებში. უფროსის მიერ თავისი ხელქვეითი სამხედრო მსახურის მიმართ, გამოიწვევს სოციალური დაცვის ღონისძიების შეფარდებას იმავე საფუძველზე.

მუხ. 6. გაქცევა პირველად: ა) უკეთუ ეს ჩადენილია შემამსუბუქებელ გარემოებაში, ან უკეთუ დამნაშავე პოლიტიკურად ნაკლებადაა შეგნებული, გამოიწვევს სოციალური დაცვის ღონისძიებად თავისუფლების აღკვეთას 3 თვემდე; ბ) შემამსუბუქებელ გარემოებათა გარეშე — თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე.

მუხ. 11. სამხედრო მსახურის მიერ საყარაულო სამსახურის წესდებისა და ამ წესდების განსავითარებლად კანონიერად გამოცემული განსაკუთრებული ბრძანებისა და განკარგულების დარღვევა უკეთუ ამ დარღვევას არავითარი მავნე შედეგი არ მოჰყოლია, გამოიწვევს სოციალური დაცვის ღონისძიებად თავისუფლების აღკვეთას ექვს თვემდე; ხოლო უკეთუ ეს ჩადენილია შემამსუბუქებელ გარემოებაში, შეფარდებული უნდა იქნეს სადისციპლინო წესდება.

იგივე ქმედობა, იგივე პირობებში, მაგრამ ისეთ ყარაულში ჩადენილი, რომელიც ჰგუშაგობს ტუსაღებს, ფულის საცავსა და ყუთებს, იარაღის სასროლი მასალის და ასაფეთქებელ ნივთიერებათა საწყობს, აგრეთვე ისეთ ყარაულში, რომელსაც განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი თუ სამხედრო მნიშვნელობა აქვს, გამოიწვევს სოციალური დაცვის ღონისძიებად თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე.

იგი ქმედობა, უკეთუ მას მოჰყვა ერთ-ერთი იმ მავნე შედეგთაგანი, რომლის ასაცდენადაც ეს ყარაული იყო დაწესებული, გამოიწვევს სოციალური დაცვის ღონისძიებად: მშვიდობიან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნობის დროს თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ერთი წლისა სასტიკი იზოლიაციით; ხოლო ომიანობის დროს ან ბრძოლის პირობებში — სოციალური დაცვის უმაღლეს ღონისძიებას, რაც შემამსუბუქებელ გარემოებაში შეიძლება შემცირებულ იქნეს თავისუფლების აღკვეთამდე არა ნაკლებ სამი წლისა სასტიკი იზოლაციით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე: ფ. მახარაძე

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე: შ. ელიავა

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი: ს. თოდრია

(გაზ. „კომუნისტი" 1926 წ. 8 სექტემბერი № 204)

დადგენილება № 42

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 432 მუხლის დანართით შევსებისათვის „ბეითალმანი ქონების" შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლის მარტის 10-ის და 77 ნომრის დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1924 წლის სექტემბრის 20-ის დეკრეტი ბეითალმანი ქონებისა და იმ ქონების შესახებ, რაც სახელმწიფო მემკვიდრეობის წესით გადადის და აგრეთვე ქალაქში მდებარე ქონების შეფასების შესახებ გაუქმებულ იქნეს და სამოქალაქო სამართლის კოდექსის 432 მუხლი შევსებული იქნეს შემდეგი დანართით:

1. ბეითალმანი კომლის ქონება გადადის იმ თემის აღმასკომის განკარგულებაში, რომლის ფარგლებშიაც კომლი იმყოფება.

2. ქალაქში აღნაგობის უფლება და არამუნიციალიზაციაქმნილი შენობა გადადის ადგილობრივი კომუნალური განყოფილების განკარგულებაში.

3. ის სამრეწველო საწარმოო, რასაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, გადადის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს განკარგულებაში, ხოლო ის სამრეწველო საწარმო, რასაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა არა აქვს, გადაეცემა ადგილობრივ სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც, უკეთუ ვერ გამოიყენებს იმ საწარმოს, ფინანსთა სახალხო კომისარიატის ნებართვით, გაჰყიდის იგი საჯარო ვაჭრობით. გაყიდვით შემოსული ფული სახელმწიფო ხაზინაში შეიტანება.

4. კვებისა, პირველი მოთხოვნილებისა და სოფლის მეურნეობის საგნები და აგრეთვე ყველა ბეითალმანი ქონება, რაც დარჩება სოციალურ უზრუნველყოფაზე მყოფი პირის სიკვდილის შემდეგ, გადადის სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის განკარგულებაში და ჩაირიცხება სოციალური უზრუნველყოფის ნატურალურ ფონდში, თანაც აქციზსგადაუხდელი საგნები სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს გადაეცემა მას შემდეგ, როცა იგი გადაიხდის აქციზს იმ განაკვეთით, რაც მოქმედებს საგნის გადაცემის დროს.

5. ხელოვნების საგნები და სიძველენი, რასაც განსაკუთრებული ისტორიული და მხატვრული მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე წიგნების კოლექცია გადადის განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში, მუზეუმისა, უნივერსიტეტისა და სხვ. განმანათლებელი დაწესებულებისათვის გადასაცემად.

6. ყველა ნაღდი ფული და ფულადი თანხა, რაც იქნება საბჭოთა და უცხოეთის ვალიუტად, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი, ძვირფასი ლითონი და თვალი, პაი, აქცია და ობლიგაცია, აგრეთვე ფულადი თანხა, აღებული გავალებული ქონების გადახდევინებით, ჩაირიცხება სახელმწიფოს შემოსავლად.

7. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს დადგენილებით სავაჭრო საწარმო ან მისი საქონელი და საგნები, გარდა იმ ქონებისა, რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოთვლილია მე-4-6 მუხლებში, შეიძლება გადაეცეს სახელმწიფო და კოოპერატიულ მაღაზიებს შეფასებით. ქონების გადაცემისათვის შესდგება კომისია ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილებისა და სამომხმარებლო კოოპერატივების შენაერთის წარმომადგენლებისაგან.

8. დანარჩენი ბეითალმანი სამკვიდრო ქონება გაიყიდება საჯარო ვაჭრობით და აღებული ფული ჩაირიცხება სახელმწიფოს შემოსავლად.

9. სახელმწიფო ორგანოთა შორის შეუთანხმებლობას ამ ქონების განაწილებისა ან ლიკვიდაციის შესახებ, რაც სახელმწიფოს გადაეცა, გადასწყვეტს სახალხო კომისართა საბჭო.

10. საჯარო ვაჭრობის ხარჯი გაღებული უნდა იქნეს იმ თანხიდან, რაც ბეითალმანი ქონების გაყიდვით იქნა აღებული.

11. ყველა ის ხარჯი, რაც დაკავშირებულია ფისკის ორგანოს მიერ ან მისი მოთხოვნით ჩადენილ მოქმედებასთან ბეითალმანი ქონებისა და მისი ღირებულების გამოსარკვევად, ამ ქონების დასაცავად ან სალიკვიდაციოდ, გაღებული უნდა იქნეს განსაკუთრებული კრედიტიდან, რომელიც საბიუჯეტო წესით იქნება ვადა დადებული.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე: შ. მახარაძე

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე: შ. ელიავა

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი: ს. თოდრია

(გაზ. „კომუნისტი" 1926 წ. 11 სექტემბერი № 207)

დადგენილება № 47

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

მეფის დროის პოლიციისა, ჟანდარმთა ცალკე კორპუსისა და მენშევიკური მთავრობის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საგანგებო რაზმის ყოფილ მოსამსახურეთა მოქალაქეობრივი უფლებების აღდგენის წესის შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. თხოვნა მოქალაქეობრივ უფლებათა აღდგენის შესახებ იმ პირისა, რომელსაც ეს უფლებები ჩამორთმეული აქვს საქართველოს სოციალისტური საბჭ. რესპუბლიკის კონსტიტუციის 120 მუხლის „ე" პუნქტის ძალით, ე. ი. მეფის დროის პოლიციისა, ჟანდარმთა ცალკე კორპუსისა და მენშევიკური მთავრობის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საგანგებო რაზმის ყოფილი მოსამსახურის და აგენტისა, განხილულ უნდა იქნეს თვითეულ ცალკე შემთხვევაში, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ.

2. განცხადება მოქალაქეობრივი უფლებების აღდგენის შესახებ შეტანილი უნდა იქნეს მაზრის ან ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში განმცხადებლის ვინაობის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

3. მიიღებს რა განცხადებას, აღმასრულებელი კომიტეტი შეჰკრებს სათანადო ცნობებს განმცხადებლის ვინაობის და მისი წარსული სამსახურის შესახებ და შეამოწმებს მთხოვნელის მიერ მოწოდებულ ცნობების სისწორეს.

4. შეკრებილი ცნობები აღმასრულებელი კომიტეტის დასკვნით წარდგენილ უნდა იქნეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით, სრულიად საქართველოს საბჭოთა აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში, რომელიც გამოიტანს დადგენილებას მოქალაქეობრივ უფლებათა აღდგენის შესახებ ან უარყოფს ამ უფლებათა აღდგენას.

შენიშვნა: შეკრებილი მასალის განხილვის დროს აღმასრულებელმა კომიტეტმა უნდა გამოიჩინოს მაქსიმალური წინდახედულობა და სიფრთხილე.

5. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება მოქალაქეობრივ უფლებათა აღდგენის უარყოფის შესახებ საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. იმ პირს, რომლის მოქალაქეობრივი უფლებები სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით აღდგენილ იქნა, აქვს სხვა მოქალაქეთა თანაბრად:

ა) საბჭოებში არჩევის აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება,

ბ) პროფესიონალურ და სხვა ორგანიზაციებში არჩევის აქტიური და პასიური უფლება,

გ) სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებაში სამსახურის უფლება,

დ) სახალხო მსაჯულად, სასამართლოში დამცველად და მზრუნველად და მეურვედ ყოფნის უფლება.

7. ყველა ის პირი, რომელსაც საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის 120 მუხლის ძალით ჩამორთმეული აქვს მოქალაქეობრივი უფლებები და ამჟამად სახელმწიფო ან საზოგადო სამსახურში იმყოფება, ვალდებულია ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამ დადგენილების გამოქვეყნებისა, აღძრას ამ დადგენილებით გათვალისწინებული წესისამებრ თხოვნა მოქალაქეობრივი უფლებათა აღდგენის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სამსახურიდან დათხოვნილ უნდა იქნეს.

8. შინაგან საქმეთა და იუსტიციის სახალხო კომისრებს დაევალებათ გამოსცენ ამ დადგენილების განსავითარებლად დაწვრილებითი ინსტრუქცია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე: ფ. მახარაძე

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი: ს. თოდრია

1925 წ. 4 ოქტომბერი
თბილისი — სასახლე.
(გაზ. „კომუნისტი" 15 ოქტომბერი № 237).

დადგენილება № 72

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სისხლის სამართლის კოდექსის 115 მუხ. შეცვლის შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-11 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის მიერ 1924 წ. მარტის 10 თარიღითა და 77 ნომრით გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 115 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 115. უკანონოდ შეპყრობა, უკანონოდ მოყვანა, ადრეთვე დაკითხვის დროს ჩვენების იძულებით და უკანონო ღონისძიებით ჩამორთმევა გამოძიებისა ან მოკვლევის მომხდენის მიერ გამოიწვევს:

108 მუხლის 1 და 2 ნაწილში გათვალისწინებულ სოციალური დაცვის ღონისძიებას.

დაპატიმრება, ვით აღმკვეთი ღონისძიება, პირადი მოსაზრებითი ან ანგარებით გამოიწვევს —

108 მუხლის 1 ნაწილში გათვალისწინებულ სოციალური დაცვის ღონისძიებას.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარის მაგიერ: სუხიშვილი

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე: ს. ჯაფარიძე

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი: ს. თოდრია

1926 წ. ნოემბერი.
(გაზ. „კომუნისტი" 1926 წ. 1 დეკემბერი № 275).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისათვის 205-1 მუხლის დამატებისა და იმავე კოდექსის 288-1 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77-№-ით დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 205-1 მუხლი შემდეგი შინაარსისა: მუხ. 205-1 ჟენევის საერთაშორისო 1906 წლის კონვენციით დაწესებული საარმიო-სასანიტრო სამსახურის ემბლემისა და განსხვავებული ნიშნის („წითელი ჯვარი“ და „წითელი ნახევარ-მთვარე“) აგრეთვე „წითელი ჯვრისა“ და „წითელი ნახევარ-მთვარის“ სახელწოდების გამოყენება სათანადო უფლების გარეშე, კომერციული მიზნისათვის საფაბრიკო და სავაჭრო ნიშნის სახით ან, საერთოდ ამა თუ იმ პირადი სარგებლობის მისაღებად გამოიწვევს:

თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე ქონების ნაწილის კონფისკაციით ან ჯარიმას 1000 მანეთამდე.

2. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 228-1 მუხლის რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 228-1 „წითელი და შრომის დროშის“ ორდენისა, აგრეთვე „წითელი ჯვრისა“ და „წითელი ნახევარ-მთვარის“ ნიშნის ტარება ისეთი პირის მიერ, რომელსაც ამის უფლება არა აქვს, გამოიწვევს:

ჯარიმას 100 მანეთამდე ორდენის კონფისკაციით და საზოგადოებრივ გაკიცხვას, რაც გამოქვეყნებული უნდა იქნეს პრესაში მსჯავრდადებულის ხარჯით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე: შ. მახარაძე

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე: შ. ელიავა

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი: ს. თოდრია

1926 წ. თბილისი — სასახლე
(გაზ. „კომუნისტი“ 1926 წ. 9 დეკემბერი № 282)

დადგენილება № 73

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 და 17 მუხლის შეცვლისა და მე-16 მუხ. და 31 მუხ. „გ“ პუნქტის ამოშლის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საბჭ. სოც. რესპ. კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველთა მე-10 და 20 მუხ. შეცვლის შესახებ, 1926 წ. აგვისტოს 13-ს თარიღით გამოცემული დადგენილების თანახმად (სსრ კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კან. კრ. № 55 მუხ. 401) და სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10 თარიღისა და 77 ნომრის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 და 17 მუხ. შეცვალოს შემდეგნაირად: მუხ. 15. დანაშაული გაქარწყლდება და სისხლის სამართლის დევნა არ შეიძლება.

ა) როდესაც იმ დანაშაულის ჩადენიდან, რისთვისაც სასამართლოს შეუძლიან გადასწყვიტოს თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით, ან კანონით დაწესებული თავისუფლების აღკვეთა არანაკლებ ერთი წლისა, გაივლის ათი წელიწადი.

ბ) როდესაც იმ დანაშაულის ჩადენიდან, რისთვისაც სასამართლოს შეუძლიან გადასწყვიტოს თავისუფლების აღკვეთა ერთ წელზე მეტი ვადით, ხოლო არა უმეტეს ხუთი წლისა, ან კანონით დაწესებულია თავისუფლების აღკვეთა ვადით არანაკლებ ექვსი თვისა, გაივლის ხუთი წელიწადი.

გ) სხვა დანაშაულისათვის, გარდა სისხლის სამართლის კოდექსის 106, 157, 161 მუხ. I ნაწ., 177, 178, 180, 181 და 182 მუხ. გათვალისწინებული დანაშაულისა, როდესაც დანაშაულის ჩადენიდან გაივლის სამი წელიწადი.

დ) სისხლის სამართლის კოდექსის 106, 157 მუხ. 161 მუხ. I ნაწ. 177, 178, 180, 181 და 182 მუხ. გათვალისწინებული დანაშაულისათვის, — როდესაც მისი ჩადენიდან გაივლის ექვსი თვე.

ხანდაზმულობა შეფარდებული უნდა იქნეს, უკეთუ ჩადენილი დანაშაულის შესახებ მთლად ამ ხნის განმავლობაში არავითარი საქმე და გამოძიება არ წარმოებულა და თანაც ხანდაზმულობით დაფარული დანაშაულის ჩამდენს ამ მუხლში აღნიშნული ვადის განმავლობაში არ ჩაუდენია სხვა რაიმე, იმავე გვარის ან არა ნაკლებ მძიმე დანაშაული. გამამტყუნებელი განაჩენი სისრულეში სულაც არ მოიყვანება, უკეთუ იგი ასრულებული არ იქნა ათი წლის განმავლობაში მისი გამოტანის დღიდან.

17 მუხ. კონტრრევოლუციონური დანაშაულისათვის ხანდაზმულობის შეფარდება დამოკიდებულია სასამართლოზე თვითეულ შემთხვევაში ცალკე; ხოლო უკეთუ სასამართლო ხანდაზმულობის შეფარდებას შესაძლებლად ვერ სცნობს, დახვრეტა, თუ იგი გადაწყვეტილი იქნება ამა თუ იმ დანაშაულისათვის, აუცილებლად შეცვლილი უნდა იქნეს დამნაშავის მშრომელთა მტრად გამოცხადებად; საბჭ. სოც. რესპუბლიკის მოქალაქეობის უფლების ჩამორთმევით და საბჭ. რესპ. კავშირის ფარგლებიდან სამუდამოდ გაძევებით ან თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ ორი წლისა.

როგორც ხანდაზმულობის შეფარდება, ისე დახვრეტის შეცვლა იმ პირისათვის, ვინც პასუხისგებაში მიცემულ იქნება მუშათა კლასისა და რევოლუციონური მოძრაობის საწინააღმდეგო აქტიური მოქმედებისა და აქტიური ბრძოლისათვის, რაც მას გამოუჩენია პასუხსაგებ ან განსაკუთრებით საიდუმლო თანამდებობაზე სამეფო წესწყობილების დროს ან კონტრრევოლუციონურ მთავრობასთან სამოქალაქო ომის დროს; — დამოკიდებულია სასამართლოზე.

2.

სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოშლილი იქნეს მე-16 მუხლი და 31 მუხ. „გ“ პუნქტი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე: ზ. მახარაძე

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე: ს. ჯაფარიძე

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი: ს. თოდრია

(გაზ. „კომუნისტი“, 1926 წ. 10 დეკემბერი № 283).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუდმივი კომისიების როლი ამომრჩეველთა განაწესების შესრულებაში

ა. გოგბრონიძე,
მშრომელთა დეპუტატების მახარაძის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

კომუნისტური პარტია დიდ მუშაობას ეწევა სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფისათვის, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში მშრომელი მასების აქტიური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. რაც უფრო წინ მივდივართ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზით, მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, მათი მუდმივი კომისიები, დეპუტატები უფრო შემოქმედებითად მუშაობენ.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ადამიანების ყოფაცხოვრებაში არ არის არც ერთი საკითხი, რომელიც დაკავშირებული არ იყოს ადგილობრივი საბჭოების მოღვაწეობასთან. ადგილობრივი საბჭოები ხელმძღვანელობენ საბინაო მშენებლობას, მოსახლეობის კომუნალურ მომსახურებას, ზრუნავენ სახალხო განათლების, ჯანმრთელობის, ვაჭრობის განვითარებისათვის, წარმართავენ კლუბების, კინოთეატრების, ბიბლიოთეკების საქმიანობას და სხვ.

ადგილობრივი საბჭოების წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მუდმივი კომისიები. როგორც საბჭოების ყველაზე მასობრივი ორგანოები, ისინი აქტიურად ეხმარებიან ადგილობრივ საბჭოებს განახორციელონ სოციალურ-პოლიტიკური და ადმინისტრაციულ-სამეურნეო მშენებლობისადმი ხელმძღვანელობა.

„მუდმივი კომისიები ქმნიან ხალხის რჩეულთა აქტიურობის ახალი აღმავლობის ხელსაყრელ პირობებს, რომლებიც შესაძლებლობას გვაძლევენ უფრო მეტად გამოვიყენოთ დეპუტატთა ცოდნა და გამოცდილება, გავითვალისწინოთ ამომრჩეველთა აზრი“[1].

მუდმივი კომისიები აქტიურად მონაწილეობენ გადაწყვეტილებათა პროექტებისა და დასკვნების მომზადებაში იმ საკითხებზე, რომლებიც მათი მოქმედების სფეროში შედის. მათ უფლება აქვთ შეიტანონ ეს წინადადებები, დასკვნები და გადაწყვეტილებათა პროექტები აღმასკომის ან საბჭოს სესიის განსახილველად.

მუდმივი კომისიების მუშაობის ფორმები მრავალფეროვანია. ისინი უზრუნველყოფენ სესიებს შორის საბჭოების კავშირს მასებთან, რაც საბჭოების საქმიანობას ანიჭებს მუდმივ და უწყვეტ ხასიათს. კომისიები — ეს ის რგოლია, სადაც საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ნიშნები ერთმანეთს მჭიდროდ ერწყმის.

მუდმივი კომისიების ცხოველმყოფელობა დამოკიდებულია თვით დეპუტატების, ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ მუშაობაზე.

დეპუტატები აღჭურვილი არიან მასების ნდობით და მხარდაჭერით, ამი-

---

[1] გაზეთი „კომუნისტი“, 1966 წელი, 3 ავგისტო, № 175.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტომ ისინი მოქმედებენ მთელი ენერგიითა და პრინციპულობით. სახელმწიფო ორგანოები, საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები კი ვალდებული არიან ქმედითი ღონისძიებანი განახორციელონ დეპუტატების მიერ წამოყენებულ წინადადებათა გადასაჭრელად.

„საბჭოთა დეპუტატი ხომ ურთიერთობას არ წყვეტს წარმოებასთან, არ ხდება პროფესიონალი პარლამენტარი, იგი მუდმივად ცხოვრობს ხალხის შუაგულში, იცის მისი საჭიროებანი და საზრუნავი და ხალხის აზრები, მისი მისწრაფებანი მიაქვს საბჭოში.

სახელმწიფო საქმიანობის რა სფეროსაც უნდა მივმართოთ, საბჭოთა დეპუტატი ყველგან და ყოველთვის ხალხის ნების გამოხატველი და განმახორციელებელი, თავისი ამომრჩევლების ინტერესთა წარმომადგენელია“[2].

პარტიული და საბჭოთა ორგანოები მოვალენი არიან მხარი დაუჭირონ დეპუტატების ინიციატივას, გაზარდონ მათი პასუხისმგებლობა ამომრჩევლების წინაშე.

სოციალიზმიდან კომუნიზმზე გარდამავალ პერიოდში მასების აქტივობის ზრდის ერთ-ერთი გამოხატულებაა ის, რომ ამომრჩევლები წინასაარჩევნო კრებებზე დეპუტატების კანდიდატებს განაწესებს აძლევენ. განაწესის მიღება და მისი შესრულებისათის თანმიმდევრული ბრძოლა სადეპუტატო მოვალეობის შესრულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

ამომრჩეველთა განაწესები თვითეული მშრომელის, საბჭოს, მისი აღმასრულებული ორგანოს ნების გამოვლინებაა და ყოველდღიური ცხოვრებიო ნაკარნახევი კონკრეტული, პრაქტიკული საკითხებია, რომლებიც მარტო საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში კი არ იქმნება, არამედ ამომრჩეველთა და დეპუტატთა ხანგრძლივ შეხვედრებისა და კონტაქტების ნაყოფია იმ გადაუჭრელ პრობლემათა გადასაწყვეტად, რომელთა განხორციელების ობიექტური პირობებიც არსებობს.

საბჭოების დეპუტატების ძირითადი მოვალეობაა სისტემატურად აბარებდნენ ამომრჩევლებს ანგარიშს თავიანთი მუშაობის, ამომრჩეველთა განაწესების შესრულების შესახებ, რომლებიც წარმოადგენენ მისი მოქმედების კონკრეტულ პროგრამას.

„საბჭოების დეპუტატები, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1957 წლის 22 იანვრის დადგენილებაში „მშრომელთა დეპუტატების საქმიანობის გაუმჯობესებისა და მასებთან მათი კავშირის გაძლიერების შესახებ“,— მუდამ უნდა ტრიალებდნენ ხალხში, იცოდნენ მასების საჭიროება, მოთხოვნილება და განწყობილება, რეგულარულად ხვდებოდნენ ამომრჩევლებს, ყურადღებით განიხილავდნენ მოსახლეობის განცხადებებსა და საჩივრებს, ეხმარებოდნენ მათ თხოვნის დაკმაყოფილებაში“[3].

თავიანთ დეპუტატებზე ამომრჩევლები მსჯელობენ მათი მუშაობის შედეგების მიხედვით, იმის მიხედვით, თუ როგორ ასრულებენ ისინი ამომრჩეველთა განაწესებს.

დეპუტატებისათვის მიცემულ განაწესებში ვლინდება საბჭოთა ადამიანების დიდი ზრუნვა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული განვითარებისათვის, მშრომელი მასების კეთილდღეობის ამაღლებისათვის. თუ გადავხედავთ მშრო-

[2] გაზეთი „კომუნისტი“, 1966 წელი, 10 ივნისი, № 132.

[3] Справочник партийного работника, М., 1957 г., стр. 450-452.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შელთა განაწესებს, დავინახავთ, რომ ისინი ძირითადად ასახავენ იმ ამოცანებს, რომლებიც მიმდინარე ეტაპზე დგას საბჭოების წინაშე სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში. ისინი მეტ წილად შესულია სახელმწიფო გეგმებში. ამიტომ განაწესების განხორციელება წარმოადგენს მნიშვნელოვან წვლილს მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში, საბჭოთა სახელმწიფო ორგანოების წინაშე მდგომი კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტაში.

ცხოვრების წინსვლამ, პარტიისა და მთავრობის მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა ქალაქსა და სოფელს შორის არსებულ განსხვავებათა თანდათანობით მოსპობისათვის განაპირობა ის, რომ სოფლის მშრომელები, ამომრჩევლები განაწესების სახით აყენებენ დაბების, სოფლების კეთილმოწყობის, საყოფაცხოვრებო კომბინატების, ავტომატური სატელეფონო სადგურების, ხიდების, გზების, წყალსადენების, აბანოების, სპორტული მოედნების, საერთო საცხოვრებლების, სავაჭროების, მგზავრთა მოსაცდელებისა და სხვათა მშენებლობისა და კეთილმოწყობის საკითხებს. დეპუტატები მთელი სერიოზულობით და პასუხისმგებლობით ეკიდებიან თავიანთი მოვალეობის შესრულებას, რაზეც მეტყველებს ის ფაქტიც, რომ უკანასკნელ პერიოდში რესპუბლიკაში გაუმჯობესდა განაწესების შესრულება. მიუხედავად ამისა, არის შემთხვევები, როდესაც ეს საქმე თვითდინებაზეა მიშვებული. ზოგჯერ განაწესებში გათვალისწინებულია ისეთი ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება აღემატება დეპუტატებისა და წარმომადგენლობითი ორგანოების რეალურ შესაძლებლობებს.

ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებებზე ხშირად ამომრჩევლები დეპუტატობის კანდიდატებს აძლევენ ისეთ განაწესებს, რომლებიც მოითხოვენ უზარმაზარ კაპიტალურ დაბანდებებს, რაც დროის ამ მონაკვეთისათვის ჯერ კიდევ არ არის და არც შეიძლება გათვალისწინებულ იქნას სახალხო-სამეურნეო გეგმებში.

არის შემთხვევები, როცა წინასწარ ცნობილია, რომ ასეთ წინადადებებს არა აქვს რეალური საფუძველი, მაგრამ დეპუტატები და საბჭოები ამას არ განუმარტავენ ამომრჩევლებს. საქმისადმი ასეთ მიდგომას საბოლოოდ იქამდე მივყავართ, რომ განაწესების ერთი ნაწილი შეუსრულებელი რჩება, ამომრჩევლებისათვის კი მათი შეუსრულებლობის მიზეზები ცნობილი არ არის.

ბუნებრივია, რომ განაწესების მიღების ასეთი პრაქტიკა სწორი არ არის. ამით ეცემა საბჭოთა ორგანოებისა და დეპუტატების ავტორიტეტი, მცირდება ამომრჩეველთა განაწესების როლი და მნიშვნელობა. განაწესებში უნდა აისახოს ის წინადადებანი და საკითხები, რომელთა განხორციელებისათვის რეალური საფუძველი არსებობს. ხოლო დაუსაბუთებელ განაწესებზე ამომრჩევლებს სათანადო განმარტება უნდა მივცეთ.

ამომრჩეველთა განაწესების განხროციელება მეტწილად დამოკიდებულია დეპუტატების აქტივობაზე. დეპუტატების ინიციატივითა და ამომრჩეველთა აქტიური მონაწილეობით ბევრი რამ კეთდება.

გამოცდილება გვარწმუნებს იმაში, რომ საარჩევნო ოლქში იმ დეპუტატს უფრო კარგად აქვს საქმეები მოწესრიგებული, ვინც ამომრჩეველთა ინტერესების გათვალისწინებით არა მარტო მონაწილეობს სესიებზე უმნიშვნელოვანესი საკითხების განხილვაში, არამედ იბრძვის კიდეც მათი განხორციელებისათვის.

იმისათვის, რომ ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ორგანიზაცია საარჩევნო კამპანიის პროცესიდანვე იყოს განმტკიცებული, იგი ამომრჩეველთა კრებებზე საარჩევნო ოლქების მიხედვით უნდა განიხილებოდეს. პროექტს წი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნასწარ უნდა იმუშავებდეს ის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელმაც წამოაყენა დეპუტატობის კანდიდატი. განაწესები, რომლებიც წინასაარჩევნო კრებებზე იქნა მიღებული, უნდა ეგზავნებოდეს მოცემული საბჭოს აღმასკომს. სესიებზე უნდა განიხილებოდეს საკითხი ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებათა შესახებ. სესიისათვის მას უნდა ამზადებდეს სწორედ მოცემული საბჭოს აღმასკომი.

განაწესების შესრულების კონტროლი მუდმივი კომისიების ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობა უნდა იყოს. სამწუხაროდ, ეს ძალიან იშვიათია მუდმივი კომისიების მუშაობის პრაქტიკაში.

სესია უნდა განიხილავდეს განაწესების გამო მიღებულ ღონისძიებათა შესრულების მიმდინარეობას. სასურველია ასეთი პრაქტიკა განმტკიცებულ იქნას საკანონმდებლო წესით, რაც ხელს შეუწყობს განაწესების სრულყოფას, შემდგომ განმტკიცებას, დეპუტატებისა და ამომრჩევლების საქმიან კავშირს. სესიის გადაწყვეტილება უნდა გაეგზავნოს შესაბამის ორგანიზაციებს და გაეცნოს ამომრჩევლებს, რაც ხელს შეუწყობს დასახული ამოცანების, განაწესების რეალურად განხორციელებას.

გადაწყვეტილებები უნდა ეგზავნებოდეს აგრეთვე მუდმივ კომისიებსაც, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში კონტროლს გაუწევენ მათი შესრულების მიმდინარეობას. დეპუტატებმა წინასწარ უნდა გაარკვიონ და განიხილონ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან ერთად, თუ რომელი მათგანი რას გააკეთებს სესიის გადაწყვეტილების შესასრულებლად. ამომრჩეველთა კრების მსვლელობისას კი უნდა გაირკვეს და ჩამოყალიბდეს ის ღონისძიებანი, რომლებიც განხორციელებულ იქნება თვით ამომრჩეველთა შრომითი მონაწილეობით. დეპუტატებისა და ამომრჩევლების შეხვედრისას უნდა შემუშავდეს ორმხრივი ვალდებულებანი.

საერთო წარმატებების მოპოვება გარანტირებულ იქნება იმით, თუ რა ძალით გაიშლება მშრომელთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობა განაწესით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებაში, რითაც დაძლეულ იქნება საბჭოების მუშაობაში არსებული ერთგვარი ფორმალიზმი. ეს ხელს შეუწყობს საბჭოების გარშემო აქტივისტების შემოკრებას, მშრომელთა მისწრაფებას — სისტემატურად მონაწილეობდეს კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაჭრაში.

ამომრჩეველთა განაწესების მიღებისა და განხორციელების სწორედ ასეთი პრაქტიკა დამკვიდრდა მშრომელთა დეპუტატების მახარაძის რაისაბჭოში. ჯერ კიდევ 1965 წელს, მეათე მოწვევის საბჭოს მეორე სესიაზე პირველად იქნა განხილული საკითხი — „რაისაბჭოს დეპუტატების მიმართ ამომრჩეველთა განაწესების შესრულების შესახებ“.

იმავე მოწვევის საბჭოს მეოთხე სესიაზე, ასევე პირველად იქნა მოსმენილი თხინვალის № 12, ლაითურის № 19, ბაილეთის № 26 და ქ. მახარაძის მოიდანახის № 42 საარჩევნო ოლქების დეპუტატების ანგარიშები განაწესების შესრულების თაობაზე. ამ ღონისძიებამ საგრძნობლად გაზარდა დეპუტატების პასუხისმგებლობა, დააჩქარა იმ საკითხების მოგვარება, რომლებიც განაწესებით იყო გათვალისწინებული. შემდგომ წლებშიც, როგორც წესი, მტკიცედ დაკანონდა ახალი მოწვევის რაისაბჭოს ყოველ მეორე სესიაზე განხილვა საკითხისა „ამომრჩეველთა მიერ დაყენებული განაწესების შესრულების ღონისძიებათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესახებ". მანამდე წინასწარ წარმოებს დიდი მუშაობა. ხდება განაწესების შესწავლა, გაანალიზება, მათი განხორციელების შესაძლებლობის განსაზღვრა.

ასეთსავე მუშაობას ეწევიან სასოფლო, სადაბო, საქალაქო საბჭოებიც. უკვე 1967 წლიდან მახარაძის რაიონის სასოფლო, სადაბო, საქალაქო საბჭოები თავიანთ პირველ სესიებზე წინასწარ ღონისძიებათა განხორციელების შემდეგ ამტკიცებენ განაწესებს. მაგალითად, 1969 წელს სასოფლო, სადაბო, საქალაქო საბჭოების პირველ სესიებზე განხილულ იქნა 1185 განაწესი, რომელთაგან შესასრულებლად სასოფლო საბჭოებმა მიიღეს და დაამტკიცეს 823 (895-დან), საქალაქო საბჭომ —163-დან 137.

სესიის მომზადების პერიოდშივე გაიშალა მუშაობა განაწესების განხორციელებისათვის, რის შედეგადაც 171 განაწესიდან ბევრი შესრულდა, მაგალითად, შრომის, ანასეულის, ლაითურისა და ნატანების მოსწავლე ახლგაზრდობა ახალ სასწავლო წელს ახალ სასკოლო შენობებში გადავიდა. სოფ. შრომაში აიგო საბავშვო ბაგის შენობა. ასკანელი პატარებისათვის გაიხსნა საბავშვო ბაღი. შესრულდა განაწესები გზებისა და ხიდების მშენებლობის შესახებ. ქალაქ მახარაძეს დასავლეთით შეემატა ხიდი, რომლის ღირებულება 650 ათასი მანეთია. ხოლო ჩრდილოეთით, მაკვანეთის მიმართულებით მდ. ბჟუჟისწყალზე აიგო კიდევ ერთი ახალი ხიდი, რომელიც 211 ათასი მანეთი დაჯდა.

მახარაძის რაისაბჭო აგრძელებს თავის მიერ დაწყებულ პრაქტიკას განაწესების შესრულების მდგომარეობის შემოწმების შესახებ. 1968 წლის მარტში მეორე მოწვევის რაიონული საბჭოს მეშვიდე სესიამ შეისწავლა ამ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილების შესრულება. გამოირკვა, რომ 180 განაწესიდან შესრულებული არ იყო მხოლოდ 26, ასევე 1970 წლის 22 მაისს მეთორმეტე მოწვევის რაიონული საბჭოს მერვე სესიამ მოისმინა სამანდატო კომისიის მოხსენება დეპუტატებისათვის მიცემული განაწესების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

განაწესების შესრულების თაობაზე საკითხის მოსმენა, როგორც წესი, დამკვიდრდა აგრეთვე რაიონის სასოფლო, სადაბო საბჭოებში. მაგალითად, ლიხაურის სასოფლო საბჭოს სესიამ 1969 წლის 12 სექტემბერს მოისმინა საკითხი— „ამომრჩეველთა მიერ დაყენებული განაწესების თაობაზე ლიხაურის სასოფლო საბჭოს 1969 წლის 25 მარტის გადაწყვეტილების შესრულების მდგომარეობის შესახებ".

განაწესების შესრულების ღონისძიებათა თაობაზე სესიების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს უმჯობესია ამოწმებდნენ საბჭოს სამანდატო და ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის კომისიები.

სასოფლო და სადაბო საბჭოებთან, სადაც არ ხერხდება ორგმასობრივი მუშაობის კომისიების შექმნა, ეს საქმიანობა მთლიანად უნდა დაეკისროს სამანდატო კომისიებს.

განაწესების შესრულებისადმი კონტროლი რაისაბჭოს აღმასკომს თავის ერთ-ერთ პირველხარისხოვან ამოცანად მიაჩნია. რაისაბჭოს აღმასკომი მტკიცედ მოითხოვს, რომ ზუსტად აღირიცხებოდეს და მუდმივი კონტროლის ქვეშ იყოს აყვანილი თვითეული განაწესი, ამომრჩეველთა ყველა სასარგებლო წინადადება, რომ მთელი მოღვაწეობა დაექვემდებაროს პრაქტიკულ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლმეურნეობათა სარჩელით აღძრულ საქმეთა განხილვის სასამართლო პრაქტიკა

გ. იოსავა,
საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე,
გ. დევდარიანი,
საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

საკოლმეურნეო კანონმდებლობამ უკანასკნელ ხანს განიცადა მთელი რიგი ცვლილებები. ამ სიახლეთა ფონზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება კოლმეურნეობათა სარჩელით აღძრულ საქმეებზე სწორი და ერთიანი სასამართლო პრაქტიკის დადგენას. არასრული მონაცემებით 1969 წელს და 1970 წლის 1-ლ ნახევარში კოლმეურნეობების მიერ სასამართლოებში აღძრული სარჩელების საერთო თანხა მოქალაქეებისა და იურიდიული პირების მიმართ შეადგენს 789.599 მანეთს.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა, გაითვალისწინა რა ამ კატეგორიის საქმეთა დროულად და კანონიერად გადაწყვეტის მნიშვნელობა, 1970 წლის 6 ოქტომბერს მიიღო დადგენილება — „სასამართლოების მიერ კანონმდებლობის გამოყენება იმ დავების გადაწყვეტის დროს, როდესაც ერთ-ერთი მხარეა კოლმეურნეობა". კანონმდებლობის სიახლეთა გათვალისწინებით დადგენილება განმარტავს სასამართლო პრაქტიკის ყველაზე აქტუალურ საკითხებს.

საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ შეისწავლა ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის სასამართლო პრაქტიკა. პრაქტიკის განზოგადებასთან დაკავშირებით სასამართლოდან გამოთხოვილ და გადასინჯულ იქნა 1280 საქმე.

1969 წელს და 1970 წლის პირველ ნახევარში სასამართლოებში კოლმეურნეობების სარჩელით აღძრულია 1735 საქმე; აქედან 1497 საქმე — დებიტორული დავალიანების დაფარვის თაობაზე, ხოლო 238 საქმე — ქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ. სარჩელი დაკმაყოფილებულია 1501 საქმეზე (აღძრულ საქმეთა 88,1 პროცენტი), დადგენილ ვადაში განხილულია 1684 საქმე (განხილულ საქმეთა 97,1 პროცენტი).

1969 წელს წინა წელთან შედარებით აღძრულია 251 საქმით მეტი, ხოლო 1967 წელს აღძრული იყო 1000 საქმით მეტი, ვიდრე 1969 წელს. სარჩელთა უმრავლესობა წარსულ წლებში (1963-64-65-66 წ.წ.) წარმოქმნილი დებიტორული დავალიანებების დაფარვას ეხება. მეტნაკლები რაოდენობით მათი აღძვრა იმით არის გაპირობებული, თუ რა ღონისძიებები ხორციელდებოდა ამა თუ იმ პერიოდში პარტიული, საბჭოთა ორგანოების, პროკურატურის მიერ დებიტორული დავალიანების სალიკვიდაციოდ.

პრაქტიკის განზოგადება ცხადყოფს, რომ ამ ხასიათის დავების განხილვა-გადაწყვეტის საქმეში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. განვიხილოთ, რაში მდგომარეობს ეს ნაკლოვანებანი.

1. პრაქტიკის განზოგადებასთან დაკავშირებით შესწავლილი საქმეებიდან კოლმეურნეობისათვის მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურებაზე აღძრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია 150 საქმე. აქედან 50 სარჩელი შეეხებოდა კოლმეურნეობის მსხვილფეხა პირუტყვის დაკარგვით ან დაღუპვით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას, 10 — კოლმეურნეობის ნათესებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, 31 — საკოლმეურნეო ტყის გაჩეხვით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, 50 საქმე კი — კოლმეურნეობის ნაკვეთებიდან მიღებული მოსავლის ანაზღაურებას ან მათი არასათანადო დამუშავების შედეგად მოსავლის დანაკარგის ანაზღაურებას.

იმ პირთა მატერიალურ პასუხისმგებლობას, რომლებიც დამნაშავენი არიან კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის პირუტყვის დაღუპვაში, აწესრიგებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 17 თებერვლის დადგენილება. დაღუპული პირუტყვის ღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ერთმაგი ფასებით, ხოლო სანაშენო და ადგილობრივი გაუმჯობესებული ჯიშის საქონლისა — სანაშენო და ადგილობრივი გაუმჯობესებული ჯიშის საქონლის ფასებით.

სასამართლოები ხშირად არ ასრულებენ ამ დადგენილების მოთხოვნებს და გადაწყვეტილებაში საერთოდ არ მიუთითებენ, თუ რა ფასებით უნდა ანაზღაურდეს დაღუპული პირუტყვის ღირებულება. ასე, მაგალითად: წულუკიძის რაიონის სახალხო სასამართლომ 1969 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით კ. შუღლაძეს, მ. ჩარგეიშვილს, ნ. რატიანს, მ. კოპალიანს დააკისრა ცხრა ღორის ღირებულების — 1289 მანეთის გადახდა წულუკიძის რაიონის სოფ. გონდუათის კოლმეურნეობის სასარგებლოდ. გადაწყვეტილებაში არ არის ნათქვამი, თუ რა ფასებით განისაზღვრა ღირებულება. ასეთივე დარღვევით გადაწყვიტა ახალციხის სახალხო სასამართლომ სოფ. კოხწირის კოლმეურნეობის სარჩელი შ. გოგიაშვილისათვის ძროხის ღირებულების დაკისრების შესახებ, სოფ. ვანის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის სარჩელი — დ. ჩავლეიშვილისათვის ერთი ღორის ღირებულების დაკისრების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1970 წლის 6 ოქტომბრის № 10 დადგენილების მე-6 მუხლის შესაბამისად, პირებს, რომლებმაც უნებართვოდ დაამუშავეს კოლმეურნეობის კუთვნილი მიწები ან თვითნებურად აიღეს მოსავალი, იგი უნდა გადახდეთ ნატურით. თუ ეს შეუძლებელია, მოსავლის ღირებულება უნდა გადახდეთ სახელმწიფო საცალო ფასებით, ხოლო თუ ასეთი არ არსებობს, საბაზრო ფასებით. კანონის მოთხოვნის მიუხედავად სასამართლოები, როგორც წესი, არ არკვევენ, შესაძლებელია თუ არა მოპასუხეს ანაზღაურება დაეკისროს ნატურით, ამავე დროს მოსავლის თვითნებურად აღების ფაქტთან დაკავშირებით ანაზღაურებას აკისრებენ ისეთი აქტების მიხედვით, რომლებშიც საერთოდ არ არის მითითებული, თუ რის საფუძველზე შეფასდა მოსავალი. შემოწმების პროცესში გამოვლინდა ,რომ ამ კატეგორიის ორმოცდაათივე საქმე ასეთი დარღვევით არის განხილული.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის დადგენილება „კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისათვის წანახედით და ძოვებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ აწესებს, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის წანახედით, ძოვებით და ნარგავების დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება და დაჯარიმება ხდება ადმინისტრაციული წესით სასოფლო, სადაბო ან საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით. ამ კატეგორიის საქმეები სასამართლო განხილვას არ ექვემდებარება.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი სასამართლო ჯერ კიდევ იღებს თავის წარმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებაში ასეთ საქმეებს, განიხილავს და წყვეტს მათ არსებითად. ტყიბულის რაიონის სახალხო სასამართლომ 1969 წლის 10 ოქტომბერს განიხილა ტყიბულის რაიონის სოფ. სოჩხეთის კოლმეურნეობის სარჩელი გ. გოჩელაშვილის მიმართ პირუტყვის ძოვებით ნათესებისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ, აგრეთვე იმავე კოლმეურნეობის სარჩელი ი. ბეშქენაძისათვის პირუტყვის მიერ წანახედით მიყენებული ზარალის 41 მანეთის გადახდევინების შესახებ.

2. პრაქტიკის განზოგადებასთან დაკავშირებით შესწავლილი 1280 საქმიდან სარჩელი დებიტორული დავალიანების დაფარვისათვის აღძრულია 1042 საქმეზე (81,4 პროცენტი), მათ შორის რაიონის პროკურორის მიერ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის შესაბამისად — 1010 საქმეზე (აღძრულ საქმეთა 96,9 პროცენტი). სარჩელი დაკმაყოფილებულია 1015 საქმეზე (97,4 პროცენტი).

საქმეთა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ბევრ კოლმეურნეობაში დებიტორული დავალიანების აღრიცხვიანობა ქაოსურ მდგომარეობაშია. წლების მანძილზე არ ზრუნავენ დებიტორული დავალიანების ამოღებისათვის და შემდეგ სარჩელებს აღძრავენ დიდი დაგვიანებით, ზოგჯერ კოლმეურნეობებს აღარ მოეპოვებათ პირველადი ჩანაწერები დებიტორულ დავალიანებათა შესახებ. ეს შეუძლებელს ხდის სასამართლოებში ფაქტიური ვითარების გარკვევას და დავის სწორად გადაწყვეტას.

ყვარლის რაიონის ბალღოჯიანის კოლმეურნეობამ 1969 წლის 2 მარტს აღძრა სარჩელი და მოითხოვა, რათა მ. იმერლიშვილს დაკისრებოდა 154 მანეთის, ხოლო ვ. გელიაშვილს 165მანეთის გადახდა, რაც მოპასუხეებს მიღებული ჰქონდათ კოლმეურნეობიდან 1959 წელს, ე. ი. 10 წლის წინათ. კოლმეურნეობას არ მოეპოვებოდა პირველადი ჩანაწერები მოპასუხეების ხელის მოწერით და საერთოდ მონაცემები, თუ რისგან შედგებოდა ეს თანხა.

გალის რაიონის სოფ. თაგილონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ აღძრა სარჩელი და მოითხოვა, რათა ა. გეგიძეს დაკისრებოდა 1231 მანეთი, ხოლო ი. აკობიას — 234 მანეთი, რაც მათ ავანსის სახით მიღებული ჰქონდათ კოლმეურნეობიდან 1962 წელს, ე. ი. 7 წლის წინათ. მოპასუხეზე ავანსის გაცემის დამადასტურებელი პირველადი საბუთები მოსამართლემ ვერ წარმოადგინა სასამართლოში.

ასპინძის რაიონის სოფ. დამალის კოლმეურნეობამ 1969 წლის 18 აპრილს აღძრა სარჩელი და მოითხოვა შ. საგატელიანს დაკისრებოდა დებიტორული დავალიანების 700 მანეთის გადახდა, რაც მოპასუხის მეუღლეზე აწ გარდაცვალებულ ლ. საგატელიანზე ირიცხებოდა 1955 წლიდან. იმავე კოლმეურნეობამ მოითხოვა ა. გრიგორიანს დაკისრებოდა დებიტორული დავალიანება 471 მანეთი, რაც მოპასუხეზე ირიცხებოდა 1958 წლიდან. იმავე რაიონის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობამ 1969 წლის ივნისის თვეში აღძრა სარჩელი და მოითხოვა ბ. ნათენაძეს დაკისრებოდა დებიტორული დავალიანება 546 მანეთი, რაც მოპასუხეზე ირიცხებოდა 1954 წლიდან.

დმანისის რაიონის სოფ. სარკინეთის კოლმეურნეობამ 1970 წლის აპრილის თვეში აღძრა სარჩელები და მოითხოვა, რათა დაკისრებოდათ დებიტორული დავალიანების ანაზღაურება — ა. კატირჯიევს 224 მანეთი, ვ. გიორგევს — 210 მანეთი, ა. ზეპიროვს — 200 მანეთი, რაც მათზე ირიცხება 1960 წლიდან.

სარჩელები ასეთი დაგვიანებით აღძრულია საქართველოს სსრ თითქმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა რაიონის კოლმეურნეობების მიერ. 1042 საქმიდან 960 საქმე (92,1 პროცენტი) ეხება იმ დავალიანების ანაზღაურებას, რაც წარმოქმნილია 5-6-7 წლის წინათ.

სასამართლოები არ ახდენენ რეაგირებას კოლმეურნეობების გამგეობათა მიმართ ასეთი გულგრილობისათვის. შემოწმებული საქმეებიდან მხოლოდ ერთზეა კერძო განჩინება.

ასევე არავითარი რეაგირება არ მოახდინა ბათუმის რაიონის სახალხო სასამართლომ სოფ. ხელვაჩაურის კოლმეურნეობის სარჩელზე. კოლმეურნეობა მოითხოვდა დაკისრებოდათ ხ. თურმანიძეს, მ. დუმბაძეს, ს. კონცელიძეს და სხვებს კოლმეურნეობიდან უკანონოდ მიღებული პენსია. საქმის მასალებით ირკვევა, რომ ამ პირებს შრომის სტაჟის ყალბი ცნობების წარდგენით უკანონოდ დაენიშნათ პენსიები და ამ გზით მათ კოლმეურნეობისაგან მიიღეს 2646 მან. და 40 კაპ.

3. კოლმეურნეობა სანიმუშო წესდების შესაბამისად უფლებამოსილია დადოს გარიგება სხვადასხვა სამუშაოს შესრულებაზე, აგრეთვე შევიდეს სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობაში, რომელიც მისი სამეურნეო საქმიანობის მიზნებს შეესაბამება.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1970 წლის 6 ოქტომბრის № 10 დადგენილების მე-10 მუხლის შესაბამისად კოლმეურნეობის მიერ ორგანიზაციებთან და მოქალაქეებთან დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელების განხილვის დროს სასამართლომ უნდა იქონიოს მსჯელობა ხელშეკრულების კანონიერებაზე. თუ დადგინდა, რომ ხელშეკრულება არ შეესაბამება კანონს, კოლმეურნეობის სანიმუშო წესდებას, აგრეთვე ეწინააღმდეგება კოლმეურნეობის საქმიანობის მიზნებს და ზიანს აყენებს კოლმეურნეობის სასოფლო-სამეურნეო წარმოებას სასამართლო მოვალეა ასეთი გარიგება ბათილად ცნოს ყველა შედეგით, რასაც ითვალისწინებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-14 მუხლი.

ქობულეთის რაიონის სოფ. ხალას კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მ. ვასაძე თავისი საკუთარი მსუბუქი მანქანით დაიქირავა მძღოლად და მისცა კოლმეურნეობის თანხები 135 მანეთი ხელფასის სახით.

მაიაკოვსკის რაიონის სოფ. დიმის სვერდლოვის სახელობის კოლმეურნეობამ 1969 წლის 5 აგვისტოს ხელშეკრულება დაუდო მაიაკოვსკის საკონსერვო ქარხანას. ხელშეკრულების მიხედვით კოლმეურნეობამ საკონსერვო ქარხანას დაუგო 1800 კვ. მეტრი ასფალტბეტონი, რაშიც უნდა მიეღო გასამრჯელო 5472 მანეთი.

გეგეჭკორის რაიონის სოფ. ნაგვაზაოს კოლმეურნეობამ გეგეჭკორის საომხმარებლო საზოგადოებას დაუდო ხელშეკრულება, რომლითაც იკისრა ნაგვაზაოს ცენტრში მომხმარებელთა საზოგადოებისათვის აეშენებინა კაპიტალური სასადილო 200 კვ. მ. ფართობით, რაშიც საზოგადოებას უნდა გადაეხადა 16.140 მანეთი.

იმავე კოლმეურნეობამ გეგეჭკორის სამომხმარებლო საზოგადოებასთან დადებული ხელშეკრულებით იკისრა ვალდებულება ქვედა ნაგვაზაოს უბანში ტიპიური პროექტით ააშენოს კაპიტალური უნივერსალური მაღაზია, რაშიც საზოგადოებას უნდა გადაეხადა 11.860 მანეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხულოს რაიონის სოფ. დიოკნისის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობამ 1969 წლის 15 სექტემბერს დაუდო ხელშეკრულება ხულოს რაიონის ტაბახმელის დაწყებითი სკოლის დირექციას. ხელშეკრულების მიხედვით კოლმეურნეობას თავისი მუშახელითა და მასალით უნდა ჩაეტარებინა სკოლის კაპიტალური რემონტი.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ხელშეკრულებები აშკარად ეწინააღმდეგება კოლმეურნეობის საწარმოო საქმიანობის მიზნებს, სასამართლოებს არც ერთ საქმეზე არ უმსჯელიათ ხელშეკრულების კანონიერებაზე და არ დაუსვამთ საკითხი ზემდგომი ორგანოების წინაშე ასეთი დარღვევების აღსაკვეთად.

4. სასამართლოები ცალკეულ შემთხვევებში უგულებელყოფენ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 149-150 მუხლების მოთხოვნას საქმის წინასწარ მომზადებისა და გარჩევისათვის დანიშვნის შესახებ, საქმეებს განიხილავენ დიდი ხნით გაჭიანურებით. ეს აფერხებს დებიტორული დავალიანების ლიკვიდაციისათვის ბრძოლას.

გაგრის რაიონის პროკურორმა სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 41 მუხლის შესაბამისად 1969 წლის 15 მაისს აღძრა სარჩელი და მოითხოვა ვ. კარაკეიანს გაგრის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის სასარგებლოდ დაკისრებოდა 300 მანეთი.გაგრის რაიონის სახალხო სასამართლოში საქმე 5 თვის მანძილზე იმყოფებოდა უმოძრაოდ და საბოლოოდ გადაწყვეტილ იქნა 1969 წლის 16 დეკემბერს, ე. ი. 7 თვის შემდეგ.

იმავე სასამართლომ გაგრის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მიერ 1969 წლის 15 მაისს აღძრული სარჩელი მ. გეორხელიძისათვის 144 მანეთის დაკისრების შესახებ განსახილველად დანიშნა და გადაწყვიტა 2 დეკემბერს, ე. ი. 7 თვის შემდეგ.

გაგრის რაიონის პროკურორის მიერ 1969 წლის 15 მაისს გარდა ზემოხსენებული საქმეებისა, აღძრული იქნა 18 სარჩელი ლოხუტაშვილის, მუშკუდიანის და სხვათა მიმართ, რომლებსაც გაგრის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდათ დებიტორული დავალიანება 5904 მანეთი. გაგრის რაიონის სახალხო სასამართლომ ამ საქმეებზე გადაწყვეტილება მიიღო მხოლოდ 1969 წლის 17 ოქტომბერს.

სასამართლოები არ იცავენ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 114—115—116—117 მუხლების მოთხოვნას და საქმეებს განხილავენ პროცესზე მოპასუხეთა გამოუწვევლად და ახსნა-განმარტების ჩამოურთმევლად.

გულრიფშის რაიონის სახალხო სასამართლომ დებიტორული დავალიანების შესახებ 170 საქმიდან 142 (83,5 პროცენტი) განიხილა მოპასუხის მონაწილეობის გარეშე, აბაშის რაიონის სახ. სასამართლომ 29 საქმიდან 15 (51,7 პროცენტი) და სულ შემოწმებული 1280 საქმიდან 810 საქმე (71 პროცენტი) განხილულია მოპასუხის მონაწილეობის გარეშე.

სასამართლოს გადაწყვეტილება ხშირად არ აკმაყოფილებს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 203 მუხლის მოთხოვნას, დაუსაბუთებელია სარჩელის მოტივების საფუძვლიანობა.

გულრიფშის რაიონის კოლმეურნეობა „ახალმა აჯარამ“ აღძრა სარჩელი და მოითხოვა, რომ ი. კვინაძეს დაკისრებოდა 1967 წელს კოლმეურნეობიდან გატანილი ავანსის 125 მანეთის გადახდა. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო, განმარტა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ იგი კოლმეურნეობის წევრი არ არის, და კატეგორიულად უარყო ამ თანხის მიღება.

გულრიფშის რაიონის სახალხო სასამართლომ 1970 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებაში მიუთითა, თითქოს მოპასუხემ სარჩელი ცნო და ამავე დროს სრულიად დაუსაბუთებლად მოპასუხეს ნაცვლად 125 მანეთისა 16 მანეთი დააკისრა.

იმავე სახალხო სასამართლომ 1970 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებით ს. ცალანს დააკისრა 196 მანეთი „ახალი აჯარის" კოლმეურნეობის სასარგებლოდ. გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ მოპასუხემ „სარჩელი ცნო სრულად", მაშინ როდესაც სამსჯავრო სხდომის ოქმიდან ირკვევა, რომ მოპასუხემ სარჩელი კატეგორიულად უარყო.

ამ სასამართლოში ანალოგიური დარღვევის სხვა ფაქტებიც მოიპოვება (ზ. გურჩლიანის,გ. მერლიანის და სხვათა საქმეზე).

ხობის რაიონის სასამართლომ 1969 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით დაუსაბუთებლად უარყო სოფ. ბიის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის სარჩელი ა. თუთბერიძის მიმართ — 75 მანეთის გადახდევინების შესახებ.

დუშეთის რაიონის სასამართლომ 1969 წ. 30 ივნისის გადაწყვეტილებით ლ. ბარათაშვილს 717 მანეთი დააკისრა ფასანაურის კოლმეურნეობის სასარგებლოდ. გადაწყვეტილება დასაბუთებულია ამგვარად: „მოპასუხეზე ირიცხება სადავო თანხა და უნდა დაეკისროს".

ასეთი ფაქტები მრავალია.

5. შესწავლილი 1280 საქმიდან 1005 საქმე (78,5 პროცენტი) აღძრულია რაიონის პროკურორების მიერ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის შესაბამისად. როგორც საქმეთა შემოწმებამ გვიჩვენა, პროკურორები ხშირად არ არკვევენ, თუ რა სახის დავალიანებასთან აქვთ საქმე. მექანიკურად წარმართავენ სასამართლოებში კოლმეურნეობიდან შესულ მასალებს. წინასწარ დაბეჭდილ ტრაფარეტებში მითითებულია — „მოპასუხეზე ირიცხება დებიტორული დავალიანება".

გალის რაიონის პროკურორმა წინასწარ გამზადებული ტრაფარეტის შევსებით სასამართლოში წარმართა 45 სარჩელი.

გაგრის რაიონის პროკურორმა 1969 წლის 7 ივლისს სასამართლოში ასევე წარმართა 30 სარჩელი.

სოხუმის რაიონის პროკურორმა ასეთივე ტრაფარეტით სასამართლოში წარმართა 20 საქმე. პროკურორების მიერ 950 საქმე (94,5 პროცენტი) აღძრულია ასეთი ტრაფარეტებით. ეს იწვევს უსაფუძვლო სარჩელების აღძვრას და შემდეგში სასამართლო პროცესზე პროკურორი იძულებული ხდება მხარი არ დაუჭიროს მის მიერ აღძრულ სარჩელს.

ჩხოროწყუს რაიონის პროკურორმა 1969 წლის 11 დეკემბერს აღძრა სარჩელი და მოითხოვა ქ. ბაძაღუას დაკისრებოდა ზედმეტად გაცემული ავანსის 36 მან. და 61 კაპ. გადახდა მუხურის რუსთაველის სახ. კოლმეურნეობის სასარგებლოდ.

როგორც სასამართლოში გამოირკვა, მოპასუხე 88 წლის ასაკის მწოლიარე ავადმყოფია, 1940 წლიდან კოლმეურნეობაში არ უმუშავნია და არავითარი ავანსი არ მიუღია.

ჩხოროწყუს რაიონის სახალხო სასამართლომ სარჩელი უარყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუშეთის რაიონის პროკურორმა 1969 წლის 8 ივლისს აღძრა სარჩელი და მოითხოვა ე. ქავთარაძეს დაკისრებოდა 147 მან. და 70 კაპ. გადახდა ფასანაურის კოლმეურნეობის სასარგებლოდ.

სასამართლოში საქმის განხილვის დროს გამოირკვა, რომ კოლმეურნეობას მოპასუხისათვის შეუწერია 10 ცენტნერი თივის დამზადება. მოპასუხე არის 65 წლის მოხუცი, ავადმყოფი და ასეთი დავალიანება მას არ უნდა მისცემოდა. ამ გარემოებათა გარკვევის შემდეგ პროკურორმა იშუამდგომლა სარჩელის უარყოფის შესახებ. სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი უარყოფილი იქნა.

დუშეთის რაიონის პროკურორმა მის მიერ აღძრულ 24 სარჩელზე სასამართლოში იშუამდგომლა საქმე წარმოებით შეეწყვიტათ მოპასუხეთა მხრივ ვალის გადახდის გამო. სარჩელის აღძვრის მომენტისათვის მას არ გამოურკვევია, ჰქონდათ თუ არა მოპასუხეებს დავალიანება დაფარული.

ცაგერის რაიონის პროკურორმა 1970 წლის 14 მაისს სასამართლოში იშუამდგომლა უარეყოთ სარჩელი შ. ბურჯალიანისა და ო. ბახსოლიანისათვის ფულის დაკისრების შესახებ, როგორც უსაფუძვლო.

ცაგერის რაიონის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელები უარყოფილია.

ასეთი ფაქტები მრავალია.

41-ე მუხლით აღძრულ სარჩელთა მნიშვნელოვანი ნაწილი პროკურორთა მონაწილეობის გარეშეა განხილული.

გალის რაიონის პროკურორს მის მიერ აღძრული 54 საქმიდან არც ერთი საქმის განხილვაში არ მიუღია მონაწილეობა. ასევე არც ერთი საქმის განხილვაში არ მიუღია მონაწილეობა წულუკიძის რაიონის პროკურორს.

მთლიანად 41-ე მუხლით აღძრული 1005 საქმიდან პროკურორის მონაწილეობის გარეშე განხილულია 460 საქმე (45,8 პროცენტი).

შემოწმებული საქმეებიდან სასამართლოს გადაწყვეტილების უკანონობაზე რაიპროკურორების მიერ არც ერთი საკასაციო პროტესტი არ ყოფილა შეტანილი.

ამგვარად, როგორც პრაქტიკის განზოგადების მასალები გვიჩვენებს, სასამართლოები მუშაობაში უშვებენ კანონის სერიოზულ დარღვევებს. თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცევა დებიტორული დავალიანების აღსაკვეთად პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარებას. იშვიათად ხდება დებიტორული დავალიანების, აგრეთვე კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების სხვა დარღვევათა მიზეზების გამოვლინება და კოლმეურნეობის გამგეობის თუ ცალკეულ თანამდებობის პირთა მხრივ საკოლმეურნეო ქონების მიმართ უყაირათო დამოკიდებულების შემთხვევებზე კერძო განჩინებების გამოტანა.

კოლმეურნეობათა სარჩელებით აღძრულ საქმეთა განხილვა-გადაწყვეტილებისადმი ასეთი დამოკიდებულება შეუწყნარებელია.

მუშაობა ამ მხრივ მკვეთრად უნდა გარდაიქმნას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოქალაქე და თანამდებობის პირი საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოში

პროფ. გ. ი. პეტროვი

მოქალაქეებსა და თანამდებობის პირთა შორის წარმოშობილი ურთიერთობები სოციალური, პოლიტიკურ-იურიდიული ურთიერთობების ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი სახეა. მათ დიდი ადგილი უჭირავთ პიროვნებასა და საზოგადოებას, მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის წარმოშობილ ურთიერთობებში.

თანამდებობის პირები უშუალოდ ასრულებენ სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ფუნქციებს. მათი თანამდებობრივი საქმიანობის სოციალური შინაარსი ეს არის სამსახური ხალხისა, რომელიც აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას, ახორციელებს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებს. თანამდებობის პირები ხელმძღვანელობენ ნამდვილად დემოკრატიული პრინციპებით, რომლებიც მოცემულია სკკპ გადაწყვეტილებებში, კონსტიტუციურ და მიმდინარე საბჭოთა კანონმდებლობაში. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია: სკკპ ხელმძღვანელობა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი, ხელმძღვანელობის მეცნიერულობა, დემოკრატიული ცენტრალიზმი, მშრომელთა ჩაბმა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში, მოქალაქეთა თანასწორობა, დაგეგმვა და აღრიცხვა, სოციალისტური კანონიერება და სხვა.

საზოგადოებრივი ურთიერთობები მოქალაქეებსა და თანამდებობის პირთა შორის განისაზღვრება, ძირითადად, კლასობრივი შინაარსით, სახელმწიფოსა და სამართლის ტიპით. ბურჟუაზიული დემოკრატიის ფორმალური ხასიათი, რომელიც აღრმავებს კანონიერების კრიზისს, ადმინისტრადიცულ და სასამართლო თვითნებობის ზრდა იმპერიალისტურ ქვეყნებში ქმნის უფსკრულს მშრომელებსა და ბურჟუაზიულ სახელმწიფო აპარატს შორის, აგრეთვე კერძომესაკუთრულ საწარმოთა და დაწესებულებათა ადმინისტრაციასა და მშრომელებს შორის. იმპერიალიზმსა და სოციალიზმს შორის ბრძოლის გამწვავების თანამედროვე პირობებში მმართველი ბურჟუაზია ხშირად იყენებს ბატონობის ტერორისტულ მეთოდებს, რომელიც მიმართულია მზარდი პროგრესული ძალების წინააღმდეგ. ამას მოწმობს გაფიცულთა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მომხრეთა, ეროვნულ უმცირესობათა თანასწორობისათვის მებრძოლთა დარბევები ამერიკის შეერთებულ შტატებში და სხვა იმპერიალისტურ ქვეყნებში.

ამის საწინააღმდეგოდ საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მათი თანამდებობის პირთა საქმიანობა მიზნად ისახავს ჩვენი პარტიის ლოზუნგის განხორციელებას: „ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის“. ისინი აქტიურად უწყობენ ხელს პიროვნების თავისუფლების განვითარებას მისი სულიერი და ფიზიკური შესაძლებლობების გაფურჩქვნას. სკკპ XXIV ყრილობის რეზოლუციაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო, აღნიშნულია, რომ „ხელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძღვანელი კადრები სრულყოფილად ფლობდნენ მართვის თანამედროვე მეთოდებს, ქონდეთ ახლის გრძნობა, ხედავდნენ განვითარების პერსპექტივას, შეეძლოთ გამონახონ წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის ყველაზე ეფექტიანი გზები, გამოიყენონ სხვათა ცოდნა და გამოცდილება".[1] სოციალიზმის პოლიტიკური და ეკონომიური პირობები უზრუნველყოფენ, კერძოდ, მოქალაქეთა და სახელმწიფოს შორის სამართლებრივი ურთიერთობების ნამდვილ დემოკრატიულობას. სახელმწიფოს წარმომადგენლები ამ ურთიერთობებში არიან სახელმწიფოს ორგანოები, ხელისუფლების წარმომადგენლები, თანამდებობის პირები და სხვა სახელმწიფო მოსამსახურეები.

სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ რეალური უფლებები საზოგადოების განვითარების ყველა სფეროში. მათი განხორციელება უზრუნველყოფილია პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურული, ორგანიზაციული და იურიდიული შესაძლებლობებით, რომლებიც ვითარდება და სულ უფრო სრულყოფილ ხდება.

საბჭოთა მოქალაქის უფლებების მოცულობა არაა დამოკიდებული რასობრივ და ეროვნულ კუთვნილებაზე, სქესზე, სარწმუნოებაზე, სოციალურ წარმოშობასა და მდგომარეობაზე, ქონებრივ მდგომარეობასა და წარსულში საქმიანობაზე. მაგრამ იგი დამოკიდებულია ასაკზე, განათლებაზე, ჯანმრთელობაზე. იგივე ითქმის მოქალაქეთა მოვალეობაზეც, რომელთა კონკრეტული მოცულობა დამოკიდებულია ამ პირობებზე, აგრეთვე სქესზე.

მოქალაქის უფლებებისა და მოვალეობათა რეალიზაცია მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებთან.

მოქალაქეთა უფლებები მათი რეალიზაციის შესაძლებლობის ხარისხის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა: აბსოლუტურ და კონკრეტულად.[2] აბსოლუტურს მიეკუთვნება უფლებები, რომელთა რეალიზაცია დამოკიდებულია მოქალაქის მხოლოდ პირადი ნებასურვილის გამომჟღავნებასა და განსაზღვრული იურიდიული ხდომილებების დადგომაზე (ასაკი და სხვ.). მათ მიეკუთვნება, მაგალითად, საბჭოების არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება, შრომის უფლება, საპენსიო უზრუნველყოფის, წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების შეტანისა და ა. შ. უფლებები.

შეფარდებითი უფლებების რეალიზაცია დამოკიდებულია არა მარტო დასახელებულ პირობებზე, არამედ ფაქტიური შესაძლებლობების არსებობაზე. ასე, მაგალითად, უმაღლესი სპეციალური განათლების მიღების უფლების რეალიზაცია დამოკიდებულია არა მარტო მოქალაქის საშუალო განათლებასა და მისაღები გამოცდების შედეგებზე, არამედ უმაღლეს სასწავლებელში ადგილების არსებობასა და აბიტურიენტების რაოდენობაზე. საცხოვრებელი ფართის მიღების უფლების განხორციელება დამოკიდებულია საბინაო პირობების გაუმჯობესების საჭიროების მქონე პირთა რაოდენობასა და მოცემულ დასახელებულ პუნქტში საბინაო მშენებლობის ტემპზე.

---

[1] სკკპ XXIV ყრილობის რეზოლუცია სკკპ ცკ საანგარიშო მოხსენების გამო, გაზ. „კომუნისტი", 1971 წლის 10 აპრილი.

[2] იგივე ტერმინებია გამოყენებული უფლებების კლასიფიკაციისათვის იმისდა მიხედვით, შეიძლება თუ არა დამოუკიდებლად განახორციელოს ეს უფლებები მოცემულმა სუბიექტმა თუ მათი განხორციელება დამოკიდებულია სხვა პირთა ქცევაზე (იხ. მაგ. Д. М. Генкин, Право собственности в СССР, Госюриздат, 1961, стр. 33).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტური საზოგადოების განვითარების კვალობაზე მოქალაქეთა უფლებების წრე ფართოვდება და ბევრი შეფარდებითი უფლებები იქცევა აბსოლუტურად.

სოციალისტური სახელმწიფო სამართლის ნორმები მოქალაქეებს აკისრებს გარკვეულ მოვალეობებს, მაგალითად, დაამთავროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა (რვაწლიანი), იშრომოს, იმსახუროს შეიარაღებული ძალების რიგებში, გადაიხადოს გადასახადები და ა. შ.

უფლებებისაგან განსხვავებით მოქალაქეთა მოვალეობები აბსოლუტურია, ვინაიდან სახელმწიფო ადგენს რა მათ, განსაზღვრავს მათი რეალიზაციის პირობებს. სახელმწიფოს არ შეუძლია მოითხოვოს და არც ითხოვს მოქალაქეებისაგან ობიექტურად შეუძლებელს. კანონებით გათვალისწინებულია იურიდიული ხდომილებები, რომლებიც მოქალაქეთა ამა თუ იმ მოვალეობების შესრულებისაგან დროებით თუ მუდმივად გათავისუფლების საფუძველია (ავადმყოფობა, ასაკი და ა. შ.).

თანამდებობის პირთა სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრება მათი სამსახურებრივი მოვალეობებისა და შესაბამისი უფლებების ერთობლიობით. სამსახურებრივი უფლებების მოცულობა, ხასიათი, კონკრეტული შინაარსი შეესაბამება თანამდებობის პირის მოვალეობათა მოცულობას, ხასიათსა და კონკრეტულ შინაარსს.

თანამდებობის პირები ასრულებენ მოვალეობებს სახელმწიფოსა და მოქალაქეების წინაშე. პირველი ხორციელდება სამართლებრივ ურთიერთობებში ზემდგომ თანამდებობის პირებთან ან ორგანოებთან, აგრეთვე თანამდებობის იმ პირებთან და ორგანოებთან, რომელთა კონტროლსაც ემორჩილება გარკვეული მხრივ, (მაგ. ამა თუ იმ ინსპექციას) ან რომლებთანაც იგი დაკავშირებულია საკონტაქტო ურთიერთობებით (მაგ. აღმასკომის განყოფილების ხელმძღვანელთა ურთიერთვალდებულებანი).

ამის ანალოგიურად „ნაწილდება" თანამდებობის პირის უფლებები: მათი ნაწილი ხორციელდება დაქვემდებარებულ ურთიერთობებში, კონტროლსდაქვემდებარებულ და საკოორდინაციო ურთიერთობებში, ხოლო მეორე ნაწილი მოქალაქეებთან ურთიერთობებში.

სკკპ XXIV ყრილობამ მოითხოვა სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცება, ყველა მოქალაქისა და თანამდებობის პირის მიერ კანონების უმკაცრესად დაცვა.

ყოველგვარი სამართლებრივი ურთიერთობა გულისხმობს მის მონაწილეთა უფლებებსა და მოვალეობებს. მაგრამ მოქალაქეებისა და თანამდებობის პირთა უფლებებისა და მოვალეობათა თანაფარდობა ერთნაირი არაა. სამართლის ბევრი ნორმით მოქალაქე მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში ექვემდებარება ორგანოს ან მის თანამდებობის პირს. მაგალითად, საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ კანონის თანახმად სავალდებულო სამხედრო სამსახურში გასაწვევი მოქალაქე ექვემდებარება გაწვევის პროცესში განსაზღვრულ სახელმწიფო ორგანოებსა და თანამდებობის პირებს. მოქალაქე ვალდებულია შეასრულოს მათი კანონიერი მოთხოვნები. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევაში იმ ორგანოს (თანამდებობის პირს), რომელიც სამხედრო სამსახურში იწვევს მოქალაქეს, გააჩნია მხოლოდ უფლებები, ხოლო მოქალაქეს მხოლოდ მოვალეობები. ორგანო (თანამდებობის პირი) ვალდებულია განახორციელოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალაქის გაწვევა კანონით განსაზღვრული წესის მიხედვით. მოქალაქეს აქვს უფლება გასაჩივროს ორგანოს (თანამდებობის პირის) უკანონო აქტები და სხვა მოქმედებანი.

ამრიგად, მოცემული ურთიერთობის ორივე სუბიექტს აქვთ ურთიერთშესატყვისი უფლებები და მოვალეობანი. ერთიც და მეორეც თანაბრად ემორჩილება სამართლის მოქმედ ნორმებს, რომლებიც სხვადასხვა მოთხოვნებს უყენებენ მათ: ორგანოებისაგან (თანამდებობის პირებისაგან) ისინი მოითხოვენ გაიწვიონ მოქალაქე სამხედრო სამსახურში და ანიჭებენ მათ გარკვეულ უფლებებს ამასთან დაკავშირებით, ხოლო მოქალაქეებისაგან მოითხოვენ დაემორჩილონ ამ მოთხოვნებს. ორგანოებს (თანამდებობის პირებს) ისინი აკისრებენ მოვალეობას დაიცვან გაწვევის წესები, ხოლო მოქალაქეებს ანიჭებენ საჩივრის უფლებას ამ წესების დარღვევის შემთხვევაში. ასეთი ურთიერთობანი ქმნიან ვერტიკალურ ურთიერთობათა პირველ ჯგუფს.

მათ მეორე ჯგუფს შეადგენს ურთიერთობები ორგანოებსა (თანამდებობის პირებსა) და მოქალაქეებს შორის, რომელიც წარმოიშვება სამართალდარღვევის შედეგად (დანაშაულის, დისციპლინური და ადმინისტრაციული გადაცდომის, სამოქალაქო-სამართლებრივი დელიქტების და ა. შ.). ამ ურთიერთობებში უსათუოდ მონაწილეობს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო (სასამართლო, ადმინისტრაციული კომისია, არასრულწლოვანთა საქმეების კომისია და ა. შ.), ან საზოგადოებრივი ორგანო, რომელიც აღჭურვილია სახელმწიფო ხელისუფლებრივი უფლებამოსილებით (ამხანაგური სასამართლო), ან თანამდებობის პირი (მოსამართლე, მილიციის განყოფილების უფროსი, სახელმწიფო ინსპექციის მუშაკი და ა. შ.). ამ ურთიერთობის მეორე მხარე შეიძლება იყოს მოქალაქე, აგრეთვე თანამდებობის პირი (რომელიც პასუხს აგებს თანამდებობრივი სამართალდარღვევისათვის).

ამგვარი ურთიერთობის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ სამართლის ნორმებით განსაზღვრული წესის თანახმად პირი მიეცემა პასუხისგებაში სამართალდარღვევისათვის. პასუხისმგებლობის წესი კი დამოკიდებულია სამართალდარღვევის ხასიათზე და შეიძლება იყოს სისხლის სამართლებრივ-პროცესუალური, ადმინისტრაციულ-პროცესუალური ან სამოქალაქო-პროცესუალური. განსხვავებულია აგრეთვე ბრალეულის პასუხისმგებლობის სიმძიმე და ფორმები.

მეორე ჯგუფის ურთიერთობები განსხვავდებიან პირველი ჯგუფის ურთიერთობებისაგან, ძირითადად, მიზნებითა და სოციალური შინაარსით. მაგრამ მონაწილეთა უფლებებისა და მოვალეობების თანაფარდობის იურიდიული ნიშნის მიხედვით ისინი შეიძლება მივაკუთვნოთ ვერტიკალურ ურთიერთობებს, ვინაიდან ყველა ეს ურთიერთობა ხელისუფლებრივ-დაქვემდებარებულია.

მეორე სახე ურთიერთობებისა მოქალაქეებსა და ორგანოებს (თანამდებობის პირებს) შორის არის ჰორიზონტალური ურთიერთობები. ხელისუფლებრივ-დაქვემდებარებული ურთიერთობებისაგან განსხვავებით, ისინი წარმოიშვებიან მოქალაქეთა უფლებების რეალიზაციის საფუძველზე, და როგორც წესი, მათი ინიციატივით, მოქალაქეების მიერ ორგანოებისადმი (თანამდებობის პირებისადმი) წინადადებებით, განცხადებებითა და საჩივრებით მიმართვის შედეგად.[3]

[3] იხ. „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები", 1968, № 17, მუხ. 144.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალაქის თითოეული განცხადება იწვევს კომპეტენტური ორგანოს (თანამდებობის პირის) მოვალეობას განიხილოს იგი დადგენილი წესის თანახმად, მიიღოს კანონიერი გადაწყვეტილება და აცნობოს ამის შესახებ მოქალაქეს. არც ერთ ამ სამართლებრივ ურთიერთობაში სამართლის ნორმები არ უმორჩილებენ მოქალაქეებს იმ ორგანოებსა და თანამდებობის პირებს, რომლებსაც ისინი მიმართავენ.

მბრძანებლური განკარგულება, რომელიც მიღებულია მოქალაქის წინადადების, განცხადების ან საჩივრის საფუძველზე, მიმართულია არა მოქალაქის, არამედ იმ ორგანოების ან თანამდებობის პირთა მისამართით, რომლებმაც ფაქტიურად უნდა განახორციელონ მისი მართლზომიერი მოთხოვნები. მაგალითად, კომისიის გადაწყვეტილება მოქალაქისათვის პენსიის დანიშვნის შესახებ და სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მისთვის „საპენსიო მოწმობის“ გაცემა დანიშნული პენსიის ანაზღაურების საშუალებას წარმოადგენს. მოქალაქის უფლებას მოითხოვოს პენსიის დანიშვნა შეესაბამება კომისიის მოვალეობას დაუნიშნოს მას პენსია. ამ ურთიერთობაში მოქალაქე არ ექვემდებარება არც კომისიას, არც სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას. მას უფლება აქვს განხილვის ნებისმიერ სტადიაზე თავისი განცხადება უკანვე მოითხოვოს და შეწყვიტოს წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა. იგივე ითქმის იმ სამართლებრივ ურთიერთობებზეც, რომლებიც წარმოიშვებიან მოქალაქეთა სხვა აბსოლუტური უფლებების რეალიზაციის საფუძველზე.

სხვა სიტუაცია იქმნება მათი შეფარდებითი უფლებების განხორციელების დროს. მაგალითად, საცხოვრებელი ფართის მიცემაზე უარის თქმა მოტივირებული უნდა იყოს მისი არარსებობით ან მიცემის რიგის დაშორებით.

ამრიგად, იმ სამართლებრივ ურთიერთობაში, რომლებიც წარმოიშვებიან სახელმწიფო ორგანოებისადმი (თანამდებობის პირებისადმი) მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების შეტანის გამო, მხარეები თანასწორუფლებიანი არიან.

მოქალაქეთა და თანამდებობის პირთა მოქმედება ჩვენს საზოგადოებაში მოწესრიგებულია არა მარტო სამართლის ნორმებით, არამედ სოციალისტური ზნეობის ნორმებითაც. თანამდებობის პირთა იურიდიული ვალდებულებანი მჭიდროდ არის გადახლართული მათ ზნეობრივ მოვალეობებთან.

ლ. ი. ბრეჟნევი სკკპ XXIV ყრილობაზე აღნიშნავდა: „ჩვენი გაგებით მმართველობის კულტურა ორგანულად მოიცავს ყურადღებიან, დაინტერესებულ დამოკიდებულებას მშრომელთა საჭიროებებისა და საზრუნავისადმი, მათი მიმართვებისა და თხოვნათა ოპერატიულ განხილვას. ადამიანისადმი კეთილმოსურნეობის, პატივისცემის ატმოსფერო უნდა სუფევდეს თითოეულ ჩვენს დაწესებულებაში“.[4]

სკკპ პროგრამაში სოციალისტური ზნეობის პრინციპების განმტკიცება დიდად ამაღლებს მათ ქმედითობას და მარეგულირებელ ზემოქმედებას საზოგადოებრივ ურთიერთობებზე, კერძოდ, თანამდებობის პირებსა და მოქალაქეებს შორის წარმოშობილ ურთიერთობებზე. ამასთან დაკავშირებით სწორად უნდა მივიჩნიოთ იმ შეხედულების კრიტიკა, რომლის თანახმადაც უფლება და მოვა-

---

[4] ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცკ საანგარიშო მოხსენება სკკპ XXIV ყრილობას, გაზ. „თბილისი“, 1971 წლის 31 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეობა წმინდა იურიდიული კატეგორიებია.[5] ნებისმიერი სოციალური ნორმა, იქნება იგი სამართლის, ზნეობის თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ დადგენილი, საზოგადოებრივ ურთიერთობებზე შეიძლება ზეგავლენას ახდენდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი სავალდებულოდაა მიჩნეული იმათთვის, ვისაც იგი ეხება და თუ არსებობს სხვისი შესაძლებლობა მოითხოვოს მისი შესრულება. ეს კი გულისხმობს ურთიერთობის მხარეებისათვის უფლებებისა და მოვალეობათა არსებობას.

განსხვავებანი სოციალური ნორმების შექმნის წესში, მათ კონკრეტულ შინაარსსა და დარღვევის შედეგებში არ გამორიცხავს მათი ქმედითობის ამ საერთო პირობებს. ჩვენს ლიტერატურაში მიზანშეწონილადაა მიჩნეული უფრო ფართოდ გამოვიყენოთ ზნეობრივი მოვალეობებისა და ზნეობრივი უფლებების ცნებები, რასაკვირველია, იურიდიული და სხვა სოციალური მოვალეობებისაგან და უფლებებისაგან მათი განსხვავების გათვალისწინებით და ამავე დროს მათი ერთიანობისა და ურთიერთმოქმედების იგნორირების გარეშე.

ყოველივე ეს, კერძოდ, განეკუთვნება თანამდებობის პირებსა და მოქალაქეებს. ერთნიც და მეორენიც იურიდიული და ზნეობრივი უფლებებისა და მოვალეობების მატარებელი სუბიექტები არიან.

მათ შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობანი, როგორც წესი, ზნეობრივი ურთიერთობებიცაა. ეს აიხსნება, ჯერ-ერთი, საბჭოთა სამართლებრივი ნორმების ზნეობრივი შინაარსით, მეორეც, ზნეობრივი ნორმების მოქმედებით იმ საზოგადოებრივ ურთიერთობებში, რომელიც მოწესრიგებულია სამართლის მეშვეობით, და მესამეც, სამართლებრივი ნორმებისა და ზნეობრივი ნორმების ურთიერთქმედებით.

თანამდებობის პირებსა და მოქალაქეებს შორის წარმოშობილი ურთიერთობები არ შეიძლება იყოს მწინდა იურიდიული ან წმინდა ზნეობრივი. ისინი ყალიბდება ურთიერთმოქმედი იურიდიული და ზნეობრივი ნორმების მარეგულირებელი ზემოქმედების საფუძველზე და ამიტომ ყოველთვის ზნეობრივ-იურიდიულ ხასიათს ატარებს.

თანამდებობის პირთა და მოქალაქეთა ურთიერთობის მარეგულირებელ როლს ასრულებს აგრეთვე პროგრესული ადათები.

ეჭვი გვეპარება ვ. ა. კუჩინსკის აზრის სისწორეში იმის შესახებ, რომ ადათები, ტრადიციები თითქოს არ შედიან ზნეობრივი შეფასების სფეროში[6].

პროგრესული ტრადიციები, ადათობრივი ნორმები დაცულია საზოგადოებრივი აზრის ძალით და არსებითად არ განსხვავდებიან ჩვენი ზნეობის ნორმებისაგან. ადათები, რომლებიც წარსულის გადმონაშთია, დაგმობილია საზოგადოებრივი აზრის მიერ, ხოლო ზოგიერთი იდევნება კანონით დადგენილი წესითაც. ის ტრადიციები და ადათები, რომლებიც შეესაბამებიან კომუნისტური ზნეობის მოთხოვნებს, შეიძლება განვიხილოთ როგორც ზნეობრივი ნორმების შემადგენელი ნაწილი, ვინაიდან ისინიც ხელს უწყობენ სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობების განმტკიცებას.

თუმცა იურიდიული ნორმებისაგან განსხვავებით ზნეობის ნორმები არ არის დაცული სახელმწიფო იძულებითი ღონისძიებებით, იგი ეყრდნობა საზოგადოე-

---

[5] იხ. Общая теория советского права, М., 1966, стр. 101.

[6] იხ В. А. Кучинский, Личность, свобода, право, Минск, изд. «Наука и техника», 1969, стр. 128—129.

ბრივი აზრის ძალას, მაგრამ მისი მარეგულირებელი როლი ხშირად არ ჩამოუვარდება სამართლის ნორმებს. ეს აიხსნება საზოგადოებრივი აზრის დიდი ძალით, რომელიც კიცხავს სოციალისტური ზნეობის მოთხოვნების დარღვევებს, მაგალითად, კეთილსინდისიერების, ჰუმანურობის, თავდაჭერილობის, უბრალოების და ა. შ. მოთხოვნათა დარღვევებს.

ზნეობის მრავალი ნორმა ემთხვევა კონკრეტულ სამართლებრივ ნორმებს, მაგალითად, ზნეობრივი წესი იყო პატიოსანი, კერძოდ, გამოვლინდება სამართლის იმ ნორმაში, რომელიც კრძალავს „მინაწერებს" წარდგენილ ანგარიშებში გეგმის შესრულების შესახებ და, ამრიგად, მოითხოვს სახელმწიფოსთან თანამდებობის პირების პატიოსან დამოკიდებულებას. მეორის მაგალითად გამოგვადგება ადამიანებისადმი ჰუმანური დამოკიდებულების გამომხატველი სამართლის ნორმა, რომელიც ავალებს მილიციის მუშაკებს აღმოუჩინონ დახმარება საზოგადოებრივ ადგილებში უმწეო მდგომარეობაში მყოფ პირებს. სამართლის ნორმებისა და ზნეობის ნორმების ურთიერთმოქმედება ხელს უწყობს ერთისა და მეორის როლის ამაღლებას საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირებაში.[7]

ურთიერთობანი მოქალაქეებსა და თანამდებობის პირებს შორის მოწესრიგებულია აგრეთვე იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაბამისი ნორმებით, რომლის წევრებიც თვითონ არიან. პარტიის, კომკავშირის, პროფკავშირის წევრებზე წესდებებით დაკისრებული მრავალი მოვალეობა არეგულირებს მათ ურთიერთობას მოქალაქეებთან. ასე, მაგალითად, სკკპ წევრი ვალდებულია „მტკიცედ და განუხრელად ახორციელებდეს პარტიის გადაწყვეტილებებს, განუმარტავდეს მასებს პარტიის პოლიტიკას, ხელს უწყობდეს ხალხთან პარტიის კავშირის განმტკიცებასა და გაფართოებას, იჩენდეს გულისხმიერებასა და ყურადღებას ადამიანებისადმი, დროზე ეხმაურებოდეს მშრომელთა მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს... იცავდეს კომუნისტური მორალის პრინციპებს... იცავდეს პარტიულ და სახელმწიფო დისციპლინას...".[8]

თანამდებობის პირები, ახორციელებენ რა თავიანთ იურიდიულ მოვალეობებსა და უფლებებს, მოქალაქეებთან ურთიერთობაში ხელმძღვანელობენ არა მარტო სამართლის ნორმებით, არამედ სოციალისტური ზნეობისა და საბჭოთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ნორმებითაც. იგივე ითქმის მოქალაქეებზეც.

ამრიგად, საზოგადოებრივი ურთიერთობანი მოქალაქეებსა და თანამდებობის პირებს შორის შეიცავენ ერთდროულად პოლიტიკურ, იურიდიულ და ზნეობრივ ასპექტებს. ამ ურთიერთობებში თანამდებობის პირები გამოდიან როგორც ხელისუფლებრივი უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანიზატორები მოქალაქეთა უფლებებისა და მოვალეობების განსახორციელებლად. სოციალურ ნორმათა სამი ჯგუფი, რომელიც განსაზღვრავს თანამდებობის პირთა და მოქალაქეთა იურიდიულ, ზნეობრივ და საზოგადოებრივ მოვალეობებსა და უფლებებს, შეესაბამება პასუხისმგებლობის სამ სახეს: სამართლის ნორმების დარღვევისათვის — სახელმწიფოს წინაშე, ზნეობის ნორმებისა, — საზოგადოებრივი აზრის წინაშე, საზოგადოებრივი ორგანიზაციათა ნორმებისა — ამ უკანასკნელთა წინაშე.

---

[7] იხ. Е. И. Аюева, Проблемы морали в административной и судебной практике, — «Советское государство и право», 1967, № 5 с. 20—27.

[8] სკკპ XXII ყრილობის მასალები, თბ. 1962 წ. გვ. 534—535.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განზრახვის ინტელექტუალური ელემენტის ზოგიერთი სადავო საკითხი

ა. მიქაძე

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-8 მუხლის მიხედვით განზრახვის ინტელექტუალურ ელემენტს წარმოადგენს ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნება და საზოგადოებრივად საშიში შედეგის გათვალისწინება.

განზრახვის ინტელექტუალური ელემენტის ირგვლივ საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში გამოითქვა ზოგიერთი ისეთი შეხედულება, რაც არ შეიძლება გაზიარებულ იქნას.

I

განზრახვის ინტელექტუალური ელემენტის პირველ ნაწილს — ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნებას არ იცნობდა 1924 წლის „ძირითადი საწყისები". ამ აქტის მიხედვით განზრახვის ინტელექტუალური ელემენტი ამოიწურებოდა მხოლოდ საზოგადოებრივად საშიში შედეგის გათვალისწინებით. საფუძვლებმა შეავსო კანონის ეს ხარვეზი და განზახვის ინტელექტუალურ ელემენტს დაუმატა ქმედობის საზოგადებრივად საშიში ხასიათის შეგნება, რითაც სრულყო განზრახვის როგორც ბრალის ერთ-ერთი ფორმის ინტელექტუალური მხარე.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში წარმოიშვა აზრი, რომ საფუძვლების მიერ განზრახვის ცნებაში შეტანილმა დამატებამ — ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნებამ გადაწყვიტა ბრალის საკითხი ე. წ. ფორმალურ დანაშაულობებში, რომელსაც ადრე მოქმედი კანონმდებლობა არ იცნობდაო. ამ მოსაზრების ავტორები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ფორმალურ დანაშაულობებში, რომელთა შემადგენლობა არ შეიცავს საზოგადოებრივად საშიშ შედეგს, განზრახვა ამოიწურება მხოლოდ და მხოლოდ ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნებით.

ეს შეხედულება გატარებულია, მაგალითად, 1969 წელს მოსკოვში გამოცემულ სისხლის სამართლის სახელმძღვანელოს ზოგად ნაწილში, სადაც ნათქვამია: „საფუძვლებმა განზრახვის ცნებაში შეიტანა მეტად მნიშვნელოვანი დაზუსტება განზრახვის იმ ცნებასთან შედარებით, რომელსაც შეიცავდა 1924 წლის ძირითადი საწყისების მე-6 მუხლი. ძირითადი საწყისების მე-6 მუხლი, განსაზღვრავდა რა განზრახვას, მიუთითებდა მხოლოდ საზოგადოებრივად საშიში შედეგების გათვალისწინებაზე. საფუძვლების მე-8 მუხლი კი ეხება არა მარტო საზოგადოებრივად საშიში შედეგების გათვალისწინებას, არამედ თითონ ქმედობის (მოქმედების ან უმოქმედების) საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნებასაც. ასეთ დაზუსტებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმ დანაშაულთა მიმართ, რომელთა შემადგენლობანი კანონმდებლის მიერ ჩამოყალიბებულია როგორც ფორმალური შემადგენლობანი, და სადაც დანაშაულთა ობიექტურ მხარეს არ მიეკუთვნება არც საზოგადოებრივად საშიში შედეგები და არც ამ შედეგების

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგომის შესაძლებლობა (მაგალითად, შეურაცხყოფა, ცილისწამება და სხვ.)".[1] და შემდეგ, „იმ დანაშაულის ჩადენის დროს, რომლის შემადგენლობა არ შეიცავს საზოგადოებრივად საშიშ შედეგებს, განზრახვის შინაარსი ამოიწურება მხოლოდ ჩასადენი მოქმედების ან უმოქმედების საზოგადოებრივი საშიშროების შეგნებით[2]" (ხაზი ჩვენია — ა. მ.).

ის შეხედულება, თითქოს განზრახვა ე. წ. ფორმალურ დანაშაულში მხოლოდ და მხოლოდ ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნებით ამოიწურება, არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს.

1. არ არის სწორი, თითქოს „ძირითადი საწყისები" არ მიუთითებდა ბრალის ფორმაზე ე. წ. ფორმალურ დანაშაულში და ეს ნაკლი შეავსო საფუძვლებმა განზრახვის ცნებაში ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნების შეტანით. როგორც ცნობილია, საფუძვლების მიერ განზრახვის ცნებაში ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნების შეტანას სრულებით არ გადაუწყვეტია ე. წ. ფორმალურ დანაშაულში ბრალის ფორმის ცნობის საკითხი, რამდენადაც ბრალი ასეთ დანაშაულში ადრეული კანონმდებლობის მიერაც იყო აღიარებული.

განზრახვის ცნებაში ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნების შეტანით საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებმა მხოლოდ სრულყო განზრახვა, როგორც ბრალის ფორმა. საფუძვლების მე-3 მუხლის მიხედვით განზრახ ჩადენილი დანაშაულის დადგენისათვის საკმარისი არ არის საზოგადოებრივად საშიში შედეგის გათვალისწინება და მისი დადგომის სურვილი ან შეგნებული დაშვება. ამასთან ერთად საჭიროა ისიც, რომ პირს შეგნებული ჰქონდეს თვით ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, რამდენადაც, როგორც სამართლიანად აღნიშნავენ პროფ. თ. ვ. წერეთელი და ვ. გ. მაყაშვილი, „პირი შეიძლება ითვალისწინებდეს შედეგს, შეიძლება ითვალისწინებდეს მიზეზობრივ კავშირს თავის ქმედობასა და შედეგს შორის, სურდეს ეს შედეგი ან შეგნებულად უშვებდეს მას, მაგრამ იგი არ ჩაითვლება განზრახი დანაშაულის ჩამდენად, თუ შეგნებული არ ჰქონდა, რომ მისი მოქმედება საზოგადოებრივად საშიშია, ე. ი. რომ ეს მოქმედება ხელყოფს სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობას"[3].

2. არ არის სწორი ისიც, თითქოს ბრალი ე. წ. ფორმალურ დანაშაულობებში ამოიწურებოდეს მხოლოდ და მხოლოდ ამა თუ იმ ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნებით. ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნება განზრახვის ინტელექტუალური ელემენტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და ამ ნიშნით არ შეიძლება ამოიწურებოდეს განზრახვის ცნება, რომელსაც გააჩნია ინტელექტუალური ელემენტის მეორე ნაწილი — საზოგადოებრივად საშიში შედეგის გათვალისწინება და შემდეგ ნებელობითი ელემენტი, რაც ამ შედეგის დადგომის სურვილში ან მის შეგნებულ დაშვებაში გამოიხატება.

---

[1] Советское уголовное право. Общая часть, М., 1969, стр. 161—162.

[2] იქვე, გვ. 163; იხ. აგრეთვე Курс Советского уголовного права, М., 1970, т. 2, стр. 295.

[3] **თ. წერეთელი, ვ. მაყაშვილი,** სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები, „საბჭოთა სამართალი", 1959, № 1, გვ 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნება სხვა მხრივაც არ შეიძლება ჩაითვლოს განზრახვად. როგორც ვიცით, საფუძვლების მე-8 მუხლის მიხედვით პირს ბრალად შეერაცხება არა ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნება, ანდა საზოგადოებრივად საშიში შედეგის გათვალისწინება, თუმცა აღნიშნულთა გარეშე განზრახვა, როგორც ბრალის ფორმა არ შეიძლება არსებობდეს, არამედ ფსიქიკური დამოკიდებულება ასეთი შედეგისადმი, რაც ამ შედეგის სურვილში ან შეგნებულ დაშვებაში გამოიხატება. მართალია, ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნება ფსიქიკური პროცესია, მაგრამ იგი არ წარმოადგენს და არც შეიძლება წარმოადგენდეს ფსიქიკურ დამოკიდებულებას ქმედობისადმი. ამის ანალოგიურად საზოგადოებრივად საშიში შედეგის გათვალისწინებაც ფსიქიკური პროცესია, მაგრამ იგი არ წარმოადგენს და არც შეიძლება წარმოადგენდეს ფსიქიკურ დამოკიდებულებას ამ შედეგისადმი. ეს ბუნებრივიც არის, რამდენადაც ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნებისა თუ საზოგადოებრივად საშიში შედეგის გათვალისწინების შემთხვევაში ჯერ კიდევ არა ჩანს რა გადაწყვეტილება მიიღო პირმა, ისურვა მან ამ შედეგის დადგომა თუ შეგნებულად დაუშვა იგი.

ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნებით განზრახვის გაგება იმითაც არ არის სწორი, რომ ასეთი შეგნება, როგორც ვიცით, საერთოა პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვისათვის. ამიტომ, თუ ჩვენ ამით ამოვწურავთ განზრახვის ცნებას ე. წ. ფორმალურ დანაშაულობებში, მაშინ გაუგებარია, როგორ განვასხვავოთ ერთიმეორისაგან ის ფორმალური დანაშაულობანი, რომლებიც ჩადენილია პირდაპირი განზრახვით, იმ ფორმალური დანაშაულისაგან, რომლის სუბიექტურ მხარეს არაპირდაპირი განზრახვა წარმოადგენს.

ამრიგად, ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნება განზრახვის ინტელექტუალური ელემენტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და ამ ნაწილით განზრახვის ცნების ამოწურვა და გაგება საფუძვლების მე-8 მუხლის თანახმად ყოვლად დაუშვებელია.

II

განზრახვის ინტელექტუალური ელემენტის მეორე ნაწილს, როგორც ითქვა, საზოგადოებრივად საშიში შედეგის გათვალისწინება წარმოადგენს.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში დავას იწვევს საკითხი — პირდაპირი განზრახვის სფეროს უნდა მიეკუთვნოს ისეთი შემთხვევები, როდესაც პირი ითვალისწინებდა თავისი ქმედობის თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის აუცილებლობას, თუ იგი წარმოადგენს არაპირდაპირი განზრახვის შემადგენელ ელემენტს.

კრიმინალისტების ერთი ნაწილი თვლის, რომ რამდენადაც პირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაულის დროს დამნაშავე ცდილობს მიაღწიოს თავისი ქმედობის ძირითად, მიზანდასახულ, საზოგადოებრივად საშიშ შედეგს, რომელიც წარმოადგენს მისი ქმედობის საბოლოო მიზანს ან სხვა მიზნის მიღწევის აუცილებელ საშუალებას, ამდენად გათვალისწინება თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის აუცილებლობისა ვერ თავსდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრიდაპირი განზრახვის ცნებაში და იგი მიეკუთვნება არაპირდაპირი განზრახვის სფეროს[4].

კრიმინალისტთა მეორე ჯგუფი კი ამტკიცებს, რომ გათვალისწინება თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის აუცილებლობისა უცხოა არაპირდაპირი განზრახვისათვის და ასეთ შემთხვევაში პირი დანაშაულს სჩადის მხოლოდ პირდაპირი განზრახვით[5].

ჩვენი აზრით, ეს უკანასკნელი შეხედულება ვერ არის სათანადოდ დასაბუთებული და არ გამომდინარეობს განზრახვის საკანონმდებლო განსაზღვრიდან.

1. ქმედობის თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის აუცილებლობის გათვალისწინება რომ პირდაპირი განზრახვის სფეროს არ მიეკუთვნება, დასტურდება იმით, რომ დამნაშავე პირისათვის თანამდევი შედეგი არ შეადგენს არც საბოლოო მიზანს და არც სხვა მიზნის მიღწევის აუცილებელ საშუალებას[6].

კრიმინალისტები, რომელთაც თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგის აუცილებლობის გათვალისწინება პირდაპირი განზრახვის შემადგენელ ელემენტად მიაჩნიათ, ყოველთვის როდი აქცევენ სათანადო ყურადღებას ამ გარემოებას.

იმ საკითხს, რომ ქმედობის თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის აუცილებლობის გათვალისწინება მიეკუთვნება მხოლოდ არაპირდაპირი განზრახვის სფეროს, ერთ-ერთი პირველი შეეხო პროფ. ბ. ს. უტევსკი. თავის შრომაში „ბრალი საბჭოთა სისხლის სამართალში“ მან გარკვევით აღნიშნა, რომ „...ევენტუალური განზრახვის დროს საკმარისია არასასურველი შედეგების დადგომის შესაძლებლობის შეგნება, მაგრამ სრულიადაც არ არის გამორიცხული ასეთი შედეგების დადგომის გარდაუვალობის შეგნება“[7]. ამ დებულების დასადასტურებლად მოიყვანა შემდეგი მაგალითი: „ცეცხ-

---

[4] **Б. С. Утевский,** Вина в советском уголовном праве, М., 1950, стр. 255—256; **В. Д. Меньшагин, З. А. Вышинская,** Советское уголовное право, М., 1950, стр. 110; **К. Ф. Тихонов,** К вопросу о разграничении форм виновности в советском уголовном праве. «Правоведение», 1963, № 3, стр. 83—86; **П. Дагель,** Понятие умысла в советском уголовном праве, «Советская юстиция», 1966, № 20, стр. 19; **его же,** Проблемы вины в советском уголовном праве. Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора юридических наук, Л., 1969, стр. 16—17; **Г. З. Анашкин,** О формах умысла при посягательствах на внешнюю безопасность СССР. «Советское государство и право»; 1964, № 5, стр. 82 и др.

[5] Советское уголовное право. Часть общая Л., 1960, стр. 316; Советское уголовное право. Часть общая, М., 1962, стр. 146; Курс советского уголовного права, М., 1970, т. 2, стр. 307; **А. Н. Трайнин,** Общее учение о составе преступления, М., 1957, стр.201; **В. Г. Макашвили,** Уголовная ответственность за неосторожнось, М., 1957, стр. 31-38; **Н. Д. Дурманов,** Стадии совершения преступления, М., 1955, стр. 126; **И. Г. Гурвич,** Косвенный умысел по советскому уголовному праву. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата юридических наук, М., 1951, стр. **Ю. А. Демидов,** Умысел и его виды по советскому уголовному праву. Автореферат диссертации, на соискание ученой степени кандидата юридических наук, М., 1964, стр. 13 и др.

[6] Курс Советского уголовного права, М., 1970, т. 2, стр. 307; **П. С. Дагель,** Проблемы вины в Советском уголовном праве. Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора юридических наук, Л., 1969, стр. 16—17 и др.

[7] **Б. С. Утевский,** Вина в советском уголовном праве, М., 1950, стр. 256.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის წამკიდებელს შეიძლება შეგნებული ჰქონდეს, რომ სახლში არის ინვალიდი, რომელსაც არ შეუძლია მოძრაობა, რომ ცეცხლის წაკიდების დროს სხვა არავინ არის შინ, რომ ეს ინვალიდი შველას არსაიდან არ მოელის და რომ, მაშასადამე, იგი გარდაუვალად დაიღუპება ხანძრის დროს"[8].

პროფ. ბ. ს. უტევსკის ამ შეხედულების წინააღმდეგ, რომელიც ჩვენ სწორად მიგვაჩნია, გამოვიდა პროფ. ა. ა. პიონტკოვსკი. მან აღნიშნა, რომ პროფ. ბ. ს. უტევსკის მიერ ზემომოყვანილ მაგალითში ინვალიდის დაღუპვის მიმართ პირი მოქმედებდა არა ევენტუალური, არამედ პირდაპირი განზრახვით[9].

პროფ. ა. ა. პიონტკოვსკის ეს შეხედულება არ შეიძლება გავიზიაროთ. ამ საკითხთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენოთ პირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაულის დროს საზოგადოებრივად საშიში შედეგის მნიშვნელობის თაობაზე თვითონ პროფ. ა. ა. პიონტკოვსკის შემდეგი სიტყვები: „პირდაპირი განზრახვისათვის, — წერს იგი, — აუცილებელია, რომ დამნაშავეს სურდეს მისი მოქმედებით გათვალისწინებული შედეგების დადგომა. ამასთან მიღწეული დანაშაულებრივი შედეგი ან ერთადერთი მიზანია, რომელსაც დამნაშავე ისახავს (მაგალითად, მკვლელობა შურისძიების გამო), ანდა აუცილებელი საშუალება რაიმე სხვა მიზნის მისაღწევად (მაგალითად, მკვლელობა სხვა დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით)"[10].

ეს თუ ასეა, მაშინ რა ნიშნით უნდა ვუწოდოთ პროფ. ბ. ს. უტევსკის მიერ ზემომოყვანილ მაგალითში ინვალიდის მიმართ ჩადენილ მოქმედებას პირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაული, თუ ერთი მხრივ დამნაშავე, რომლის მიზანს წარმოადგენდა მხოლოდ სახლის დაწვა, არ იყო დაინტერესებული ინვალიდის დაღუპვით და ამდენად იგი არ წარმოადგენდა მისი მოქმედების არც ძირითად და არც სხვა მიზნის მიღწევის აუცილებელ საშუალებას?

შეხედულებას, რომ თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის აუცილებლობის გათვალისწინება მიეკუთვნება პირდაპირი განზრახვის სფეროს, იცავს აგრეთვე პროფ. ა. ნ. ტრაინინი. ამის დასადასტურებლად მას მოჰყავს შემდეგი მაგალითი: „წარმოებს სახლის რემონტი. სახურავზე ბაგირით მიმაგრებულ კაბინაში მეათე სართულის სიმაღლეზე მუშაობს ორი მუშა — ივანოვი და სემიონოვი. მოქალაქე რომანოვი ივანოვის მტერია, გადაწყვიტა მოკლას იგი და ამ მიზნით ჭრის კაბინის დასამაგრებელ ბაგირს; ორივე მუშა ვარდება და კვდება. რომანოვს არ სურდა სემიონოვის მოკვლა, მაგრამ მისი სიკვდილი შეგნებულად დაუშვა"[11].

თუ რაში გამოიხატა სემიონოვის მოკვლის პირდაპირი განზრახვა, ამის შესახებ ა. ნ. ტრაინინი წერს: „სემიონოვი, რომლის სიკვდილი რომანოვს არ სურდა, მაგრამ შეგნებულად დაუშვა, არ შეიძლებოდა არ დაღუპულიყო ივანოვთან ერთად. მისი სიკვდილი ევენტუალური როდია, იგი გარდაუვალია. ამიტომ არა მარტო ივანოვის მოკვლა, არამედ სემიონოვის მოკვლაც რომა-

---

[8] **Б. С. Утевский**, Вина в советском уголовном праве, М., 1950, стр. 255.
[9] Курс советского уголовного права, М., 1970, т. 2, стр. 307.
[10] იქვე, გვ. 303.
[11] **А. Н. Трайнин**, Общее учение о составе преступления, М., 1957, стр. 200.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოვმა ჩაიდინა პირდაპირი განზრახვით, რადგან ერთის მოკვლა მეორის მოუკვლელად განუხორციელებელი იყო"[12].

პროფ. ა. ნ. ტრაინინის ეს შეხედულებაც არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს. თუ გამოვალთ იქიდან, რომ პიდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაულის დროს საზოგადოებრივად საშიში შედეგი წარმოადგენს პირის საბოლოო მიზანს ან სხვა მიზნის მიღწევის აუცილებელ საშუალებას, მაშინ ა. ნ. ტრაინინის მიერ მოყვანილ მაგალითში სემიონოვის მოკვლა სრულებით არ წარმოადგენდა რომანოვის არც საბოლოო მიზანს და არც სხვა მიზნის მიღწევის აუცილებელ საშუალებას. ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ ისმის კითხვა, კიდევ სხვა რა საფუძვლით შეიძლება ეწოდოს რომანოვის მიერ სემიონოვის მოკვლას პირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაული?

შეხედულებას, რომ თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის აუცილებლობის გათვალისწინება შეადგენს მხოლოდ პირდაპირი განზრახვის ელემენტს, იზიარებს აგრეთვე პროფ. ნ. დ. დურმანოვი. მას მოჰყავს შემდეგი მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან: „მ. გაბოროტებული იყო დაზე, რადგან ეს უკანასკნელი მოითხოვდა წილს საერთო ქონებიდან თავისი მცირეწლოვანი ქალიშვილისათვის. დის წასვლის შემდეგ, მ-მ გახადა ტანსაცმელი გოგონას, გამოიყვანა ეზოში, დააწვინა თოვლზე, თვითონ კი წავიდა. როცა მეზობლებმა მოსთხოვეს, რომ მ-ს აეყვანა გოგონა, იგი უარს ამბობდა, მაგრამ მერე იძულებული გახდა აეყვანა". და შემდეგ: „მ. სამართლიანად გაასამართლეს განზრახი მკვლელობის მცდელობისათვის (რსფსრ სსკ 19,136 მუხ.). მ-ს, როგორც ჩანს, პირდაპირ არ სურდა ბავშვის სიკვდილი, მაგრამ მას შეგნებული ჰქონდა მისი სიკვდილის გარდაუვალობა და შეგნებულად უშვებდა მის დადგომას. გოგონას მოკვლის განზრახვა არსებითად პირდაპირი იყო"[13].

მაგრამ ეს მაგალითი სრულებითაც არ მეტყველებს პროფ. ნ. დ. დურმანოვის სასარგებლოდ, რამდენადაც ბავშვის მოსალოდნელი სიკვდილი, რომელიც ანგარებით მიზანს ემსახურებოდა, იყო ბავშვის მკვლელობის მცდელობის არა თანამდევი, არამედ ძირითადი შედეგი, რომლის საფუძველზე შემდეგში უნდა განხორციელებულიყო მისი ანგარებითი მიზანი.

ამრიგად, იმ შეხედულების წინააღმდეგ, რომ თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის აუცილებლობის გათვალისწინება არ შეიძლება მიეკუთვნოს პირდაპირ განზრახვას, ზოგიერთ კრიმინალისტს მოჰყავს ისეთი მაგალითები, სადაც ლაპარაკია თანამდევ საზოგადოებრივად საშიშ შედეგზე, რომლის მიმართ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს პირდაპირი განზრახვა, რამდენადაც იგი არ წარმოადგენს დამნაშავის არც საბოლოო მიზანს და არც სხვა მიზნის განხორციელების აუცილებელ საშუალებას; ხოლო ზოგიერთი კრიმინალისტი ამ შეხედულების წინააღმდეგ ისეთ მაგალითებს იშველიებს, სადაც ლაპარაკია არა თანამდევ საზოგადოებრივად საშიშ შედეგზე, არამედ ქმედობის ძირითად შედეგზე, რომლის მიმართ პირდაპირი განზრახვის არსებობაზე ეჭვი არავის ეპარება, რამდენადაც იგი მართლაც წარმოადგენს სხვა მიზნის მიღწევის აუცილებელ საშუალებას. უფრო მე-

---

[12] **А. Н. Трайнин**, Общее учение о составе преступления, М., 1957, стр. 201.

[13] **Н. Д. Дурманов**, Стадии совершения преступления по советскому уголовному праву, М., 1955, стр. 126.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიც, პროფ. ბ. ს. უტევსკიც კი, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია ამ კრიმინალისტთა კრიტიკა, თავისი შრომის სხვა ადგილას გარკვევით და ნათლად აღიარებს ასეთ დანაშაულებრივ ქმედობაში პირდაპირ განზრახვას. მაგალითად, პირის მიერ სახლის დაწვას მისი მტრის დაღუპვის მიზნით, სადაც სახლის დაწვა არის საშუალება, ხოლო მტრის დაღუპვა—საბოლოო მიზანი, პროფ. ბ. ს. უტევსკი განიხილავს, როგორც პირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულს[14].

2. ქმედობის თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის აუცილებლობის გათვალისწინება რომ არ შეიძლება მიეკუთვნოს პირდაპირ განზრახვის სფეროს, ამას ადასტურებს აგრეთვე თითონ ამ თანამდევი შედეგის მარქსისტული ფსიქოლოგიური გაგება და პირდაპირი განზრახვის საკანონმდებლო განსაზღვრა.

ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტი, გამოთქვამს რა შეხედულებას, რომ თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის აუცილებლობის გათვალისწინება წარმოადგენს პირდაპირი განზრახვის შემადგენელ ელემენტს, იქვე მიუთითებს პირის სურვილის არარსებობაზე ამ საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის მიმართ და პირდაპირი განზრახვის ნებელობით ელემენტად ამ შემთხვევაში აღიარებს აღნიშნული საზოგადოებრივად საშიში შედეგის შეგნებულ დაშვებას.

ასეთ შეხედულებას გამოთქვამს, მაგალითად, პროფ. ა. ნ. ტრაინინი მის მიერ ზემომოყვანილ მაგალითში სემიონოვის მკვლელობის შესახებ, როდესაც აცხადებს, რომ „სემიონოვის სიკვდილი რომანოვს არ სურდა, მაგრამ შეგნებულად დაუშვა“[15]. ანალოგიურ შეხედულებას გამოთქვამს აგრეთვე პროფ. ნ. დ. დურმანოვი მაგალითში ბავშვის მკვლელობის მცდელობის შესახებ, როდესაც წერს, რომ „მ-ს, როგორც ჩანს, პირდაპირ არ სურდა ბავშვის სიკვდილი, მაგრამ მას შეგნებული ჰქონდა მისი სიკვდილის გარდაუვალობა და შეგნებულად დაუშვა მისი დადგომა. გოგონას მოკვლის განზრახვა არსებითად პირდაპირი იყო“[16].

მაგრამ პირდაპირი განზრახვის ნებელობითი ელემენტის ასეთი გაგება, სადაც აშკარად უარყოფილია პირის სურვილი საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის მიმართ, არასწორია და არსებითად ეწინააღმდეგება როგორც „ძირითადი საწყისების“ მე-6 მუხლში, ისე საფუძვლების მე-8 მუხლში მოცემულ პირდაპირი განზრახვის განმარტებას, რომლის მიხედვით პირდაპირი განზრახვა სხვა ელემენტებთან ერთად შეიცავს პირის სურვილსაც საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომისადმი და იგი ამ სურვილის გარეშე არ არსებობს. ამიტომ პირდაპირი განზრახვის ნებელობით ელემენტად საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის შეგნებულად დაშვების აღიარება ნიშნავს პირდაპირი განზრახვის შეცვლას არაპირდაპირი განზრახვით.

გაითვალისწინა რა ეს გარემოება, ზოგიერთმა საბჭოთა კრიმინალისტმა გამოთქვა შეხედულება, რომ თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის აუცილებლობის გათვალისწინების შემთხვევაში არ შეიძლება ითქვას, რომ პირს არ სურდა ასეთი შედეგის დადგომა. ასეთი შეხედულება გა-

---

[14] **Б. С. Утевский.** Вина в советском уголовном праве, М., 1950, стр. 241—242.

[15] **А. Н. Трайнин,** Общее учение о составе преступления, М., 1957, стр. 201.

[16] **Н. Д. Дурманов,** Стадии совершения преступления по советскому уголовному праву., М., 1955, стр. 126.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთქმულია, მაგალითად, საბჭოთა სისხლის სამართლის ერთ-ერთ სახელმძღვანელოში. იქ ნათქვამია: „თუ პირს შეგნებული ჰქონდა შედეგის დადგომის გარდაუვალობა, და მიუხედავად ამისა ჩაიდინა მოქმედება, ყველა შემთხვევაში უნდა ვილაპარაკოთ პირდაპირ განზრახვაზე. ამ შემთხვევებში არ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ პირს არ სურდა შედეგი, რომლის დადგომის გარდაუვალობას იგი ითვალისწინებდა“[17].

მაგრამ ძნელი გასაგებია, თუ რას გულისხმობენ სახელმძღვანელოს ავტორები გამოთქმაში „ამ შემთხვევებში არ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ პირს არ სურდა შედეგი, რომლის დადგომის გარდაუვალობას იგი ითვალისწინებდა“. გულისხმობენ ისინი ამ გამოთქმაში თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის სურვილს თუ ინდიფერენტულ დამოკიდებულებას ასეთი შედეგის დადგომისადმი, მაგრამ რასაც უნდა გულისხმობდნენ, მათი აზრი სწორი არ არის. ძნელი არ უნდა იყოს იმის გაგება, რომ პირის სურვილის აღიარება თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომისადმი, როგორც ამას შემდეგ დავინახავთ მცდარია, ხოლო ინდიფერენტული დამოკიდებულება საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომისადმი უცხოა თვით პირდაპირი განზრახვის კონსტრუქციისათვის.

იმისათვის, რომ თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის აუცილებლობის გათვალისწინება შესაბამისობაში მოეყვანა პირდაპირი განზრახვის საკანონმდებლო გაგებასთან, ზოგიერთმა საბჭოთა კრიმინალისტმა პირდაპირ აღიარა პირის სურვილი ასეთი შედეგის დადგომის მიმართ[18].

მაგრამ პირის სურვილის აღიარება თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომისადმი ჩვენი აზრით არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს არც მარქსისტული ფსიქოლოგიის თვალსაზრისით და არც საბჭოთა სისხლის სამართლის კანონის მიხედვით. მართლაც, თუ ჩვენ ვცნობთ პირის სურვილს თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის მიმართ, მაშინ ამით უნდა ვცნოთ ამ შედეგის დადგომის მიზანიც, ხოლო ეს შედეგი — მიზანდასახულ შედეგად, რადგან, როგორც ს. ლ. რუბინშტეინი ამბობს, „სურვილი — ეს გასაგნოებრივებული მისწრაფებაა. იგი მიმართულია გარკვეული საგნისადმი. სურვილის ჩასახვა ამიტომ ყოველთვის ნიშნავს მიზნის წარმოშობას ან დასახვას. სურვილი მიზანმიმართული მისწრაფებაა“[19] (ხაზი ჩვენია — ა. მ.). მაგრამ ასეთი დასკვნა თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგის მიმართ უსწორობა, რადგან მიზანდასახული თანამდევი შედეგი, კერძოდ, თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგი ბუნებაში არ შეიძლება არსებობდეს. ეს გასაგებიც არის: გამოთქმა „თანამდევი შედეგი“ თვითონ მეტყ-

---

[17] Советское уголовное право. Часть общая, Л., 1960, стр. 316. ასეთ შეხედულებას გამოთქვამს პროფ. ა. ა. პიონტკოვსკიც, მაგრამ პირდაპირი განზრახვის ნებელობით ელემენტად ამ შემთხვევაში მას რატომღაც მიაჩნია საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის შეგნებულად დაშვება (Курс советского уголвного права, М., 1970. т. 2, стр. 304).

[18] **В. Г. Макашвили,** Уголовная ответственность за неосторожность, М., 1957, стр. 32; **Ю. А. Демидов,** Умысел и его виды по советскому уголовному праву. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата юридических наук, М., 1964, стр. 10 и др.

[19] **С. Л. Рубинштейн,** Основы общей психологии, М., 1946, стр. 513; იხ. აგრეთვე **Б. М. Теплов.** Психология, М., 1954, стр. 179 и др.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველებს იმაზე, რომ იგი არ წარმოადგენს სასურველ, მიზანდასახულ შედეგს, რომ თანამდევი შედეგი წარმოადგენს მხოლოდ ისეთ შედეგს, რომელიც თან მოჰყვა პირის მიერ სხვა მიზნით ჩადენილ მოქმედებას ან უმოქმედებას, და ვიდრე იგი იწოდება „თანამდევ შედეგად", არ შეიძლება მას ეწოდოს სასურველი, მიზანდასახული შედეგი.

არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს ის გარემოებაც, რომ რაკი პირის ფსიქიკური დამოკიდებულება ძირითადი, მიზანდასახული შედეგებისადმი და მოქმედებით ან უმოქმედობით გამოწვეული თანამდევი შედეგებისადმი ერთ მთლიანობაში იმყოფება, ამდენად პირის ნება ძირითადი შედეგისადმი, რაც მისი დადგომის სურვილში გამოიხატება, თითქოს თანამდევ შედეგებსაც სასურველ შედეგებად აქცევს. ძირითად და თანამდევ შედეგთა მიმართ ამ ფსიქიკური დამოკიდებულების ერთობლიობაში გადამწყვეტი და არსებითი როლი ეკუთვნის მხოლოდ იმ ძირითადი შედეგებისადმი ფსიქიკურ დამოკიდებულებას, რომელიც ფსიქოლოგიური გაგებით წარმართავს ნებისმიერ მოქმედებას ან უმოქმედობას და რომლის წარმოშობა საფუძვლად ედება თანამდევ შედეგთა მიმართ ფსიქიკური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. მაგრამ თანამდევი შედეგის მიმართ ჩამოყალიბებული ეს ფსიქიკური დამოკიდებულება, რაც ერთი შედეგის მიმართ შეგნებულ დაშვებაში გამოიხატება, მეორე შედეგისადმი მისი დადგომის აცილებაში და სხვ., მათი წარმოშობის შემდეგ დამოუკიდებელ მნიშვნელობას როდი იძენს, არამედ ყოველთვის იმყოფება მხოლოდ ძირითადი შედეგისადმი ჩამოყალიბებულ ფსიქიკურ დამოკიდებულებასთან დაქვემდებარებულ მდგომარეობაში და, როგორც წესი, ემსახურება მხოლოდ ამ ძირითადი შედეგისადმი ჩამოყალიბებული ფსიქიკური დამოკიდებულების განხორციელებას, რა დროსაც მთელი რიგი თანამდევი შედეგების დადგომა ეწირება მხოლოდ ძირითადი შედეგის დადგომას, დამოუკიდებლად იმისა, ითვალისწინებდა პირი მათი დადგომის შესაძლებლობას თუ აუცილებლობას.

ამიტომ სავსებით სწორია პ. დაგელი, როდესაც წერს: „იმის გამო, რომ პირს შეგნებული აქვს თანამდევი, მისთვის უსარგებლო შედეგების დადგომის გარდაუვალობა, ისინი არ გადაიქცევა სასურველ შედეგებად, არ ხდება არც მოქმედების მიზნად, არც მიზნის მიღწევის საშუალებად"[20].

მაგრამ პირის სურვილის აღიარება ქმედობის თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი უსწორია არა მარტო ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, არამედ, როგორც უკვე ითქვა, საბჭოთა სისხლის სამართლის კანონის მიხედვითაც.

ასე, მაგალითად, როდესაც საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 87-ე მუხლის მიხედვით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის დროს დამნაშავე შურისძიებით, ხულიგნური ან სხვა ქვენაგრძნობით განზრახ ანგრევს ან აზიანებს მიმოსვლის გზებს და სატრანსპორტო საშუალებებს, მან მშვენივრად იცის, რომ მის ამ ქმედობას აუცილებლად მოჰყვება თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომა — საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრა ან შესუსტება. და თუ ახლა ჩვენ აღნიშნული გარემოების გამო ამ თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი პირდაპირ განზრახვას ვაღიარებთ, ე. ი. იმას, რომ პირს სურდა, მიზნად ჰქონდა დასახული საბჭოთა ხე-

[20] **П. Дагель**, Понятие умысла в советском уголовном праве. «Советская юстиция», 1966, № 20, стр. 19.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისუფლების შესუსტება ან ძირის გამოთხრა, მაშინ ამით ჩვენ წავშლით არსებით განსხვავებას დივერსიასა (საქართველოს სსრ სსკ 69-ე მუხლი) და ამ დანაშაულს შორის, რომლებიც ერთიმეორისაგან სწორედ ამ ნიშნით განსხვავდებიან.

ან კიდევ, როდესაც სამხედრო მოსამსახურე სიმხდალის ან სულმოკლეობის გამო ნებაყოფლობით ნებდება ტყვედ (საქართველოს სსრ სსკ 282-ე მუხლი) მან კარგად იცის, რომ მის ამ მოქმედებას აუცილებლად მოჰყვება თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომა — სსრ კავშირის სამხედრო ძალიერებისათვის ზიანის მიყენება. და თუ აქაც ჩვენ ამ გარემოების გამო მოცემული თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი პირდაპირ განზრახვას ვაღიარებთ, ე. ი. იმას, რომ პირს სურდა, მიზნად ჰქონდა დასახული სსრ კავშირის სამხედრო ძალიერებისათვის ზიანის მიყენება, მაშინ ამით ჩვენ უარვყოფთ არსებით განსხვავებას სამშობლოს ღალატსა (საქართველოს სსკ 65-ე მუხლი) და ამ დანაშაულს შორის, რომლებიც ერთიმეორესაგან, როგორც ცნობილია, სწორედ ამ ნიშნით განსხვავდებიან, და მრავალი სხვ.

მართებულად მსჯელობს კ. ფ. ტიხონოვი, როდესაც წერს: „არ შეიძლება, მაგალითად, ვამტკიცოთ, რომ სამხედრო მოსამსახურეს, რომელიც სიმხდალის გამო გადასცემს მტერს სამხედრო საიდუმლოებას, რათა თავიდან აიცდინოს წამება და დახვრეტა, ყოველთვის სურს ზიანი მიაყენოს საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო უშიშროებას, თუმცა ზიანის გარდაუვალობა მას უდავოდ შეგნებული აქვს. არა გვგონია, რომ მსგავს შემთხვევებში შეიძლება გავაკეთოთ სწორი დასკვნა პირდაპირი განზრახვის არსებობის შესახებ საგარეო უშიშროებისათვის ზიანის მიყენებაზე მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ სამხედრო მოსამსახურე ითვალისწინებდა ამ შედეგის გარდაუვალობას“[21].

3. დაბოლოს, იმ შეხედულებას, რომ თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის აუცილებლობის გათვალისწინება არ მიეკუთვნება პირდაპირი განზრახვის სფეროს, ადასტურებს დანაშაულის მცდელობის საკანონმდებლო გაგებაც.

როგორც ცნობილია, საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით პირი პასუხს აგებს არა მარტო დამთავრებული დანაშაულისათვის, არამედ დანაშაულის მომზადებისა და მცდელობისთვისაც, სადაც ამ უკანასკნელის სუბიექტურ მხარეს მხოლოდ და მხოლოდ პირდაპირი განზრახვა წარმოადგენს. ამიტომ თუ თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის აუცილებლობის გათვალისწინებას პირდაპირი განზრახვის შემადგენელ ელემენტად ვაღიარებთ, მაშინ პირი უნდა დაისაჯოს სისხლის სამართლის წესით იმ შემთხვევაში, როდესაც მის მიერ ჩადენილ მოქმედებას ან უმოქმედებას შემთხვევით გარემოებათა გამო არ მოჰყვა ის თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგი, რომლის დადგომის აუცილებლობასაც პირი ითვალისწინებდა და

[21] **К. Ф. Тихонов**, К вопросу о разграничении форм виновности в советском уголовном праве. «Правоведение», 1963, № 3, стр. 83.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეგნებულად უშვებდა[22]. ეს კი ეწინააღმდეგება, როგორც საფუძვლების მე-15 მუხლის შინაარსს, ისე, ამის შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 3 დეკემბრის დადგენილებას ა-ს საქმეზე, სადაც ნათქვამია, რომ: „დანაშაულის მცდელობა წარმოადგენს პირის მიზანმიმართულ მოქმედებას და შეიძლება ჩადენილ იქნას მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, რადგან თუ პირს არ სურს მიაღწიოს გარკვეულ შედეგს, არც შეუძლია ეცადოს მის მიღწევას"[23].

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქმედობის თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის აუცილებლობის გათვალისწინება შეადგენს მხოლოდ და მხოლოდ არაპირდაპირი განზრახვის შემადგენელ ელემენტს და იგი არ შეიძლება მიეკუთვნოს პირდაპირი განზრახვის სფეროს.

---

[22] ის შეხედულება, რომ თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგის აუცილებლობის გათვალისწინების დროს შეიძლება შემთხვევით გარემოებათა გამო ეს შედეგი არ დადგეს, არ შეიცავს რაიმე წინააღმდეგობას, რადგან აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა იმას, თუ როგორ განვითარდა მოვლენები დანაშაულის ჩადენის შემდგომ პერიოდში (მაგალითად, სახლისათვის ცეცხლის წაკიდების შემდეგ გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც ჩააქრეს ცეცხლი და გადაარჩინეს ინვალიდი და სხვ.), არამედ იმას, თუ რამდენად რეალური იყო თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის აუცილებლობა დანაშაულის ჩადენის დროს და რამდენად იყო დარწმუნებული დანაშაულის ჩამდენი პირი აღნიშნული შედეგის დადგომის აუცილებლობაში ამ მომენტისათვის.

[2] Бюллетень Верховного Суда СССР 1963, № 1, стр. 21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფეიქრო მრეწველობის საწარმოებიდან პროდუქციის გაჯაცების ხერხებისა და მათი დადგენის მეთოდების შესახებ

ზ. ფულაია,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

საფეიქრო მრეწველობის საწარმოდან სოციალისტური ქონების გატაცების საქმის გამოძიების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პროდუქციის აღურიცხავი მარაგის შექმნის ხერხების, საწარმოდან მისი გატანისა და გასაღების გზების დადგენას.

პროდუქციის აღურიცხავი მარაგის საწარმოდან გატანისა და გასაღების ხერხების დადგენით გამოძიებას შესაძლებლობა ეძლევა გამოამჟღავნოს დანაშაულში თანამონაწილე პირები, დაადგინოს პირობები, რომლებმაც ხელი შეუწყეს დანაშაულის ჩადენას, დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი მომავალში დანაშაულის აღკვეთისათვის.

დამნაშავეები პროდუქციის აღურიცხავი მარაგის გატანისა და გასაღების მიზნით იყენებენ სხვადასხვა ხერხს. ამიტომ გამოძიების პირველდაწყებით ეტაპზე საჭიროა ვერსიების აგების გზით განისაზღვროს პროდუქციის აღურიცხავი მარაგის გატანისა და გასაღების ყველაზე უფრო სავარაუდო გზები და ხერხები.

საგამოძიებო პრაქტიკის შესწავლა გვიჩვენებს, რომ საფეიქრო მრეწველობის საწარმოებიდან გატაცებული პროდუქციის გასაღება ხდება მაღაზიების, გასაღების სავაჭრო ბაზების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების, აგრეთვე კერძო პირთა საშუალებით. იგულისხმება, რომ საწარმოთა „საქმოსნები“ და გამსაღებელი ორგანიზაციების თანამშრომლები ერთმანეთთან დანაშაულებრივ შეთანხმებაში იმყოფებიან.

ყველაზე რთულია საწარმოებიდან „სავაჭრო წერტამდე“ აღურიცხავი ნაწარმის (ნედლეულის) გატანისა და გადაზიდვის საკითხი. პრაქტიკის შესწავლა გვიჩვენებს, რომ საფეიქრო მრეწველობის საწარმოებში მოკალათებულ დამნაშავეებს საწყობიდან მზა პროდუქციის აღურიცხავი მარაგი გასაღების მიზნით გააქვთ შემდეგი ხერხების გამოყენებით:

1. აღურიცხავი პროდუქცია (ნედლეული) გააქვთ ოფიციალურად, სათანადო ზედდებულით, რომელშიც ნაჩვენებია როგორც სარეალიზაციო, ასევე აღურიცხავი ნაწარმის მთლიანი რაოდენობა. პროდუქციის დანიშნულ ადგილზე მიტანის შემდეგ დამნაშავეები ამ ზედდებულს ახლით ცვლიან. მასში შეაქვთ მხოლოდ ოფიციალურად სარეალიზაციო პროდუქციის რაოდენობა. ამ ხერხს ხშირად მაშინ მიმართავენ, როცა ზედდებული, რომლითაც პროდუქციის გატანა წარმოებს, მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტს არ წარმოადგენს.

2. პროდუქციის აღურიცხავი მარაგი გააქვთ საწარმოს ტერიტორიიდან სათანადო დოკუმენტებით. დანიშნულ ადგილზე პროდუქციის მიტანის შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს დოკუმენტები ნადგურდება და ისინი ახლით არ იცვლება. ამ შემთხვევაშიც მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტებთან არა გვაქვს საქმე.

3. საფეიქრო მრეწველობის საწარმოდან პროდუქცია გააქვთ ზედდებულით, რომელიც ყალბ ბლანკზეა გამოწერილი. ყალბი ბლანკების შეძენას დამნაშავენი ახერხებენ სტამბის მუშაკების დახმარებით.

4. საწარმოებიდან პროდუქციის აღურიცხავი მარაგი სავაჭრო ორგანიზაციებში გააქვთ ერთი და იმავე ზედდებულის ორჯერ გამოყენებით. ერთ შემთხვევაში პროდუქცია ოფიციალურად გააქვთ, მეორე შემთხვევაში არაოფიციალურად. ამ შემთხვევაში ზედდებულში ასწორებენ ჩანაწერებს დროის შესახებ, ზოგჯერ კი ამ გრაფას, დამნაშავენი სულ არ ავსებენ. მოვიყვანთ მაგალითს პრაქტიკიდან. დამნაშავეთა ჯგუფმა, რომელიც მოკალათებული იყო ქ. ცხაკაიას ხაოიანი ქსოვილების საქსოვ ფაბრიკაში, გადაწყვიტა 2000 მეტრი პლუშის ქსოვილის აღურიცხავი ზედმეტობა მიეყიდა ქ. წულუკიძის რაიკავშირის № 3 მაღაზიისათვის. ვინაიდან ფაბრიკის ტერიტორიიდან ქსოვილის გატანა რთული იყო, ამ მიზნით ისინი დაუკავშირდნენ სამტრედიის ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლს ბ-ს, რომელიც მასზე მიმაგრებული ავტომანქანით ემსახურებოდა რკინიგზის სადგურ სამტრედიის საკონტეინერო ბაქანს და კონტეინერების გადაზიდვისას ასრულებდა მძღოლ-ექსპედიტორის მოვალეობას. დათქმულ დღეს ბ. მივიდა ქ. ცხაკაიას ზემოაღნიშნულ ფაბრიკაში. იქ მას გამოუწერეს სატრანსპორტო ზედდებული № 025091 „როსტტექსტილტორგის“ კემეროვის საოლქო სავაჭრო ბაზისათვის 2165 მეტრი პლუშის გადაგზავნის შესახებ. ყოველივე ამის შემდეგ № 929977 ორმაგ კონტეინერში ჩატვირთეს პლუშის ქსოვილი და ნაცვლად რკინიგზის სადგურის საკონტეინერო სადგურზე მიტანისა, მძღოლმა ბ-მ იგი ქ. წულუკიძეში ჩაუტანა მაღაზიის გამგეს ძ-ს. სასაქონლო სატრანსპორტო ზედდებული, რომელიც გამოყენებული იყო გატაცებული პლუშის ქსოვილის ქ. წულუკიძეში ჩასატანად, მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი იყო და მისი განადგურება არ შეიძლებოდა. ამიტომ ამავე ზედდებულით 1966 წლის 28 მაისს დამნაშავეთა ჯგუფის წევრებმა „როსტტექსტილტორგის“ კემეროვოს საოლქო სავაჭრო ბაზას გაუგზავნეს 2165 მეტრი პლუშის ქსოვილი. ზედდებულიდან მათ ამოშალეს პირვანდელი კონტეინერის ნომერი და ჩაწერეს კონტეინერის ის ნომერი, რომლითაც მოხდა სინამდვილეში ქსოვილის გაგზავნა. ფაბრიკის დაცვის უფროსმა ხ-მ, რომელიც დამნაშავეთა ჯგუფის თანამონაწილე იყო, 1966 წლის 21 მაისს სასაქონლო-სატრანსპორტო ზედდებულის ერთი ეგზემპლარი თანახმად წინასწარი შეთანხმებისა არ გაატარა ჟურნალში, რითაც დამალა ქ. წულუკიძეში გატაცებული პლუშის ქსოვილის გაგზავნის ფაქტი, და მხოლოდ 1966 წლის 28 მაისს, როცა იმავე ზედდებულით პლუშის ქსოვილი გაიგზავნა კემეროვოს საოლქო სავაჭრო ბაზაში, ხ-მ ზედდებული რეგისტრაციაში გაატარა გასაშვებ ჟურნალში[1].

5. პროდუქციის აღურიცხავი მარაგი გააქვთ ზედდებულით, მაგრამ დანიშნულ ადგილზე მიტანის დროს პროდუქციას შემოსავალში არ იღებენ. რაც შეეხება ზედდებულს, იგი უბრუნდება მოცემული საწარმოს მზა პროდუქციის საწყობს. მზა პროდუქციის საწყობის გამგე (დამნაშავეთა ჯგუფის თანამონაწილე), ზედდებულის ყველა ეგზემპლარზე აკეთებს აღნიშვნას მისი გაუქმებულად ცნო-

[1] საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არქივი, საქმე № 14696.

ბის შესახებ ან სხვა თანამონაწილეების დახმარებით ადგენს აქტებს, რომლებშიც მიუთითებს სხვადასხვა მიზეზს ზედდებულის ძალადაკარგულად ცნობისათვის (მაგალითად, ზედდებულის გაფუჭებას, სავაჭრო ორგანიზაციების მუშაკების მიერ თითქოსდა უარის თქმას ზედდებულით გამოწერილი საქონლის მიღებაზე და ა. შ.).

6. საფეიქრო მრეწველობის საწარმოდან პროდუქციის აღურიცხავი მარაგი გააქვთ სრულიად უდოკუმენტოდ. გამომჟღავნების შემთხვევაში დამნაშავეები იგონებენ სხვადასხვა მიზეზს, რომლის გამოც თითქოს მათ ვერ მოახერხეს დოკუმენტების გაფორმება (მაგალითად, საწარმოში დირექტორის, მისი მოადგილისა და მთავარი ბუღალტრის არყოფნა, სამუშაო საათების დამთავრება და ა. შ.). საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ მაგალითი საგამოძიებო პრაქტიკიდან. 1966 წლის 28 ივლისს მილიციის მუშაკებმა დააკავეს „თბილმრეწვეაჭრობის“ მაღაზია № 99-ის გამგე ა., იმ მომენტში, როდესაც მას მაღაზიაში უფაქტუროდ შეჰქონდა 178 ცალი თავსაფარი ბადე. შეტანილ საქონელზე მან საბუთი ვერ წარადგინა და აღნიშნა, რომ უსინათლოთა საზოგადოების ქ. თბილისის სასწავლო-საწარმოო წამოწყების ცენტრალური საწყობიდან თითქოსდა ადრე მიღებული ჰქონდა ქალის თავსაფარი ბადე, რომელშიც 178 ცალი უხარისხო აღმოჩნდა და ეს რაოდენობა უხარისხო თავსაფარი ბადისა მან წაიღო გამოსაცვლელად უშუალოდ ქ. თბილისის სასწავლო-საწარმოო წამოწყების № 1 საამქროში. ვინაიდან საამქროს გამგე და საწარმოს ხელმძღვანელობა ადგილზე ვერ ნახა, 178 თავსაფარი ბადე თითქოს გამოაცვლევინა ვინმე პ-ს. შემდგომში გამოძიებამ დაადგინა, რომ ა-ს პროდუქციის აღურიცხავი მარაგი გატანილი ჰქონდა უდოკუმენტოდ[2].

იმისათვის, რომ სავაჭრო ორგანიზაციაში არ აღმოჩნდეს „მარცხენა“ პროდუქცია, ვაჭრობის მუშაკებს მაღაზიაში შეაქვთ ისეთი ნაწარმი, როგორიც მათ ადრე ჰქონდათ მიღებული სათანადო დოკუმენტებით და იმ რაოდენობით, რაც უკვე რეალიზებულია ადრე მიღებული საქონლის რაოდენობიდან. ასე, მაგალითად, თუ მაღაზიას დოკუმენტებით მიღებული ჰქონდა 500 ცალი საწოლსაფარი და გაიყიდა 300 ცალი, მაშინ დამნაშავეებს ამავე არტიკულის საწოლსაფარი შემოაქვთ არაუმეტეს 300 ცალისა. თუ მოხდება მაღაზიის მოულოდნელი შემოწმება, ფორმალურად ყველაფერი წესრიგში იქნება, რადგან 300 ცალი საწოლსაფარის რეალიზებული თანხა დამნაშავეებს წინასწარ აქვთ ამოღებული სალაროს ბრუნვიდან.

7. სავაჭრო ორგანიზაციების თანამშრომლები აღურიცხავი პროდუქციის მიღების შემდეგ იმ საწარმოს სახელზე, საიდანაც გამოგზავნილია საქონელი, გზავნიან წერილს, რომელშიც აღნიშნავენ, რომ ნაწარმის მიღებული პარტიის ნაწილი უხარისხოა, არასტანდარტული და ითხოვენ ნაწარმის შეცვლას ან წუნის გამოსწორებას. საწარმოს დირექტორი, საწარმოს მომარაგება-გასაღების განყოფილების უფროსი და სოციალისტური ქონების გატაცებაში თანამონაწილე სხვა პირები წინადადებას აძლევენ მზა პროდუქციის საწყობის გამგეს უკან მიიღოს სავაჭრო ორგანიზაციებიდან დაბრუნებული წუნდებული პროდუქცია და შეცვალოს იგი ხარისხიანი პროდუქციით. სინამდვილეში სავაჭრო

[2] საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პირველი სპეცგანყოფილების არქივი, საქმე № 1345.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანიზაციების მუშაკები პროდუქციას არ უბრუნებენ საფეიქრო საწარმოს საწყობს, პირიქით, იქიდან გამოაქვთ პროდუქციის ახალი პარტია თითქოსდა უკან დაბრუნებული პროდუქციის ნაცვლად.

საფეიქრო მრეწველობის საწარმოდან პროდუქციის აღურიცხავი მარაგის გატანას გასაღების მიზნით ადგილი აქვს აგრეთვე ფიქციური მინდობილობების გამოყენებისა და ფიქციური ოპერაციების განხორციელების გზით. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ შემდეგ მაგალითს. დამნაშავეთა ჯგუფმა ქ. ცხაკაიას ხაოიანი ქსოვილების საქსოვ ფაბრიკაში შექმნა 1461 კგ ნართის აღურიცხავი ზედმეტობა. მისი გასაღების მიზნით ისინი დაუკავშირდნენ ქ. სოხუმის ნედლეულის მეორადი გადამმუშავებელი ფაბრიკის მუშაკებს, რომლებმაც ფაბრიკის სატრიკოტაჟო საამქროს ოსტატის შ-ს სახელზე გამოწერეს ფიქციური მინდობილობა № 129. მისი ძალით შ-ს ცხაკაიას ხაოიანი ქსოვილების ფაბრიკიდან სესხის სახით უნდა წამოეღო 1461 კგ ნართი. ამ მინდობილობით შ-ა ქ. სოხუმის ავტოსატრანსპორტო კანტორის საბარგო ავტომანქანის მძღოლთან ერთად ჩავიდა ქ. ცხაკაიაში. მას გაუფორმეს საათანადო დოკუმენტი 1461 კგ. ნართის გაცემაზე. გამოიწერა სასაქონლო-სატრანსპორტო ზედდებული № 191. ნართი ავტომანქანაში ჩატვირთეს. ამ გზით ნართი რომ გაიტანეს, დამნაშავეთა ჯგუფის წევრებმა იგი მიჰყიდეს გამოძიებით დაუდგენელ პირებს. ნართის გასაღების შემდეგ შ-მ უკან დააბრუნა მინდობილობა იმ მოტივით, თითქოს ცხაკაიას ფაბრიკიდან ნართის მიღება ვერ მოხერხდა. ქ. სოხუმის ნედლეულის მეორადი გადამუშავების ფაბრიკის ბუღალტერმა ეს მინდობილობა გააუქმა. რაც შეეხება ზედდებულს, რომლითაც მოხდა ნართის გატანა, იგი ბუღალტერიაში და დაცვის ჟურნალებში არ გაუტარებიათ, ხოლო საწყობში დარჩენილი ზედდებულის ერთი ეგზემპლარი გააუქმეს. დამნაშავეთა ჯგუფმა დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით იმავე № 191 სასაქონლო-სატრანსპორტო ზედდებულით პროდუქცია დონეცკში გაგზავნა[3].

ფიქციური ოპერაციების გამოყენებით პროდუქციის აღურიცხავი მარაგის გატანისა და გასაღების დროს დამნაშავენი სხვადასხვა სიყალბეს სჩადიან. სახელდობრ, ცვლიან დოკუმენტებს, აწარმოებენ უსაქონლო ოპერაციებს, პროდუქციას გზავნიან მხოლოდ სპეციფიკაციით[4], რომელსაც პროდუქციის დანიშნულ ადგილზე მიღების შემდეგ ცვლიან. ამ ხერხების გამოყენებით პროდუქციის აღურიცხავი ზედმეტობის გატაცების მაგალითები მრავალია საგამოძიებო პრაქტიკაში. 1966 წლის 21 იანვარს ქ. თბილისის № 4 სატრიკოტაჟო ფაბრიკის საქსოვი უბნიდან ამავე ფაბრიკის სამღებრო უბანში შესაღებად გაიგზავნა 505 კგ. შალის ნართი. იგი მიიღო სამღებრო უბნის ბრიგადირმა ბ-მ. მეორე დღეს დამნაშავეთა ჯგუფის წევრებმა გააფორმეს დოკუმენტი, თითქოს ექსპედიტორ ხ-ს მეშვეობით ნართი დაბრუნდა საქსოვ უბანში. სინამდვილეში ნართი მათ დატოვეს სამღებრო უბანში. მეორე დღეს, დაუკავშირდნენ რა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ზუგდიდის ბამბის საქსოვ ფაბრიკაში მოკალათებულ დამნაშავეთა ჯგუფის წევრებს, აღურიცხავი ნართის შეძენაზე, ამ უკანასკნელებმა გამოწერეს ფაქტურა, თითქოს საწარმოო უბნის უფროსმა

---

[3] საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არქივი, საქმე № 14696, ტ. 11.

[4] სპეციფიკაცია — ეს არის საბუთი, რომელშიც ასახვას პოულობს ნაწარმის დასახელება, მისი რაოდენობა, წონა, ზომა, ხარისხი და სხვ.

ქ-მ ამავე ფაბრიკის საწყობის გამგე ფ-ს ჩააბარა 505 კგ. შალის ნართი № 24/2. ფ-მ თავის მხრივ გააფორმა საბუთები, რომ ეს ნართი ექსპედიტორ თ-სა და ავტომანქანის მძღოლ ღ-ს მეშვეობით ვითომდა გაგზავნა ქ. თბილისის № 4 სატრიკოტაჟო ფაბრიკაში შესაღებავად. სინამდვილეში ექსპედიტორი თ-ა და ავტომანქანის მძღოლი ჩავიდნენ ქ. თბილისში და მას შემდეგ, რაც სამღებრო უბნის ბრიგადირმა ბ-მ ქ. ზუგდიდის ბამბის საქსოვი ფაბრიკიდან მიღებულად გააფორმა 505 კგ. ნართი, ის წაიღეს ზუგდიდის ბამბის საქსოვ ფაბრიკაში[5].

საფეიქრო მრეწველობის ზოგიერთი საწარმოდან აღურიცხავ პროდუქციას ასაღებენ აგრეთვე შემდეგი ხერხით. გამოწერენ რა სპეციფიკაციასა და ანგარიშ-ფაქტურას იაფფასიან ნაწარმზე, მაღაზიას უგზავნიან იმავე რაოდენობის მაღალფასიან ნაწარმს. გასაგზავნ პროდუქციას მარკირებას უკეთებენ არა იმ ეტიკეტებით, როგორი საქონელიც გაიგზავნა სინამდვილეში, არამედ გამოწერილი სპეციფიკაციისა და ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით.

ეს კეთდება იმისათვის, რომ გზაში საქონლის შემოწმების დროს შემმოწმებლებმა ვერ გაარჩიონ განსხვავება, რომელიც ფაქტიურად არსებობს ნაწარმსა და მაზე დაკრულ იარლიყს შორის. დანიშნულ ადგილზე ნაწარმის მიტანის შემდეგ დამნაშავენი ნაწარმს **უცვლიან ეტიკეტებს და აკრავენ** იმ ეტიკეტებს, რომლებიც შეესაბამება გაგზავნილ ნაწარმს. ნაწარმის რეალიზაციის შედეგად მიღებულ სხვაობას დამნაშავენი ითვისებენ. ამ ხერხით აღურიცხავი პროდუქციის გასაღებას ადგილი ჰქონდა ქ. თბილისის № 4 ტრიკოტაჟის ფაბრიკიდან[6].

საფეიქრო მრეწველობის საწარმოებიდან პროდუქციის გაგზავნისას ზოგჯერ გამოწერენ რა ზედდებულს, კონტეინერის დატვირთვის აქტსა და სპეციფიკაციას, წინასწარი განზრახვით სპეციფიკაციაში და კონტეინერის დატვირთვის აქტში პროდუქციას მიუთითებენ იმ რაოდენობით, რაც იგზავნება სინამდვილეში, ხოლო ზედდებულში იმავე პროდუქციას უჩვენებენ შემცირებული ოდენობით. დანიშნულ ადგილზე პროდუქციის მიღებას ახდენენ არა სპეციფიკაციაში და კონტეინერის დატვირთვის აქტში, არამედ ზედდებულში აღნიშნული რაოდენობის მიხედვით. ამ ხერხით აღურიცხავი პროდუქციის ზედმეტობის საწარმოს ტერიტორიიდან გატანისა და გასაღების გზების დადგენა, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს. მოვიყვანთ ამ ხერხით სოციალისტური ქონების გატაცების მაგალითს საგამოძიებო პრაქტიკიდან. 1962 წლის 19 დეკემბერს გორის კომბინატის მზა პროდუქციის საწყობის გამგემ მ-მ და ამავე საწყობში მომუშავემ ფაქტურების გამომწერმა დ-მ გამოწერეს № 5280 ზედდებული საქქსოვილვაჭრობისათვის 13683 მ. ჩითის ნაწარმის გაგზავნაზე. ზედდებულს მათ დაურთეს სპეციფიკაცია და კოხტეინერის დატვირთვის აქტი, რომელშიც გაგზავნილად უჩვენეს 16580 მ. ჩითი. ეს საბუთები მ-მ და დ-მ ფაქტიურად გაგზავნილ 16580 მ. ჩითის ქსოვილთან ერთად ჩადეს კონტეინერში და გაუგზავნეს საქქსოვილვაჭრობის ბაზას. ბაზაში ჩითის ქსოვილი აიღეს არა იმ რაოდენობით, რაც სპეციფიკაციაში და კონტეინერის დატვირთვის აქტში იყო მითითებული, **არამედ ზედდებულში** აღნიშნული რაოდენობის მიხედვით[7].

---

[5] საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არქივი, საქმე № 06—14.
[6] საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არქივი, საქმე № 06—14.
[7] საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არქივი, საქმე № 77—64.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მაგალითში პროდუქციის აღურიცხავი მარაგის გატაცებაზე წინასწარი შეთანხმება რომ არსებობდა პროდუქციის მიმწოდებელსა და მიმღებს შორის, ეს ჩანს იქიდანაც, რომ ჯერ ერთი მიმღებმა პროდუქცია შემოსავალში გაატარა არა სპეციფიკაციისა და კონტეინერის დატვირთვის აქტით (რაც აუცილებელი იყო), არამედ ზედდებულით. მეორეც, **მიმღებს არც კი უცნობებია** მიმწოდებლისათვის, რომ დოკუმენტებში ადგილი ჰქონდა სხვადასხვაობას პროდუქციის რაოდენობის შესახებ.

საფეიქრო მრეწველობის საწარმოებიდან აღურიცხავი პროდუქციის მარაგის გასაღების გამოძიება სირთულესთან არის დაკავშირებული. ეს სირთულე, ჯერ ერთი, განპირობებულია იმით, რომ გატაცებული პროდუქცია აღურიცხავია, ე. ი. სათანადო ასახვას ვერ პოულობს საწარმოს დოკუმენტებში. მეორეც, სავაჭრო ორგანიზაციებისათვის პროდუქციის გადაცემა წარმოებს სათანადო დოკუმენტების გაუფორმებლად და, მესამეც, საგამოძიებო ორგანოებისათვის ამ დანაშაულის ჩადენა ცნობილი ხდება გარკვეული დროის გასვლის შემდეგ.

აწარმოებს რა სავაჭრო ორგანიზაციების მეშვეობით მზა პროდუქციის გასაღების ხერხების დადგენას, გამომძიებელმა მატერიალურ ფასეულობათა შემოწმების მიზნით უნდა მოითხოვოს დოკუმენტური რევიზიისა და ინვენტარიზაციის ჩატარება. დოკუმენტებში სხვადასხვა სახის სიყალბის შეტანისა და მათი განადგურების თავიდან ასაცილებლად, დოკუმენტები ამოღებულ უნდა იქნას გამოძიების დაწყებისთანავე და რევიზორებს უნდა დაევალოთ დოკუმენტების შეპირისპირების ჩატარება შემდეგი საკითხების გარკვევის მიზნით: ასახულია თუ არა დოკუმენტებში საქსოვი და გამომყვანი საამქროებიდან მზა პროდუქციის საწყობისათვის ნაწარმის თვითეული პარტიის ჩაბარების ფაქტი, არის თუ არა სხვადასხვაობა ნაწარმის არტიკულის, ხარისხის, წონის, ზომისა და რაოდენობის შესახებ საქსოვ და გამომყვან საამქროში არსებულ დოკუმენტებსა და მზა პროდუქციის საწყობში არსებულ დოკუმენტებს შორის, ხოლო თუ არის, რით არის გამოწვეული ყოველივე ეს და ა. შ.

მზა პროდუქციის საწყობიდან სავაჭრო მაღაზიებსა და საბითუმო სავაჭრო ბაზებზე პროდუქციის გაცემას რომ ამოწმებს, გამოძიებამ ანალიზი უნდა გაუკეთოს დოკუმენტებს, რომლებითაც წარმოებს პროდუქციის გაცემა, სახელდობრ, წერილობითს განკარგულებებს, ბრძანებებს, გრაფიკებს, მინდობილობებს, ზედდებულებს. საჭიროა ასევე გაირკვეს, ხომ არ ჰქონდა ადგილი უგანრიგოდ ნაწარმის გაცემას, არის თუ არა ბუღალტერიაში საწარმოს ტერიტორიიდან გატანილი პროდუქციის ამსახველი საშვები-ზედდებულები. როცა მზა პროდუქციის საწყობის გამგე დანაშაულებრივ კავშირშია ბუღალტერიის მუშაკებთან და ზედდებულებში ახდენს სხვადასხვა სახის გადასწორებებს საწარმოს ტერიტორიიდან გადაზიდული პროდუქციის რაოდენობაზე, მაშინ გამოძიებამ ზედდებულებში აღნიშნული მონაცემები უნდა შეადაროს იმ მონაცემებს, რომლებიც არსებობს საწარმოს საკონტროლო-საშვები პუნქტის ჟურნალში[8].

---

[8] საწარმოს საკონტროლო-საშვები პუნქტის ჟურნალებში აისახება მატერიალურ ფასეულობათა დასახელება, რაოდენობა, გატანის თარიღი, დრო, ავტომანქანის ნომერი, დაცვის მუშაკის გვარი, მიმღების დასახელება და იმ ზედდებულის ნომერი, რომლითაც მოხდა პროდუქციის გადაზიდვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატერიალურ ფასეულობათა მოძრაობის ამსახველი საეჭვო ხასიათის დოკუმენტების აღმოჩენისას აუცილებელია დოკუმენტები გაიგზავნოს კრიმინალისტურ ექსპერტიზაზე, რათა დადგინდეს, არის თუ არა დოკუმენტებში გადაკეთებანი, გადასწორებანი, ამონაშალი, ჩამატებანი, მინაწერები და სხვ.

იმ ფაქტის დასადგენად აღურიცხავი პროდუქცია სავაჭრო მაღაზიების მეშვეობითაა თუ არა გასაღებული, საჭიროა მოხდეს მაღაზიის სალაროს წიგნის მონაცემების შეპირისპირება როგორც ყოველდღიურად სახელმწიფო ბანკში ჩაბარებულ ფულად თანხებთან, ისე სექციების მიხედვით საკასო აპარატის სალარო ჩეკებისა და საკონტროლო ლენტების მონაცემებთან.

საგამოძიებო პრაქტიკაში არის მრავალი მაგალითი, როცა საფეიქრო მრეწველობის საწარმოდან სავაჭრო ორგანიზაციებში გაგზავნილი ნაწარმი დეფექტური არ არის, მაგრამ ამის მიუხედავად ვაჭრობის მუშაკები სპეციალურად იძახებენ საფეიქრო საწარმოს ტექნიკური კონტროლის განყოფილების წარმომადგენლებს, რათა დანაშაულებრივი გარიგება დადონ ყალბი აქტის შედგენაზე, თითქოს ადგილი ჰქონდა უხარისხო ნაწარმის მიღებას და ყოველივე ამის გამო მოხდა ნაწარმის გადახარისხება. სინამდვილეში დამნაშავენი პროდუქციის რეალიზაციას ახდენენ პირველადი ფასების მიხედვით, ხოლო ფასების სხვაობას ითვისებენ.

ამ ხერხით ჩადენილი გატაცების გმაოძიებისას აუცილებელია მიღებულ იქნას ღონისძიებები მაღაზიებიდან ნაწარმის ნიმუშების ამოღებისათვის. მაღაზიებში ნიმუშების აღმოუჩენლობის შემთხვევაში უნდა დადგინდნენ მყიდველები და მათ დროებით ჩამოერთვას შეძენილი ნაწარმი. მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას ის გარემოება, რომ მატერიალურად პასუხისმგებელი პირები (მაღაზიის გამგეები, დირექტორები, საქონელმცოდნეები და სხვ.), ადგენენ რა გადახარისხების აქტს, ამ ფაქტს არ აგებინებენ გამყიდველებსა და მუშებს. ამიტომ ამ უკანასკნელთა დაკითხვით შეიძლება დადგინდეს, რომ ამ მაღაზიაში ნაწარმის გადაფასებას ადგილი არ ჰქონია და ნაწარმის მთელი პარტია გაიყიდა სათანადო ფასებში. მაღაზიის სალაროს მიერ ნავაჭრი თანხისა და ჩეკების შესწავლით შეიძლება დადგინდეს, რომ მოცემულ მაღაზიაში საფეიქრო ნაწარმი რეალიზებულია იმ ფასებში, რაც შეესაბამებოდა მის პირვანდელ ხარისხს. რაც შეეხება მოწმეთა დაკითხვას, გამოძიებამ უნდა გაითვალისწინოს, თუ როგორი ურთიერთდამოკიდებულებაა მოწმეებსა და ბრალდებულებს შორის, მოწმეები ხომ არ არიან სამსახურებრივად დაქვემდებარებულნი ეჭვმიტანილებთან და სხვ. ყოველივე ამის გათვალისწინება გამომძიებელს დაეხმარება სწორად წარმართოს როგორც მოწმეთა დაკითხვა, ისე სწორად შეაფასოს მათი ჩვენებანი.

———

ოპერატიული კონსულტაცია მოსახლეობას

მუშაობის უწყვეტი სტაჟის შენარჩუნების წესი

სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ხაზით დახმარების დანიშვნის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს მუშა-მოსამსახურეთა შრომის უწყვეტ სტაჟს. მასზეა დამოკიდებული, უპირველეს ყოვლისა, მუშა-მოსამსახურეთა დროებითი შრომისუუნარობის, ორსულობისა და მშობიარობის დროს დახმარების, აგრეთვე პენსიაზე დანამატების დარიცხვის ოდენობა.

უწყვეტ სტაჟად იგულისხმება განუწყვეტელი მუშაობის ხანგრძლივობა მოცემულ საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში. მაგრამ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გარკვეულ შემთხვევებში, სხვა სამუშაოზე გადასვლის დროს მუშაკს უნარჩუნდება მუშაობის უწყვეტი სტაჟი.

სხვა სამუშაოზე გადასვლისას მუშაობის უწყვეტი სტაჟის შენარჩუნება, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია სამუშაოდან გათავისუფლების მიზეზებზე, რომლებისთვისაც დაწესებულია სხვა სამუშაოს დაწყების სხვადასხვა ვადა. **მთელ რიგ შემთხვევებში მუშა-მოსამსახურეებს უწყვეტი სტაჟი შეუნარჩუნდებათ ამ ვადების მიუხედავად. ასეთი წესი გამოყენებულ იქნება:**

ერთი საწარმოდან ან დაწესებულებიდან მეორეში გადაყვანისას მოცემული სისტემის ზემდგომი ორგანოების განკარგულებით ან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, ან მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილების (განკარგულების) საფუძველზე;

გამომგონებლების ან რაციონალიზატორების სხვა საწარმოში დროებით სამუშაოზე გადასვლისას, რაც დაკავშირებულია მათი წინადადებების დანერგვასთან;

სხვა სამუშაოზე გადაყვანისას საზოგადოებრივი (პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული) ორგანიზაციის გადაწყვეტილებით;

სხვა სამუშაოზე გადასვლისას არჩევითს თანამდებობაზე არჩევასთან დაკავშირებით;

სამეურნეო, საბჭოთა, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მიერ მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებულ სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ გაგზავნისას, აგრეთვე ამ სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ პირადი განცხადებით გადასვლის შემთხვევაში;

მექანიზატორთა და სპეციალისტთა გადაყვანისას მანქანა-ტრაქტორთა სადგურებიდან კოლმეურნეობებში, მათ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით;

კონკურსის მიხედვით უმაღლეს სასწავლებელში საპროფესორო-სამასწავლებლო სამუშაოზე ან სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში სამეცნიერო სამუშაოზე გადასვლისას;

კონკურსის მიხედვით თეატრალურ და მხატვრულ კოლექტივებში შემოქმედებითი მუშაკების შტატიან თანამდებობებზე გადასვლისას;

მუშაობის დაწყებისას იმ წყვეტილი დროის შემდეგ, რაც გამოწვეული იყო უმაღლეს ან სპეციალურ საშუალო სასწავლებელში სწავლის ან ასპირანტურის გავლის შედეგად. სწავლის პერიოდი უწყვეტ სტაჟში არ ჩაითვლება, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ საწარმოო მუშაობის ან საწარმოო პრაქტიკის პერიოდი იმ სამუშაო ადგილებზე და თანამდებობებზე, რომლებიც ანაზღაურებას ექვემდებარება, ჩაითვლება უწყვეტ სტაჟში;

დაუსწრებელი სწავლების სტუდენტის სპეციალობის მიხედვით სამუშაოზე გადასვლისას;

სხვა ადგილზე სამუშაოდ გადასვლისას ქმრის (ცოლის) იქ გადაყვანასთან დაკავშირებით;

ორსული ქალის ან დედის, რომელსაც ერთ წლამდე ასაკის ბავშვი ჰყავს, სხვა სამუშაოზე გადასვლისას საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის გამო;

სამუშაოს დაწყებისას დროებითი შრომისუუნარობის გამო სამუშაოდან გათავისუფლების შემდეგ;

მუშაობის დაწყებისას წინა სამუშაოდან მოხუცებულობის გამო პენსიაზე გადასვლასთან დაკავშირებით, ინვალიდობის ან ავადმყოფობის გამო დათხოვნის შემდეგ. თუ მუშა ან მოსამსახურე სამუშაოდან გათავისუფლების დღისათვის პენსიონერი ან ინვალიდი იყო, მას უწყვეტი სტაჟი შეუნარჩუნდება გათავისუფლების ფორმულირების მიუხედავად, გარდა შრომის დისციპლინის დარღვევისათვის ან დანაშაულის ჩადენის გამო გათავისუფლებისა;

მუშაობის დაწყებისას წინა სამუშაოდან იმ სპეციალურ მიზეზებით გათავისუფლების გამო, რომლებიც გათვალისწინებულია მთავრობის ცალკეული დადგენილებით და სხვ.

რიგ შემთხვევაში მუშაობის უწყვეტი სტაჟი შენარჩუნდება, თუ მუშაკი მუშაობას შეუდგება სამუშაოდან დათხოვნის დღიდან ერთი თვის განმავლობაში:

პირადი განცხადებით სამუშაოდან გათავისუფლებისას ეს წესი მოქმედებს 1960 წლის პირველი იანვრიდან, მაგრამ იგი გავრცელდა ამ მოტივით სამუშაოდან გათავისუფლების ისეთ შემთხვევებზეც, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ამ თარიღამდე;

ანალოგიურად წყდება საკითხი ავადმყოფობის გამო სამუშაოდან დათხოვნის შემთხვევაში, როდესაც არ არის მკურნალი ექიმის დასკვნა, აგრეთვე ოჯახური პირობების გამო გათავისუფლებისას, რაც ახალ საცხოვრებელ ადგილზე გადასვლით არის გამოწვეული;

იმავე წესით ხდება მუშაობის უწყვეტი სტაჟის გამოანგარიშება, როდესაც მუშაკი გათავისუფლდა სამუშაოდან იმ მოტივით, რომ უარი განაცხადა სხვა საწარმოში გადასვლაზე თუნდაც საწარმოსთან ერთად;

სამსახურიდან დათხოვნისას მხარეთა შეთანხმებით, რადგან ეს სამსახურიდან პირადი განცხადებით დათხოვნის ცალკეული მოტივებია;

მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან გათავისუფლებისას შტატების შემცირების გამო, რომელიც გამოწვეულია სამუშაოს შეჩერების ან საწარმოს (დაწესებულების) ლიკვიდაციით; არჩევითი თანამდებობიდან გათავისუფლებისას რწმუნების ვადის გასვლის გამო; უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების მეცნიერი თანამშრომლების სამუშაოდან გათავისუფლებისას კონკურსით არ არჩევის გამო;

მანქანა-ტრაქტორთა ან სპეციალიზებულ სადგურებში, საბჭოთა მეურნეობებში ან სხვა საწარმოებში გადასვლისას, გეგმიანი წესით სხვა ადგილას საგადასახლებო ორგანოების მიერ გაცემული ბილეთით გადასახლებისას. ამ უკანასკნელ შემთხვევებში ერთთვიან ვადას ემატება გადასახლების ადგილამდე მგზავრობისათვის საჭირო დრო;

სამუშაოდან გათავისუფლების დროს შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო ან მუშის ან მოსამსახურის სამუშაოზე აღდგენისას, რომელიც ადრე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასრულებდა ამ სამუშაოს; მოცემული სამუშაოსათვის გამოუსადეგობის გამო; საწარმოს ან დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო; მეუღლის ახალ საცხოვრებელ ადგილზე გადასვლის გამო; იმის გამო, რომ მუშაკმა ვერ გაიარა სამუშაოს მიღებისას გაპირობებული საგამოცდო ვადა; უწყვეტი სტაჟის შენარჩუნება ამ წესის მიხედვით ხდება ახალი სამუშაოს დაწყებისას 1958 წლის 6 მარტის შემდეგ. ეს წესი არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ახალ სამუშაოზე მუშაობა დაიწყეს 1958 წლის 6 მარტამდე;

იმ მუშა-მოსამსახურეთათვის, რომლებიც გათავისუფლდნენ შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო, ან მეუღლის ახალ საცხოვრებელ ადგილზე გადასვლის გამო. საცხოვრებელ ადგილამდე მგზავრობისათვის საჭირო დრო ერთთვიან ვადაში არ შედის.

თუ წყვეტილობა მუშაობაში არ აღემატება ორ თვეს, უწყვეტი სტაჟი შეუნარჩუნდებათ:

შორეულ ჩრდილოეთში და მასთან გათანაბრებულ ადგილებში მომუშავე პირებს, რომლებიც გათავისუფლდნენ ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო, შტატის შემცირების, საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის ლიკვიდაციის გამო. მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე მგზავრობისათვის საჭირო დრო ორთვიან ვადაში არ შედის;

მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც გათავისუფლდნენ სამუშაოდან საზღვარგარეთ არსებული საბჭოთა კავშირის დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან ან საერთაშორისო ორგანიზაციებიდან. სამუშაო ადგილამდე მგზავრობის დრო ორთვიან ვადაში აგრეთვე არ ჩაითვლება;

იმავე წესით განისაზღვრება უწყვეტი სტაჟი ზემოთ აღნიშნული მუშაკების ოჯახის წევრებისათვის, რომლებიც საზღვარგარეთ არ მუშაობდნენ.

ეს წესი ვრცელდება მათზე, ვინც უცხოეთიდან დაბრუნდა 1955 წლის 22 მარტის შემდეგ;

საზღვარგარეთ მუშაობის პერიოდში უწყვეტი სტაჟი გამოიანგარიშება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით, სადაც იმყოფებოდა მუშაკი. ორთვიან ვადაში არ ჩაითვლება სამუშაო ადგილზე გასამგზავრებლად საჭირო დრო;

იმ პირებს, რომლებიც გათავისუფლდნენ ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატიდან ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესაბამისად.

მთელ რიგ შემთხვევებში უწყვეტი სტაჟის შესანარჩუნებლად საჭიროა, რომ მუშაობის წყვეტილობა სამ თვეს არ აღემატებოდეს:

მრეწველობის და მშენებლობის მართვის გარდაქმნასთან დაკავშირებით სამმართველო აპარატიდან გათავისუფლების შემდეგ სხვა სამუშაოს დაწყებისას, ახალ სამუშაო ადგილამდის მგზავრობის დროის ჩაუთვლელად;

სამმართველო აპარატის სრულყოფისა და გაიაფების ღონისძიებების გატარებისას სამუშაოდან გათავისუფლების შემთხვევაში, მგზავრობის დროის ჩაუთვლელად;

იმავე წესით ენახებათ უწყვეტი სტაჟი მრეწველობის მართვის სისტემის გარდაქმნასთან დაკავშირებით სახალხო მეურნეობის საბჭოების აპარატებიდან გათავისუფლებულ სპეციალისტებსა და სხვა მუშაკებს;

სხვა სამუშაოზე გადასვლისას, რომელიც გამოწვეული იყო სამამულო ომის პერიოდში ევაკუაციით. ახალ საცხოვრებელ ადგილებზე მგზავრობისათვის საჭირო დრო სამთვიან ვადაში არ ჩაითვლება. ეს წესი ვრცელდება მიუხედავად იმისა, მუშაკი ევაკუირებულ იქნა ცალკე თუ წარმოებასთან (დაწესებულებასთან) ერთად. მთავარია შრომის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნაკში აღნიშნული იყოს, რომ მუშაკი სამუშაოდან გათავისუფლდა ევაკუაციის გამო;

გათავისუფლებული პარტიული და კომკავშირული მუშაკების სამუშაოდან დათხოვნის შემდეგ სხვა სამუშაოს დაწყებისას;

სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა შემადგენლობაში სამსახურიდან, აგრეთვე ლაშქრობიდან და პარტიზანული რაზმებიდან გათავისუფლების შემდეგ მუშა-მოსამსახურედ მუშაობის დაწყებისას; მუდმივ საცხოვრებელ ადგილამდე მგზავრობისათვის საჭირო დრო სამთვიან ვადაში არ ჩაითვლება.

ეს წესი ვრცელდება როგორც იმ პირებზე, რომლებიც მუშაობდნენ, ისე იმ პირებზე, რომლებიც არ მუშაობდნენ სამხედრო სამსახურში გაწვევამდე და სხვ.

მთელ რიგ შემთხვევებში უწყვეტი სტაჟი ინახება მაშინაც კი, როცა მუშაობის წყვეტილობა სამ თვეს აღემატება:

თუ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა ექიმს ან ექთანს მისცეს უხელფასო შვებულება ვადით ოთხ თვემდე იმისათვის, რომ ზაფხულის პერიოდში იმუშაონ სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებსა და პიონერთა ბანაკებში. ამ მუშაობის დრო ჩაითვლება უწყვეტ სტაჟში, თუ შვებულება არ აღემატება ოთხ თვეს;

პრაქტიკაში იგივე წესი ვრცელდება ზაფხულის პერიოდში უფროსკლასელთა გამაჯანსაღებელ-ტურისტულ ბანაკებში მომუშავე ექიმებსა და ექთანებზე;

ქალებს, რომლებიც გათავისუფლდნენ მიწისქვეშა სამუშაოებიდან, **უწყვეტი** სტაჟი ენახებათ სხვა სამუშაოს დაწყებისას, თუ წყვეტილი მუშაობაში არ აღემატება ექვს თვეს. იმ შემთხვევაში, როდესაც მიწისქვეშა სამუშაოებიდან გათავისუფლების შემდეგ ქალმა გაიარა სწავლება (გადაკვალიფიცირება), ექვსთვიანი ვადა გამოიანგარიშება არა სამუშაოს, არამედ სწავლის დამთავრებიდან;

ქალებს, რომლებმაც შეწყვიტეს მუშაობა ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით, უწყვეტი სტაჟი შეენახებათ, თუ წყვეტილი მუშაობაში არ აღემატება ერთ წელს დღიდან ბავშვის დაბადებისა. წყვეტილი პერიოდი შრომის სტაჟში არ ჩაითვლება. როდესაც ქალს ორსულობისა და მშობიარობის შემდეგ მისივე თხოვნით ეძლევა უხელფასო შვებულება ვიდრე ბავშვი 1 წლისა გახდებოდეს, უწყვეტი სტაჟი შეენახება და ეს პერიოდი ჩაითვლება მუშაობის სტაჟში;

სასეზონთაშორისო უხელფასო შვებულების დროს უწყვეტი სტაჟი ინახება, თუ მუშაკმა იმუშავა მოცემულ საწარმოში მთელი წინა სეზონი, დადო ხელშეკრულება მომავალ სეზონში მუშაობისათვის და დაბრუნდა სამუშაოზე ბრძანებაში აღნიშნულ ვადაში. ასეთი შვებულება სტაჟში არ ჩაითვლება. სასეზონთაშორისო შვებულებები სტაჟის შენარჩუნებით ეძლევათ სახალხო მეურნეობის ზოგიერთი დარგის მომუშავეებს მთავრობის განსაკუთრებულ დადგენილებათა (განკარგულებათა) საფუძველზე;

იმავე წესით ენახება უწყვეტი სტაჟი იმ სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და პანსიონატების მომსახურე პერსონალს, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში არ მუშაობენ ან რომლებშიც ადგილთა რაოდენობა იზრდება ზაფხულის პერიოდში;

მუშას ან მოსამსახურეს, რომელიც სამამულო ომის პერიოდში იმყოფებოდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე, უწყვეტი სტაჟი ენახება, თუ **მისი ქცევის** მიმართ არ არსებობს სახელის გამტეხი მონაცემები. ოკუპირებულ ტერიტორიაზე ყოფნის პერიოდი სტაჟში არ ჩაითვლება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტარქტიდის ვეშაპმჭერი ფლოტილიის მოსამსახურე პერსონალს, რომელიც ითვლება რეზერვში ერთი წლის განმავლობაში ხელფასის გადაუხდელად, უწყვეტი სტაჟი ენახება, მაგრამ რეზერვში ყოფნის დრო სტაჟში **არ** ჩაეთვლება.

კანონმდებლობა ითვალისწინებს **უწყ**ვეტი სტაჟის გამოანგარიშების ზოგიერთ საერთო წესს.

იმ შემთხვევაში, როდესაც დებულებით გათვალისწინებულია **უწ**ყვეტი სტაჟის შენარჩუნება სამუშაოს შეწყვეტისას, რომელიც არ აღემატება გარკვეულ ვადას, სტაჟის შენარჩუნება ხდება არა უგვიანეს პირველი სამუშაო დღისა (კალენდარის მიხედვით), რომელიც უშუალოდ მოსდევს ვადის დამთავრებას. მაგალითად, მუშაკს, რომელიც შტატების **შემ**ცირების **გამო** სამუშაოდან გათავისუფლდა 1 ივნისიდან, **უწ**ყვეტი სტაჟი ენახება იმ შემთხვევაში, თუ ახალ სამუშაოს დაიწყებს 1 **ივ**ლისიდან.

თუ ახალი სამუშაოს დაწყების იმ ვადაში, რომლითაც გაპირობებულია **უწ**ყვეტი სტაჟის შენახვა, მუშაკი **დროებით** ავად გახდა და ამის შესახებ წარმოადგინა სამკურნალო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა, ვადა გრძელდება ავადმყოფობის დღეების რიცხვით.

უწყვეტი სტაჟის **დადგენა ხდება** სა**წ**არმოს (დაწესებულების) ადმინისტრაციის მიერ მუშა-მოსამსახურის შრომის წიგნაკში სამუშაოზე მიღებისა და სამუშაოდან გათავისუფლების ჩანაწერების მიხედვით. მუშაობის სტაჟი, რომელიც ჩაწერილია შრომის **წ**იგნაკ**ში** საერთო ჯამის მიხედვით, **უწ**ყვეტი სტაჟის გამოანგარიშებისას მხედველობაში **არ** მიიღება, **მაგრამ** თუ ამ **პ**ერიოდში წარმოდგენილი იქნება საწარმოს (ორგანიზაციის) ნამდვილი საბუთები სამუშაოდან გათავისუფლებისა და სამუშაოზე მიღების მიზეზების აღნიშვნით. შრომითი საქმიანობის მოცემული შუალედი ასევე შეიძლება **მხ**ედველობაში იქნას მიღებული.

უწყვეტი სტაჟის დადგენა მოწმეთა ჩვენებებით და ცალკეულ **პ**ირთა ცნობებით არ ხდება.

უწყვეტი სტაჟი განისაზღვრება დროებითი შრომისუუნარობის ან ორსულობისა და **მ**შობიარობის **გამ**ო **შ**ვებულების **დ**ადგომის **დ**ღისა**თვ**ის.

ავადმყოფობის **პ**ერიო**დ**ში **უწ**ყვეტ სტაჟში მომხდარი ცვლილებები დახმარების **დ**ანიშვნისას **მ**ხედველობაში **ა**რ მიიღება; ცალკეულ **გ**ანსაკუთრებულ შემთხვევებში და საპატიო მიზეზების **ა**რსებობის **დ**როს **უწ**ყვეტი **ს**ტაჟის **დ**ადგენა **შ**ეიძლება **პ**როფსაბჭოების **მ**იერ **პ**როფკავშირთა (**ს**აოლქო), **ს**აფაბრიკო-**ს**აქარხნო **ა**ნ **ა**დგილობრივი **კ**ომიტეტების **შ**უამდგომლობით.

ვ. ზარაშვილიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი პუბლიკაცია

1873 წლის 24 მაისს ქ. დუშეთის საზოგადოებრიობამ გაცილება მოუწყო ილია ჭავჭავაძეს, რომელმაც ოთხი წელიწადი იმსახურა მომრიგებელი შუამავლის, ხოლო ხუთი წელიწადი მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობაზე.

გაცილება მოეწყო ალექსანდრე საგინაშვილთან, რომელიც მეთაურობდა დუშეთში განლაგებულ სამხედრო ნაწილებს.

დამსწრეთა სახელით ილია ჭავჭავაძეს სიტყვით მიმართა მეცხრამეტე საუკუნის ცნობილმა ისტორიოგრაფმა, ფილოსოფოსმა პლატონ იოსელიანმა. მისი ხელით დაწერილი და ხელმოწერილი სიტყვა, რუსულ ენაზე, მან დაუტოვა პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილის ღვიძლ მამიდაშვილს ალექსანდრე საგინაშვილს, რომლის მეორე მეუღლე იყო ილია ჭავჭავაძის და — ელისაბედი.

ამ უკანასკნელს პირდაპირი შთამომავლები არ დარჩენია.

ზემოხსენებული სიტყვა დღემდე ინახება ნიკოლოზ ბარათაშვილის მეორე მამიდაშვილის (ალექსანდრე საგინაშვილის ძმის) ბესარიონ საგინაშვილის შთამომავლის ადვოკატ ალექსანდრე ნიკოლოზის ძე საგინაშვილის ოჯახში. მან ნება დაგვრთო გამოვაქვეყნოთ ამ სიტყვის ქართული თარგმანი.

თარგმანი ეკუთვნის ამ სტრიქონების ავტორს

გიორგი თარხნიშვილს

სიტყვა

წარმოთქმული დუშეთის ყოფილი მოსამართლის თავად ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის პატივსაცემად

„აქ, ჩვენთან თქვენი სამსახურის ბოლო დღეებში მე, ჩემი და აქ თავმოყრილი საზოგადოების, თქვენი ნაცნობებისა და თანამშრომელთა სახელით, თავს ნებას ვრთავ გითხრათ რამდენიმე სიტყვა.

მომრიგებელი მოსამართლისა და მომრიგებელი შუამავლის ასპარეზზე ცხრა წლის მანძილზე თქვენ ორი როლი შეასრულეთ: მოსამსახურისა, სამსახურის პირობებისა და მოვალეობათა მოთხოვნების ანუ სამსახურის საქმის მიხედვით, და — კერძო ადამიანის, საზოგადოების წევრის როლი.

სამსახურებრივი როლი, მე ვფიქრობ, იოლი, ადვილშესასრულებელია. იგი კანონით ნაკარნახევი ფორმების ჩარჩოებში თავსდება. მისი ასპარეზი ბიუროკრატიულია, რომლის დანახვა შეუძლია ყველას თვალსა და გონებას. ეს როლი თქვენ შეასრულეთ პირნათლად და ღირსეულად. კერძო ადამიანის როლი კი რთულია. იგი მოითხოვს გამჭრიახ გონებას, შეგუებას დროისა და გარშემომყოფ ხალხის იდეებთან, მის ზნე-ჩვეულებებთან და მრავალსახოვნად გამოვლინებულ ვნებებთან. თქვენ ბრძნულად და მეტად ბრძნულად შეასრულეთ ეს როლიც. როგორც კერძო ადამიანი ყველასთან უშუალო იყავით. ეს უშუალობა როგორც საგანგებო ციური ნიჭი, როგორც საუკეთესო აღზრდილობის ნაყოფი, როგორც წინა თაობის მემკვიდრეობა, თქვენ პოეტურ სიმაღლეზე აიყვანეთ. ჩვენთან ერთად მოზეიმე თქვენი სული შეიჭრა თქვენს გარშემომყოფთ ადამიანთა გონებასა და გულში. თქვენი სიტყვით, როგორც ქნარის სიმებით, აღელვებულმა გონებამ და გულმა შექმნა და დაამკვიდრა თქვენდამი ის სიმპათია, რომელიც თავისი არსით წარმოადგენს ურთიერთ სულიერი ინსტიქტური ლტოლვის შეგძნებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ხანგრძლივად ვსიამოვნებდით ამ სიმპათიით. ამ არაწუთიერი, არამედ ვფიქრობ უკვდავი ჩრდილის ქვეშ ვპოვეთ ჩვენ ეს სიამოვნება. თქვენ ხართ მათი გამომწვევი მიზეზი.

წუთისოფელში არა არის რა უსასრულო. მუზა დუმს, როდესაც არ არის მუსიკოსი.

გაგრძელდება თუ არა ჩვენი ასეთი მდგომარეობა თქვენს შემდეგაც? ამ კითხვაზე პასუხს დრო გაგვცემს. მოვლენები ყოველთვის და მუდამ დროსთან არის დაკავშირებული. დროის ღმერთმა მომავლის ცოდნა თავისთვის დაიტოვა. ასეა მაცხოვრის სიტყვითაც; მან თავის მოწაფეებს, — დედამიწაზე ცათა აზრის გმირებს, უთხრა: „არა... თქვენი არის ცნობა ჟამთა და წელთა, რომელნი იგი მამამან ახსნა თავისითა ხელმწიფებითა“.

ადამიანის ცხოვრებაში არის პერიოდი, როდესაც ან სიამოვნება არ შეეფერება წლოვანებას, ან წლოვანება არ თანაუგრძნობს სიამოვნებას.

ასეთ პერიოდში ვიმყოფები მე.

მე არ ვარ წინასწარმეტყველი, მაგრამ ჩემში წინასწარმეტყველებს გონება. იგი ჭვრეტს და წინასწარმეტყველებს, და ამიტომ მე გაბედულად ვაცხადებ საბედისწეროს: არა არ იქნება ის, რაც თქვენი აქ ყოფნისას იყო: ვფიქრობ, რომ ამიერიდან ჩემი სიტყვა უძლური იქნება. იგი ვერ მიაგნებს იმ ნიადაგს, რომელიც ითვისებს მასზე დაბნეულ აზრებს. ამ სიტყვის გამოთქმა და ბგერაც კი შეიძლება ზედმეტი და არათანამედროვე გახდეს. ისინი შეიძლება ადგილობრივი ქნარის ხმებად გადაიქცნენ. უცხონი სხვა ყურისათვის, სმენის სხვა განწყობისათვის.

თქვენდამი თანაგრძნობა იყო მხურვალე.

თქვენ ყველას უყვარდით, იმიტომ რომ თქვენ აღუძარით მათ თქვენდამი სიყვარული.

სიყვარული არ წარმოიშვება ურყევ გულში გარედან, გარეშე ძალით, როგორც არ დაიბადება ბგერა ჰაერის რხევისა და ექოს გამომწვევი დარტყმის გარეშე.

თქვენ ჩვენგან მიდიხართ, თქვენი მუზა კი, როგორც სოკრატეს გენია, ჩვენ არ გვცილდება. ან იქნებ გამოიძებნოს სხვა მუზა, სიამოვნების აღმაფრენელი, რომ არ ვიწუხოთ ჩვენ და თქვენმა მუზამ! ხომ არ იქნება იგი ისეთი მუზა, რომელსაც ტრფობის მომღერალი ტიბული, წუხილით, უხალისოდ, სევდიანად იშორებდა თავისაგან, როგორც შეყვარებულთათვის უნაყოფოს:

«ite prait musae, si nie pradestis amanti»

„მომშორდით მუზანო, თუ არშიყთა არ ეშველებით...“

გეთხოვებით რა თქვენ, თქვენს მუზას, ჩვენ გვსურს (და ეს ალბათ თქვენი გულის სურვილიც იქნება), რომ თქვენი კვალი, თქვენი მუზის კვალი დარჩენილნი დუშეთის ჰორიზონტსა და ნიადაგზე იყვნენ მაჩვენებელნი მომავალი თაობისათვის, ნათელი, საქმეში ნაყოფიერნი, ცხოვრებაში გამაერთიანებელნი, შთამაგონებელნი და მანუგეშებელნი.

გვსურს აგრეთვე, რომ თქვენ მიერ დატოვებულმა კვალმა გზა უჩვენოს თქვენს შემცვლელებს, როგორც ადგილობრივ სამსჯავროს მოსამართლის ვიწრო ასპარეზზე, ისე კერძო ადამიანის, საზოგადოების წევრის, ადამიანის გულივით ვრცელ ასპარეზზე, რომელიც არ არის შეზღუდული რაიმე ფორმებით, გარდა წესიერებისა და ზრდილობიანობის ფორმებისა.

გისურვებთ ჯანმრთელობას!

პლატონ იოსელიანი“.

1873 წლის 24 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაქეზების პირისპირ

მოთხრობა

1.

მატარებელი ჩემს დაბაში ადრე ჩადის. ჩემსას იმიტომ ვამბობ, რომ მამაჩემი იქ დაიბადა და ომის დროს, მამაჩემი რომ ფრონტზე იყო, მეც იქ ვცხოვრობდი, მამიდასთან და ბიძია აბოსთან.

შემდეგაც ყოველ ზაფხულს იქ ვატარებდი, მამიდაჩემის დიდ, კოინდრიან ეზოში. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ვეღარ მოვახერხე ჩასვლა. მამიდა მისაყვედურებდა, ტყუილად გადაგყევი, გადიდკაცდი და დამივიწყეო.

„ახლა სულ სახლში გეყოლები. — დავაღწიე თავი შენს საყვედურებს, მამიდა!“ — ვფიქრობ ჩემთვის და მივაბიჯებ უკაცრიელ ქუჩაში.

აქ, ამ პატარა ქალაქში, ყოველი ხე და ბუჩქი, ქუჩა და შუკა ნაცნობი და ახლობელია. ყველა მათგანთან ჩემი წარსულის ლანდს ვხედავ და ყოველი მათგანი ჩემი პატარა ცხოვრების, ბავშვური ფანტაზიისა და ფიქრების თანამონაწილეა.

აგერ წყალსაქაჩის კოშკურა, ისევ ისე დგას, თითქოს დადაბლებულა ოდნავ. წინანდებურად ჟანგმოკიდებულ, სამახსოვრო სვეტს ჰგავს, საღებავი მაშინაც აქერცლილი ჰქონდა აქა-იქ. მის ქვედა სართულში ახლაც მონადირეთა კავშირის მაღაზიაა მოთავსებული, ფანჯარასთან ბეწვგაცვენილი ტურის ფიტულაც უცვლელ მდგომარეობაშია დაყუნცული.

ჩაის ფაბრიკის ძველ კორპუსებს ახლები შემატებია. რაიკომის აგურისფრად შეღებილი შენობის იქით ხარაჩოებში ჩასმული ნაგებობანი მოჩანან. აგერ ალვის ხეც რამოდენა გაზრდილა, ჩემს პატარაობისას მასზე ჩიტის ხუთი ბუდე იყო. ახლა მეტი იქნება ნამდვილად.

ერთი პირობა ბუდეების დათვლაც კი გადავწყვიტე...

ქუჩისპირზე ჩარიგებულ კარმიდამოებს შევავლე თვალი. ბახულია გუჯაბიძეს „ვოლგა“ უყიდია. ეზოში მდგომ მწვანე ფერის მანქანას დილის ჭირხლი მოსდებია. ყოჩაღ, ბახულია, ექიმი კაცი გახდი! არც შენგან მოელოდა ჩემი ბიძა და ჩვენი მასწავლებელი აბო სიხარულიძე, რომ კაცი დადგებოდი. ახლა ალბათ წარამარა შენთან დარბის, შენ მიერ მოშლილი ნერვების სამკურნალოდ.

ანთიმოზა ბიძიას ისევ ხის ჭიშკარი აქვს. ნეტავ რატომ არა ცვლის? ასე ურჩევნია?..

ნოე თვალავაძეს რკინაბეტონის გალავანი შემოუვლია ეზო-გარემოსათვის. მისი ორსართულიანი სახლი რაღაც მედიდურად გაჰყურებს იმ არე-მიდამოს. — თვალავაძემ შეჭამა აგურის ქარხანაო!—იძახიან. აგურის ქარხნის დირექტორად კი სულ ის არის, რაც თავი მახსოვს.

ორსართულიანი სახლი ბიჭიკო ნემსაძესაც წამოუჭიმავს აგერ. ვითომ ტრაქტორს ჭამს ბიჭიკო? — არა, ნამდვილად! — ბიჭიკოს ლოგინიც ტრაქტორზე უდგასო, ამბობენ.

— ეჰ, რას არ იტყვის კაცის ენა. ისე, იცოცხლე, ბიჭიკო, მუდამ ასე წელგამართული და ბარაქით სავსე მენახოს შენი სახლ-კარი! — სადღეგრძელოსავით ვამბობ ჩემთვის და ვღიღინებ. ასე დიღინით მივადექი მამიდაჩემის სახლს. მამიდა ოთახში ტრიალებდა. ხელში ცოცხი ეჭირა. რომ დამინახა, ცოცხი გადააგდო.

— შენა ხარ, მამიდა? — მომაძახა და კისერზე ჩამომეკიდა.

დიდხანს მკოცნა აცრემლებულმა. ასე იცის, მე კი არა, გაბრიელა ნახუცარი რომ შეხვედროდა, იმასაც ცრემლით დაალბობდა.

— მამიდა, დაბერდი და გულჩვილობა დაგჩემდა, ხომ?

— რაო, ამირან, ვითომ არა გვჭირს, ბიჭო, სატირალი? — თქვა და ცრემლიანი თვალები გაკვირვებით მომაპყრო. რაღაც უცბად შეიცვალა მამიდა.

— რა მოხდა, მამიდა? — ენის ბორძიკით ვკითხე.

„ბიძია აბო თუა ცუდად“, — გამიელვა ფიქრმა. მამიდას სმაშიც ტირილი ჩაეღვენთა.

— ის, ბიჭო, ის, იმ... როგორ გაიმეტა სასიკვდილოდ, ბიჭო. კაცის სისხლი... მერე ერთად გაზრდილები მაინც არ ყოფილყვნენ. დედამისის ძუძუს ნაწოვა ის შეჩვენებული... კი გაუმწარებია, ბიჭო, მაგრამ კაცის შვილის მოკვლა... — მოთქვამდა მამიდა.

— მითხარი, რა მოხდა?

— აზრი იმას შეუშალოს ღმერთმა და საცნაური, დაბნეული ვარ, შვილო. ვაჟა მოკლეს, ნენა, ჯანგიძის ბიჭი, ანზორმა მოკლა, კეთილაძემ.

— რაო? — წამოვიძახე მე.

— ჰო, ჰო, აბა რას გეუბნები, მე უბედური, აბნეული მაქვს თავგზა, ადამიანის სისხლი დაღვარა იმ შეჩვენებულმა...

აბდაუბდად მონაყოლმა იმაზე მეტი მითხრა, ვიდრე მამიდა აპირებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სად არის ახლა? — ვკითხე.

— სად არის და სახლში ასვენია, მისი მტერი და ავად მახსენებელი! — ავიშვიშდა მამიდა.

— არა, კეთილაძის ბიჭი სად არის-მეთქი?

— მიწაშია, შვილო, გამოწყვეტაში, ციხეში იქნება, სად უნდა იყოს?

მეორე ოთახიდან ბიძაჩემი გამოვიდა. როგორც ყოველთვის, სუფთად იყო წვერგაპარსული და კოხტად ეცვა. სახეზე ტანჯვა დატყობოდა, მოტეხილი და დაჩიავებულიც მეჩვენა.

ჩვენ უსიტყვოდ გადავეხვიეთ ერთმანეთს, როგორც ბლოვის ჟამს სჩვევიათ მამაკაცებს.

მამიდამ კუთხეში მიგდებული ცოცხი მონახა და საქმეს მიუბრუნდა.

— ჩემს ოთახში ცოტა არაყი და ხილი შემოგვიტანე, — ყრუ ხმით თქვა ბიძია აბომ.

მერე ხელი გამომდო და თავის ოთახში გამიყვანა.

საწერ მაგიდაზე, მუყაოს მაგარყდიან წიგნებს შორის რვეულების დასტები ელაგა. იქვე იდო ბიძია აბოს სათვალე და შავტარიანი ძვლის ჩიბუხი, რომელსაც მხოლოდ გაკვეთილზე იშორებდა ხელიდან.

მაგიდას მქრალად ანათებდა მწვანე თავსარქველიანი ნათურა. ფანჯრის იქით უკვე მზე იღიმებოდა.

— მაშ ჩამოხვედი! — იმავე ყრუ ხმით თქვა ბიძიამ. — მივიღეთ შენი წერილი, გილოცავ პროკურორის თანაშემწეობას! — შეჩერდა. — ამ ამბისა არაფერი იცოდი?

— არაფერი. როდის მოხდა?

— გუშინწინ. — ბიძიამ მაღლა აიხედა. — ჰო, გუშინწინ, ოცდაექვსში.

მამიდამ არყის გრაფინი, ორი დაბალი ჭიქა და ხმელი ხილით სავსე ვაზა შემოიტანა.

— დავჯდეთ ახლა, — თქვა ბიძიამ და ოთახის შუაგულში მომცრო მაგიდისაკენ გადავინაცვლეთ. — ასე მგონია, მეც მიმიძღოდეს ბრალი მაგ საქმეში... ჩემი ნამოწაფარები არიან... — ნაწილ-ნაწილ თქვა ბიძია აბომ.

— მკვლელობა მოხდა საღამოს ან ცოტა გვიან, არა?

— ჰო, — მითხრა აბო ბიძიამ და გამომცდელად შემომხედა. — მკვლელობა მოხდა ცრემლის წყაროსთან, საღამოს შვიდის ნახევარზე. შენ საიდან იცი?

— ოცდაექვსში დილით მე გამოვაცილე ანზორი. არა, კი არ გამოვაცილე, მე ავტოსადგურში ვიყავი და იქ შემხვდა, ენგურჰესის მშენებლობაზე მივდივარო, მითხრა. მე უბრალოდ ანზორის აქ მოხვედრის დრო ვივარაუდე.

— ნიჭიერი ბიჭი იყო! — ოხვრით თქვა ბიძიამ. — ასეთი სისაძაგლე კი ჩაიდინა, რა ვიცი... ვკითხულობდი მაგის ნარკვევებს...

— ბიძია, შენ გჯერა, რომ ანზორია მკვლელი? — შეცრად შევეკითხე.

— ფაქტების წინაშე ვდგევართ, — დაფიქრებით მომიგო მან. — არც თვითონ უარყოფს დანაშაულს, მერე მიზეზიც ჰქონდა, ხომ იცი? გაიგებდი!

— კი, ანზორი მომიყვა ყველაფერს. აქაც სცოდნიათ?

— იციან, — შეყოვნებით თქვა აბო ბიძიამ. — მეტად სერიოზული მიზეზებია. ვაჟა ჯანგიძისაგან რომ კაცი არ დადგებოდა, ეს იმთავითვე ვიცოდი... მეცოდება ის ბიჭი.

— ანზორის შესახებ ამბობ?

— ჰო, კეთილაძის ბიჭი მეცოდება.

— თუკი ის მკვლელია, არც შებრალების ღირსია. წარმოუდგენელია მკვლელის შებრალება.

აბო ბიძიამ ორჭოფულად შემომხედა.

— იქნებ არც იყოს მკვლელი? — ვთქვი და თვალებში ჩავაშტერდი.

— არ იყოს?.. ეჰ, ვინ იცის. ისეთი ფაქტების წინაშე დგას, ძნელია თავის გამართლება. არც თვითონ ცდილობს.

— მაგრამ საზოგადოების თვალი? საზოგადოებას ექნება თავისი შეხედულება.

ბიძიამ უიმედოდ გააქნია თავი.

— არა მგონია, — თქვა მან. — ხალხი დარწმუნებულია, რომ მკვლელი კეთილაძეა და სხვა არავინ. მათ საკუთარი თვალით დაინახეს ყველაფერი.

— მაინც რა ნახეს? სად მოხდა მკვლელობა?

— ხომ გითხარი.

— არა, ზუსტად რა ადგილზე.

— დაბის განაპირას, ცრემლის წყაროდან ორასიოდე მეტრის დაშორებით, გზატკეცილზე. შემთხვევის ადგილზე თავმოყრილმა ხალხმა მკვლელი იქვე ნახა, იარაღით ხელში. იგი არც ცდილობს ამის უარყოფას.

— გასაგებია. — ვთქვი მე. — ასეთ ფაქტებს მართლაც ვერსად გაექცევი. განზრახი მკვლელობაა, შურისძიების მიზნით.

აბო ბიძიამ ჭიქები შეავსო და ჩემი ჩამოსვლის სადღეგრძელო შესვა. მკვლელობის გარშემო შეთანხმებულებივით შევწყვიტეთ საუბარი, თუმცა ფიქრებით მომხდარი ამბის გარშემო ვტრიალებდი. „ოცდაექვსში საღამოს“. „ხალხმა დაინახა, იარაღით ხელში. ნუთუ ატარებდა ანზორი იარაღს? ატარებდა?.. მაშ, მან მკვლელობა ჩაიდინა. ანზორ კეთილაძე რაღაც ორი გროშის დაკარგვას ვერ შეურიგდა?..“

2.

მეორე დღეს დილით პროკურატურისაკენ გავწიე. პროკურორი ალიოშა ნაკაიძე ხელებგაშლილი შეგმომეგება.

— ახალ სიოს გაუმარჯოს, — თქვა მან.

მე ხელი ჩამოვართვი და გულთბილად მოვიკითხე. იგი მამაჩემის სკოლის ამხანაგი იყო და მისგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

განებივრებულიც კი ვიყავი — მამაშვილურად მექცეოდა.

— აბა, რა არის ახალი? — მკითხა მან. გამოცდილმა იურისტმა სახეზე შემატყო, შეწუხებული რომ ვიყავი.

— რაღაც ეჭვები გქონია. ბატონი აბო მელაპარაკა წუხელ.

— პირდაპირ დავიწყო? — ვკითხე მე.

— რის შესახებ უნდა გელაპარაკა? — ვითომ სხვა საქმით გართულმა თქვა და მაგიდაზე გაბნეული ქაღალდები შეკრიბა.

— ვფიქრობ, კეთილაძის საქმის გარშემო ჩემი მოსაზრება გაგიზიაროთ.

— ბრძანეთ, ბრძანეთ! — კეთილად გამიღიმა მან.

— თქვენთვის, რა თქმა უნდა, ცნობილია, — დავიწყე მე, — რომ ერთი თვის წინათ კეთილაძემ გაიმარჯვა დოკუმენტური ფილმების სცენარების საკავშირო კონკურსში. ამ გამარჯვების მისაღწევად მან რვა თვე გაატარა ოკეანეში, ვეშაპსანადირო ფლოტილიაში. ადგილზე გაეცნო მეგადურთა მუშაობას, თვეობით ხან საგარპუნო ქვემეხებს უჯდა, ხან გემბანზე იდგა მეზღვაურთა გვერდით და ცვლაში იმყოფებოდა. დიახ, თავდადებას ამაოდ არ ჩაუვლია, მისი ნაშრომი დადებითად შეფასდა, პრემიაც მიანიჭეს. ამ ფაქტს მე იმიტომ შეგახსენებთ, რომ ხაზი გავუსვა კეთილაძის მხრივ თავისი საქმისადმი ერთგულებასა და სიყვარულს.

— დიახ, დიახ, რა თქმა უნდა! — წამახალისა პროკურორმა და ხელში მსხვილი ფანქარი შეათამაშა.

— კეთილაძე მოსკოვში დაიბარეს ჯილდოს მისაღებად. იქ ის შემთხვევით შეხვდა ვაჟა ჯანგიძეს და მის ამხანაგებს. კეთილაძეს, რა თქმა უნდა, უხაროდა გამარჯვება და ჯანგიძეს გაუზიარა თავისი სიხარული, ისიც უთხრა, რომ პრემიის სახით ორი ათასი მანეთით დაჯილდოეს.

ნაკაიძემ კვლავ შეათამაშა ფანქარი. მის ბაგეზე ახლა სუსტი ღიმილიც შევნიშნე. მე მაინც განვაგრძობდი მისთვის ცნობილი ამბის მოყოლას:

— ჯანგიძემ სასწრაფოდ შეიმუშავა გეგმა, თუ როგორ წაერთმია ის თანხა კეთილაძისათვის. ამ მიზნით მან ვინმე კახი მუმლაძის და ჩვენი რაიონის მკვიდრის ვახტანგ ჟორჟიკაძის დახმარებით კეთილაძეს მოუწყო შანტაჟი...

— დიახ, ვიცი, — შემაწყვეტინა პროკურორმა. — ვიცი, ჩვენ დავკითხეთ ჟორჟიკაძე. — იგი მკვლელობის მოწმეც არის.

— როგორ? მკვლელობის ადგილზე ის აღმოჩნდა პირველი?! — შეუკავებელი სიხარულით წამოვიძახე მე.

—დიახ, მან დაინახა, თუ როგორ ესროლა ჯანგიძეს კეთილაძემ.

— მან ეს დაინახა?

— დიახ, დაინახა და სხვებიც არიან ამის მოწმე.

— ჟორჟიკაძე აქ გყავდათ?

— დიახ.

— გაუშვით? — სინანულით შევეკითხე ნაკაიძეს.

— ამ საქმეში ის უდანაშაულოა! — მტკიცედ თქვა პროკურორმა.

— მაგრამ მოსკოვის საქმეში?

— ეს ჯერ გამოძიებას მოითხოვს. ჟორჟიკაძე ვერსად გაგვექცევა.

— იგი დაუყოვნებლივ უნდა იქნას დაპატიმრებული. გარდა ამისა დასაპატიმრებელია ჩვენი მეზობელი რაიონის მცხოვრები კახი მამულაძე. ეს სინათლეს შეიტანს საქმეში.

— მომწონს, მომწონს ოპერატიულობა, — ღიმილით მითხრა პროკურორმა. — მაგრამ კეთილაძის საქმეს მაინც არაფერი ეშველება. ფაქტი ფაქტია. სხვას რომ ყურადღება არ მივაქციოთ, ერთი გარემოებაც მაფიქრებს, შენი წეღანდელი მტკიცების შემდეგ. კეთილაძე განათლებული ადამიანია და მან კარგად იცის, რა სასჯელს ითვალისწინებს მის მიერ ჩადენილი თუ ვიღაცის დაფარვის მიზნით თავის თავზე აღებული დანაშაული. როგორ ფიქრობთ? ამ შემთხვევაში ყალბ ჰუმანიზმთან არა გვაქვს საქმე, ან ვის უნდა აფარებდეს ხელს. ხომ არ ფიქრობთ, რომ ჟორჟიკაძეს?

— არა, რა თქმა უნდა, არა.

— ჩემო ამირან. შენი მტკიცება ამ შემთხვევაში ახლოს დგას ფანტაზიასთან. ჯანგიძემ კეთილაძეს მიაყენა მატერიალური ზარალი და მორალური შეურაცხყოფა. როცა ისინი ერთმანეთს შეხვდნენ, რა თქმა უნდა, კეთილაძემ მას უთხრა ყველაფერი. უთხრა, რომ ის უნამუსო კაცია და პასუხსაც აგებინებს. მახვში მომწყვდეულმა ჯანგიძემ მოინდომა კეთილაძის მოკვლა იმ მიზნით, რომ თავიდან მოეშორებინა მხილება. ეს მარტო ჩემი მოსაზრება არ გეგონოთ, ამას მთელი ჩვენი აპარატი ამტკიცებს. ექსპერტმაც ეს დაადგინა. იარაღი ხომ ჯანგიძისაა, ეს ფაქტია, დიახ, ჯანგიძემ მოინდომა კეთილაძის მოკვლა, მაგრამ კეთილაძემ წაართვა იარაღი და თვითონ ჩაიდინა მკვლელობა. აი მთელი ამ ისტორიის დედაზრი. სხვა ყველაფერი ფანტაზიაა, ფან-ტა-ზია.

პროკურორის კაბინეტიდან გამოსვლის შემდეგ კარგახანს თავიდან არ მომცილდა ნაკაიძის მიერ დამარცვლით წარმოთქმული სიტყვა „ფან-ტა-ზია“. შემდეგ, როცა ოდნავ დავმშვიდდი და გონებისთვალი გადავავლე ჩვენს საუბარს, ბევრი რამ მართლაც საეჭვოდ მეჩვენა. თუმცა ჩემს აზროვნებაში წარმოისახა მრგვალი წრე, რომელშიც თავმოყრილი იყო კეთილაძის მამხილებელი ფაქტები. ამ ვეებერთელა წრეს გვერდით პაწაწკინტელა კითხვითი ნიშანი მიუჯდა.

„სად უნდა ვეძიოთ სინამდვილე?“

ეროვნული ბიბლიოთეკა

3.

მილიციაში მითხრეს, რომ მკვლელობა მოხდა 26 თებერვალს, საღამოს ექვს საათსა და ოც წუთზე.

— მკვლელი დაკავებულ იქნა ბოროტმოქმედების ადგილზე იარაღით ხელში? — შევეკითხე პროკურატურის გამომძიებელს.

— დიახ! — დამიდასტურა მან. — ამას მოწმეებიც ადასტურებენ.

— კეთილაძემ ხომ არ უარყო ბოროტმოქმედების ჩადენა?

— როგორ უარყოფდა, როცა ადგილზე დავიჭირეთ იარაღით ხელში.

„იარაღით ხელში", — უკვე რამდენჯერმე გავიგონე ეს.

— რა სახისაა იარაღი?

— აგერ ინებეთ, — გამომძიებელი წამოდგა, კედელში დატანებული კარადის მასიური კარი გამოაღო და იქიდან ფრთხილად გამოიღო იარაღი — კონდახსა და ლულაში გადაჭრილი მცირე კალიბრის ხუთვაზნიანი შაშხანა.

— მკვლელობა ამ იარაღით მოხდა?

— რა თქმა უნდა, — ირონიული ღიმილით თქვა მან ჩემი ახირებული ჩაძიების პასუხად. — ეს დამტკიცებულია ექსპერტის მიერ.

— მოწმეთა ჩვენებით იარაღი ხელში მკვლელს ეჭირა?

— დიახ, — კვლავ თავშეკავებული ღიმილით მითხრა გამომძიებელმა.

— კეთილაძემ აღიარა, რომ ეს იარაღი მისია?

— არა, იარაღი ჯანგიძისაა, კეთილაძემ წაართვა მას, როცა ჯანგიძემ თავდასხმა მოახდინა მასზე. იარაღისათვის ბრძოლა ჯანგიძის მანქანაში მოხდა.

— როგორ აღმოჩნდა კეთილაძე ჯანგიძის მანქანაში?

— დიდმუხის გადასახვევთან ავტობუსი რომ გაჩერდა, კეთილაძეც სხვა მგზავრებთან ერთად გადმოვიდა დასასვენებლად. ამ დროს ჯანგიძე თავისი მანქანით მოდიოდა...

— გასაგებია, — შევაწყვეტინე მე. — თქვენ იცით, რომ კეთილაძე მიემგზავრებოდა ენგურჰესის მშენებლობაზე და არა ჩვენს დაბაში?

— გამარკვიეთ მაინც, რა გსურთ, რას ეძებთ? — უკვე მკვახედ, ნერვიულად თქვა გამომძიებელმა.

— ამხანაგო შალვა, — მეგობრულად მივმართე მე, — ჩვენს წინ ცოცხალი ადამიანია. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი უპირველესი მოვალეობაა დავადგინოთ სიმართლე.

— მერე და რა უნდა ვქნა მე! იქნებ მცდარია ჩემი და ჩემი კოლეგების აზრი, იქნებ...

— მოდი ასე ნუ მოვეკიდებით საქმეს, ნურც გამოძიების სისწორის დადგენას შევუდგებით.

— თქვენ რა, არა გჯერათ, რომ მკვლელი კეთილაძეა?..

— რა უნდა მეთქვა. იმ წუთას მე იმ კაცის მდგომარეობაში ვიყავი, რომელიც ბნელით მოცულ ოთახშია და თვალებს ფართოდ ახელს, იქნებ სინათლის მსგავსი წერტილი დავინახოო. თავი გავიქნიე. არა-მეთქი ვანიშნე.

— თუ თქვენ გამოძიების მასალები მიგაჩნიათ საყოყმანოდ, აგერ ისინიც, შეამოწმეთ!

მან ბრტყელი საქაღალდე გამომიწოდა.

— შემდეგ წავიკითხავ. — ვთქვი. — შეიძლება შემთხვევის ადგილი დავათვალიეროთ?

— იოლი სამსახურია! — აშკარა ირონიით მითხრა გამომძიებელმა.

— ამირან!.. — მომიბრუნდა, როცა კარადაში თოფი შეინახა და საქაღალდეც უჯრაში ჩაკეტა. — თქვენ ეჭვი გეპარებათ კეთილაძის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებაში? იცოდეთ — ეს აბსურდია.

— რაკი მეკითხებით, დასკვნების გამოტანას ნუ ჩქარობთ. აბსურდი იქნებ მარტოოდენ ფაქტებზე დაყრდნობით მსჯელობა იყოს.

— არა, მაპატიეთ, — თქვა მან გულწრფელი მონანიებით. — საეჭვოდ თუ მიგაჩნიათ-მეთქი?

— ჰოც და არაც, საერთოდ ვნახოთ. — ვუპასუხე.

4.

ვიცოდი, რომ ანზორის დაკითხვა არაფერს მომცემდა. მის ჯიუტ ხასიათს ანგარიშს თუ არ გავუწევდი, ახლანდელი მისი მდგომარეობა საგულისხმო იყო. თუ ის მართლაც დამნაშავედ გრძნობდა თავს, მეც ამას მეტყოდა, ხოლო თუ დაჟინებით აკვიატებულ „მე ვარ მკვლელიო" მომახლიდა, გარემოებას ეს არ შეცვლიდა.

გამომძიებელ შალვა გომართელს ვთხოვე და საპატიმროში წავედით. იქ უკვე მიეყვანათ ჟორჟიკაძე და კახი მამულაძე.

მოსკოვში მომხდარი ინციდენტის ღრმად გაცნობა მგონი მეტ შუქს მოჰფენდა საქმეს. აქედან დავიწყოთ-მეთქი, შევუთანხმდი გამომძიებელ გომართელს.

— რომელი გამოვიყვანოთ? — იკითხა მორიგემ.

— არ ვიცი, მგონი ჟორჟიკაძით რომ დავიწყოთ, აჯობებს.

— ჰოდა ჟორჟიკაძით დავიწყოთ!

ხუთიოდე წუთის შემდეგ დაბღვერილი ჟორჟიკაძე ჩვენს ოთახში შემოიყვანეს.

— რის მოსკოვი, როდის ვიყავი მოსკოვში?! — გაკვირვებულმა გვიპასუხა შეკითხვაზე.

მიეხვდი, რომ ვახტანგი არც ისეთი გამოცდილი იყო, როგორც წარმოედგინა თავი.

— იცი რა, ჩვენ მგონი თხუთმეტი წლის წინათ ვთამაშობდით კუკუმალობას. თუ გსურს, მე მოგიყვები ყველაფერს, ამ ქალს იცნობთ? — ჯიბიდან კეთილაძის დედის სურათი ამოვიღე.

— ვიცნობ, ანზორის დედაა.

— რა საბუთით მოსთხოვეთ ამ ქალს ექვსასი მანეთი?

— მე არაფერი არ მომითხოვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მამულაძემ ხომ არ მოსთხოვა?

ვახტანგი ოდნავ შეცბა, სკამზეც შეირხა, თითქოს რაღაცას იგონებსო, დაფიქრდა.

— ვინ მამულაძე, ანზორის დედასთან მე და ვაჟა ვიყავით.

— მამულაძე ქუჩაში გელოდებოდათ, — არ მოვეშვი მე. სწორედ მოვიქეცი, რომ მამულაძის ხსენება გადავწყვიტე.

ვახტანგი კვლავ შეირხა სკამზე.

— რას გადამეკიდეთ, არ ვიცნობ-მეთქი მამულაძეს, ანზორის დედასთან კი ვაჟამ მიმიყვანა, ანზორისთან რაღაც ანგარიში მაქვსო.

— ანზორი რომ მოსკოვში დატოვეთ, მილიციაში, დედამისს რას ემართლებოდით?

— ხომ გითხარი, არაფერი ვიცი-მეთქი.

ჟორჟიკაძეს გულგრილად შევხედე — და ვაგრძნობინე, რომ ჩემთვის ცნობილი იყო მათი ხრიკები კეთილაძის დედასთან.

საქმე იმაში იყო, რომ მოსკოვში კეთილაძის გაძარცვის შემდეგ ჯანგიძემ მოაწყო ჩხუბის ინსცენირება, ვითომდა ანზორის მოთავეობით. ჩხუბი რესტორანში მოხდა. შემთხვევის ადგილზე გამოძახებულმა მილიციამ დააპატიმრა კეთილაძე და საავადმყოფოში გაგზავნა „დაზარალებული“ ჟორჟიკაძე.

ჟორჟიკაძე იმავე საღამოს გამოიპარა საავადმყოფოდან. დაზიანებულ თვალზე სახვევდადებული მეორე დილით ჯანგიძესა და მამულაძესთან ერთად გადმოფრინდნენ თბილისში, ეწვივნენ ანზორის დედას და მოსთხოვეს ექვსასი მანეთი მოსკოვში ჩხუბისათვის დაპატიმრებული ანზორის „გამოსახსნელად“.

— მაშ ვაჟამ მიგიყვანა? არც მამულაძეს იცნობ და არც სტუმრობის მიზეზის შესახებ იცი რამე?

— არ ვიცი-მეთქი. ეს კი იყო, ანზორმა რაღაც ფული წაართვა ჯანგიძეს მოსკოვში.

— ჯანგიძეს წაართვა თუ ჯანგიძემ წაართვა, შენი და კახი მამულაძის წყალობით?

— ქურდობასაც ჩვენ გვაბრალებთ? — საოცარი აფექტით იკითხა.

— შენი აზრით ვის უნდა დაბრალდეს?

— დაბრალდეს კი არა, კეთილაძემ გაგვძარცვა, ჩვენ ნასესხები ფულით დავბრუნდით უკან.

— შემოიყვანეთ კახი მამულაძე! — ვთხოვე მორიგეს.

მამულაძის ხსენებაზე ჟორჟიკაძე დაფეთებული წამოვარდა. კარებში თავდახრილი მამულაძე გამოჩნდა.

— თავი ასწიეთ, მამულაძე! — ვუთხარი პატიმარს.

მამულაძემ თავი ასწია და გაოცდა. ალბათ არ მოელოდა ასე მალე ჟორჟიკაძესთან შეხვედრას.

— იქნებ მოიგონოთ, ვინ არის? — შევეკითხე ჟორჟიკაძეს.

იგი ხმას არ იღებდა. მორიგემ მამულაძე გაიყვანა.

— დაფქვა! — წაისისინა ჟორჟიკაძემ.

— როგორ ხედავთ, თქვენი საიდუმლო არც ისე მოხერხებულად ყოფილა შენიღბული!

ჟორჟიკაძე დაპატარავდა, თითქოს ზღარბი ყოფილიყოს და მოახლოებული საშიშროება ეგრძნოს.

— ჯანგიძემ შემაცდინა, იმან დამღუპა! — დაიწყო დაჟეჟილი ხმით. — ერთი თვის წინათ მოსკოვში ჯანგიძეს შევხვდი. მითხრა, ერთ საქმეს ვაპირებ და უნდა მომეხმაროო.

— ეს არ არის საჭირო, ჩვენ უშენოდაც ვიცით, რომ ფული შენ მოიპარე მაშინ, როცა ანზორი და ვაჟა რესტორანში ისხდნენ. ამაზე გამომძიებელს მოახსენებ დაკითხვისას, — შალვას გადავხედე. იგი მდუმარედ იჯდა.

— მე სიმართლე მინდა მოვახსენო გამოძიებას, — წაიბუზღუნა მან.

— მეორე დღეს, — განაგრძო ჟორჟიკაძემ, — ანზორი როგორც „საამაყო“ ქართველი და კონკურსის გმირი რესტორანში დაპატიჟა ვაჟა ჯანგიძემ. სასმელში ჩაუყარა ძილის მომგვრელი ფხვნილი და ჯიბიდან ოთახის გასაღები ამოაცალა. ამ გასაღებით მე დაუბრკოლებლად გავაღე კეთილაძის ნომერი და გავიტაცე ფული.

მაგრამ ამით არ დამთავრდა ყველაფერი, კეთილაძემ არ დაკარგა გონება, როგორც ეს ჯანგიძის გეგმით უნდა მომხდარიყო.

მისი თავიდან მოცილების მიზნით ჯანგიძემ გაითამაშა საზოგადოებრივ ადგილზე დებოშის ინსცენირება...

— შენს აღიარებას მცირე ფასი აქვს.

— მე ხომ...

— არა, ამ შემთხვევაში არა. მკვლელობის შესახებ შენ ტყუილი ჩვენება მიეცი გამომძიებელს. რატომ ელოდი ჯანგიძეს სწორედ იმ გზაზე?

— მე?! მე ველოდი?

— დიახ, შენ! — თვალი თვალში გავუყარე ვახტანგს. — ელოდი იმიტომ, რომ მას შენთვის ხუთასი მანეთი უნდა მოეტანა.

ამას ნამდვილად არ ელოდა ჟორჟიკაძე. გაოცებისაგან პირი დააღო.

ვამოძიების საქმიდან ჩანდა, რომ მკვლელობის წინადღეებში ვაჟა ბევრ ვინმეს დაესესხა ფულს. იგი ყველგან ერთსა და იმავე თანხას, ხუთას მანეთს თხოულობდა. საჭიროების მიზეზს კი არავისთან არ ასახელებდა. ამან მაფიქრებინა, რომ მას ფული ბანქოში ჰქონდა წაგებული. ვისთან? — იბადებოდა კითხვა. ვარაუდით ჟორჟიკაძეზე შევჩერდი. ის კარგ მოთამაშედ ითვლებოდა. რას უცდიდა ჟორჟიკაძე სწორედ იმ გზაზე, საიდანაც ჯანგიძის მანქანა უნდა გამოჩენილიყო?

— როდის წააგო ჯანგიძემ შენთან ის თანხა?

— მკვლელობამდე ერთი კვირის წინ, სამი დღის გადახდის ვადით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სად იდექი მაშინ, როდესაც მანქანის გადაჩეხვის ხმა გაიგონეთ?

იგი დაიბნა, ირიბულად დასმული ეგონა კითხვა და სწორ ორიენტაციას ეძებდა.

— ცრემლის წყაროსთან, — თქვა ბოლოს.

— შენ დაინახე, როგორ ესროლა კეთილაძემ ჯანგიძეს?

— დიახ, დავინახე!

— რა მომენტში?

— მივედი და ის გადაჭრილი...

— ხელში ეჭირა თოფი, არა?

— დიახ.

— მაშ შენ არ დაგინახავს თვით სროლის მოშენტი?

— ამას რა მნიშვნელობა აქვს?

— ის მნიშვნელობა აქვს, რომ ცრემლის წყაროდან საერთოდ არა ჩანს შემთხვევის ადგილი. რატომ თქვი, რომ დაინახე, როგორ ესროლა კეთილაძემ?

— თქვენ ერთი რამ გავიწყდებათ, — ფრთხილად შენიშნა მან, — რაკი თქვენთვის ცნობილია ყველაფერი, ალბათ ისიც იცით, რომ კეთილაძე ბოსკოვში დაეპატიმრეს ჩემი გალახვისათვის.

— გალახვისათვის, თუ...

— დიახ! თუ კარგად დამაკვირდებით, მე თვალში ახლაც მაჩნია სისხლის ჩაქცევის ნიშნები. ეს კეთილაძის ნახელავია.

— მას არ უნდოდა იმის დაჯერება, რომ მისი ფული ჯანგიძემ მოიპარა, არა, ჯანგიძეს კი არ შოუპარავს, მე მოვიპარე, მაგრამ ჯანგიძის დავალებით, ისინი ძმადნაფიცები იყვნენ...

— გამოდის, რომ გამოძიება შეიყვანე შეცდომაში პირადი ანგარიშსწორების მიზნით.

— დიახ, ასეა, მაგრამ პროცესამდე ჯერ კიდევ დიდი დროა. მე შევცვლიდი ჩემს ჩვენებას.

— აღიარებთ, რომ თქვენ ცრუ ჩვენება მიეცით?

— სავსებით, — სწრაფად დამეთანხმა ჟორჟიკაძე. — ვფიქრობ, რომ ჩემ მიერ აღიარებული სიმართლე...

მორიგეს ვთხოვე გაეყვანა.

— ჰოო! — თითების მტვრევით თქვა გომართელმა.

5.

მეორე დღეს შემთხვევის ადგილი დავათვალიერე. ბევრი ახალი აზრი დამებადა.

ჯანგიძის მანქანა აქ იყო გადავარდნილი? — ვკითხე შალვას.

— დიახ, და თან ჩქარი სვლით. თვლების ანაბეჭდი აჩვენებს, რომ ძრავი მაღალ გაზზე მუშაობდა, უფრო სწორად, ამუშავდა აი, ამ წერტილიდან. — შალვამ ფეხსაცმლის წვერით მაჩვენა ადგილი, საიდანაც მანქანას მაღალი სიჩქარე უნდა აეღო. ტყვიამ აქ მოუსწრო ჯანგიძეს. მან კვლავ მონიშნა ადგილი, მანქანა გადავარდნის წინ ვერტიკალურ მდგომარეობაში იყო.

— ამას ფოტოსურათი ამტკიცებს?

— დიახ, ფოტოსურათიც და ჩვენ ყველანი!

— როგორ გავიგოთ, რომ მანქანა ჩქარი სვლით გადაიჩეხა? რაკი ის ვერტიკალურად იდგა გზაზე?

შალვამ მოჭუტული თვალებით შეგომხედა.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაცია

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს რიგგარეშე პლენუმი, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ს. ქაჯაიას მოხსენება სკკპ XXIV და საქართველოს კპ XXIV ყრილობათა გადაწყვეტილებები და რესპუბლიკის სასამართლო ორგანოთა ამოცანები დანაშაულის თავიდან აცილების საქმეში. მომხსენებელმა აღნიშნა რომ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებები განსაკუთრებით დიდ როლს აკუთვნებს სამართალდარღვევის პროფილაქტიკას, მოქალაქეთა აღზრდას საბჭოთა კანონების განუხრელი შესრულებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით.

საქართველოს სსრ სასამართლო ორგანოების საქმიანობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე საქართველოს კპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს.

სკკპ XXIV ყრილობისა და საქართველოს კპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი ავალებენ საქართველოს სსრ ყველა სასამართლო მუშაკს გადაჭრით გაუმჯობესონ მუშაობა, უახლოეს ხანში აღმოფხვრან ნაკლოვანებანი, რომლებიც ჯერ კიდევ შეინიშნება დანაშაულის თავიდან აცილებისათვის წარმოებულ მუშაობაში.

ზოგჯერ სასამართლოები გამწესრიგებელ სხდომებზე ღრმად არ სწავლობენ საქმეს და არ ავლენენ იმ გარემოებებს, რომლებიც ხელს უწყობენ დანაშაულის ჩადენას და რასაც ყურადღება არ მიექცა წინასწარი გამოძიების სტადიაში. არ სახავენ ღონისძიებებს გამოძიების პროცესში ამ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მოთხოვნის მიუხედავად, სასამართლოები საქმეების გარჩევის დროს ავიწროებენ მტკიცების საგანს, კმაყოფილდებიან ბრალდებულთა ვინაობის ცალკეული მონაცემების დადგენით და არ არკვევენ იმ საკითხებს, რომლებითაც შეიძლება გამოვლინდეს და აღმოიფხვრას დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი გარემოებანი.

ზოგჯერ სახალხო მსაჯულებს დროულად არ ატყობინებენ საქმის გარჩევის თარიღს, წინასწარ არ აცნობენ საქმის მასალებს, მათ უფლებებსა და მოვალეობას, რაც იწვევს სახალხო მსაჯულთა პასიურობას. ამის გამო სახალხო მსაჯულები ნაკლებად მონაწილეობენ დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ გარემოებათა გამოვლინების აღმოფხვრის საქმეში.

ხშირად ჯეროვნად არ ფასდება საზოგადოებრიობის როლი სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვაში, ამასთან ერთად ზოგიერთ სასამართლოს მჭიდრო კავშირი არა აქვს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, არ განუმარტავს მათ სასამართლო წარმოებაში მონაწილეობისათვის წარმომადგენელთა გამოყოფის უფლებებს. არის შემთხვევები, როდესაც სასამართლოები არ აგზავნიან განაჩენების ასლებს მსჯავრდებულთა მუშაობის, სწავლისა თუ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მიუხედავად არაერთგზის მოთხოვნისა, ჯერ კიდევ მცირე რაოდენობით ეწყობა გამსვლელი სესიები და საქმეთა განხილვა ბრალდებულთა მუშაობისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ზოგიერთი სასამართლო ჯერ კიდევ შეუფასებლობას იჩენს კერძო განჩინებების როლისადმი. რესპუბლიკის სასამართლოები არასაკმაოდ იღებენ კერძო განჩინებებს, ამასთან ზოგიერთი უხარისხო და დაუსაბუთებელია, ხშირად მათ შესრულებაზე არ არის დაწესებული სათანადო კონტროლი.

უკანასკნელ პერიოდში მოსახლეობაში სამართლებრივი პროპაგანდის ერთგვარი გაუმჯობესების მიუხედავად არასაკმარისად ეწყობა ლექციები, მოხსენებები, კითხვა-პასუხის საღამოები სამართლებრივ თემებზე, მოსამართლეთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანგარიშები სისტემატურ ხასიათს არ ატარებს. ასეთი ღონისძიებანი ხშირად ფორმალურად ტარდება. ლექცია-მოხსენებები ეწყობა ერთფეროვნად და არასაინტერესოდ, ცალკეულ ობიექტების თავისებურებათა გაუთვალისწინებლად.

დაბალია ხარისხი იმ ლექციებისა და მოხსენებებისა, რომლებიც ეწყობა სახალხო მსაჯულებისათვის, ამხანაგური სასამართლოების წევრებისა და სახალხო რაზმეულებისათვის. რესპუბლიკის ყველა სასამართლო ორგანოსთან ჯერ კიდევ არ არის შექმნილი სახალხო მსაჯულთა საბჭო, ხოლო ბევრგან იგი უმოქმედობს.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ვ. მაისურაძემ, რესპუბლიკის პროკურორის მოადგილემ გრ. ბიწაძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. იოსავამ, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებმა ი. გოგაშვილმა, ი. ხუმბათაშვილმა, ი. ჟორდანიამ, ხ. ადამიანმა, ნ. გაჯიევმა, ნ. ერქომაიშვილმა, ა. ფალავანდიშვილმა და სხვ.

პლენუმის მუშაობის შედეგები შეაჯამა ს. ქაჯაიამ.

განხილული საკითხის გამო მიღებულ იქნა სათანადო დადგენილება.

გ. ფარულავა,
საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივნის მ/შ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროში

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს **სამუშაო** გეგმის შესაბამისად ხუთი დღე მიმდინარეობდა ახლად არჩეულ სახალხო მოსამართლეთა თათბირ-სემინარი.

თათბირ-სამინარი შესავალი სიტყვით გახსნა **საქართ**ველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილემ **გ. ცქიტიშვილმა.**

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის **ზ. რატიანის** მოხსენება „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებები და სახალხო სასამართლოების ამოცანები“. „განცხადებებისა და საჩივრების მიღება-გადაწყვეტა“, „გაფლანგვა-გატაცებით მიღებული ზიანის ანაზღაურების ორგანიზაცია“, „ადვოკატის უფლებამოვალეობები სისხლის სამართლის პროცესში“ — ასეთი იყო საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილეების **გ. ცქიტიშვილისა** და **ა. ბაიჭაძის** მოხსენებების თემები. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის **მოადგილემ გ. ოსავამ** ილაპარაკა „სამოქალაქო საქმეების მომზადებასა და განხილვაზე სახალხო სასამართლოში“, **საქართ**ველოს სსრ **პროკურორის** მოადგილემ **გრ. ბიწაძემ** — „სასამართლოებში საქმის განხილვაში პროკურორის **მონ**აწილეობის შესახებ“, საქართველოს **სსრ** პროკურატურის სისხლის სამართლის განყოფილების უფროსმა **ა. შუშანაშვილმა** — „საგამოძიებო ორგანოების მიერ დაშვებულ ხარვეზებსა და სასამართლო რეაგირებაზე“, საქართველოს სსრ იუსტიციის **სამ**ინისტროს სტატისტიკისა და სასამართლო პრაქტიკის განზოგადების განყოფილების უფროსის მოადგილემ **გ. მირიმანიშვილმა** — „სამართალწარმოების კულტურაზე“ და „სასჯელის მოხდის ადგილზე რეჟიმის შესახებ“, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსმა **კონ**სულტანტებმა **ი. დილევსკაიამ** და **ზ. ჯორჯიაშვილმა** — „საკოდიფიკაციო საცნობარო მუშაობის შესახებ“, „სახალხო სასამართლოების როლზე სამართლებრივი პროპაგანდისა და სამართლებრივი აღზრდის საქმეში“.

იურიდიული მეცნიერების თეორიისა და პრაქტიკის აქტუალურ საკითხებზე ისაუბრეს **პროფ. ბ. ფურცხვანიძემ,** იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა **ა. ფალიაშვილმა,** იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატებმა **ს. ჯაფარიძემ, გ. დევდარიანმა, ა. აბესაძემ, ლ. ზაიჩიკმა.**

თათბირ-სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ **გ. ანაშკინმა.**

თათბირ-სემინარის მუშაობა შეაჯამა ამხ. გ. ცქიტიშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუბილეო სამეცნიერო სესია

მ. წ. 15-17 აპრილს გაიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის ორმოცდამეათე წლისთავს.

სამეცნიერო სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, ჩამოსულმა სტუმრებმა, ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სახელმწიფოსა და სამართლის კათედრის გამგემ პროფ. **გ. პეტროვმა**, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს როსტოვის უმაღლესი სკოლის პროფ. **კ. ფედოროვმა**, **აგრეთვე** თსუ სტუდენტებმა.

მოხსენებით — „ქართული სამართლის ისტორიის მეცნიერების განვითარება ორმოცდაათი წლის მანძილზე“ გამოვიდა პროფ. **ი. სურგულაძე**. მან სესიის მონაწილეებს გააცნო ქართული სამართლის ისტორიის მეცნიერების მიღწევები ნახევარი საუკუნის მანძილზე. მომხსენებელმა აღნიშნა ის დიდი დამსახურება, რაც მიუძღვით ამ მეცნიერების წინსვლაში ქართული სამართლის ისტორიის ფუძემდებლებს — **ვახუშტი, ვახტანგ, დავით, იოანე** და **თეიმურაზ ბაგრატიონებს, მ. ბროსეს, დ. ბაქრაძეს, გ. თარ**ხნიშვილს, ა. ხახანაშვილს, ს. ავალიანს, ნ. მარს და სხვ. მიმოიხილა მათი ფუნდამენტური შრომები, შემდეგ შეეხო ნ. ხიზანიშვილის (ურბნელის) იმ შრომებს, რომლებიც მან ქართული სამართლის ისტორიას მიუძღვნა. მომხსენებელი ვრცლად ლაპარაკობს ქართული სამართლის ისტორიის იშვიათ ძეგლზე — ექვთიმე თაყაიშვილის მიერ აღმოჩენილ „ხელმწიფის კარის გარიგებაზე“, ი. ჯავახიშვილის ფუნდამენტურ ნაშრომზე „ქართული სამართლის ისტორია“, ს. კაკაბაძის, ა. შანიძის, ნ. ბერძენიშვილის, ალ. ვაჩეიშვილის, გ. წერეთლის, პ. ინგოროყვას, ს. ჯანაშიას, ირ. სურგულაძის, ი. დოლიძის, ვ. აბაშმაძის შრომებზე. ქართული სამართლის ისტორიის საკითხებზე გამოქვეყნებულია გ. ნადარეიშვილის, მ. ლეკვეიშვილის, მ. კეკელიას, ი. ფუტკარაძის, ნ. კორძაია-სამადაშვილის, ვ. გეწაძის, ვ. მეტრევლის შრომები.

შემდეგ მოხსენებით — „სისხლის სამართლის კანონმდებლობის შექმნა და განვითარება საბჭოთა საქართველოში ორმოცდაათი წლის მანძილზე“ — გამოვიდა პროფ. **ბ. ფურცხვანიძე.**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ორმოცდაათი წლის წინათ ქართველმა ხალხმა რუსი ხალხის ძმური დახმარებით დაამხო მენშევიკური მთავრობა. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ კატეგორიულად აიკრძალა მეფის დროინდელი კანონების გამოყენება, გაუქმდა ბურჟუაზიულ-მემამულური სასამართლო სისტემა და შეიქმნა ახალი, ჭეშმარიტად სახალხო სასამართლო. საფუძველი ჩაეყარა ახალ სოციალისტურ სისხლის სამართალს, **რომლის** ამოცანა **იყო ყოველმხრივ** და **საიმედოდ** დაეცვა **საბჭოთა** სახელმწიფოს **საფუძვლები, მშრომელთა** მასების **უფლებები** და **ინტერესები.**

პირველი სისხლის სამართლის კოდექსი მიღებულ იქნა საბჭოთა საქართველოში 1922 წელს. კოდექსში ფართოდ იყო გამოყენებული იმავე წელს მიღებულ რსფსრ სისხლის **სამართლის** კოდექსის დებულებები. იგი შეიცავდა ზოგიერთ თავისებურებებსაც, რაც გამოწვეული იყო ადგილობრივი პირობებით.

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების **სისხლის** სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების“ შესაბამისად საქართველოს სსრ **უმაღლესმა საბჭომ** 1960 **წლის** 30 **დეკემბერს** მიიღო ახალი სისხლის სამართლის კოდექსი.

რამდენადაც საქართველოს **სსრ** დამოუკიდებლად ახორციელებს საკანონმდებლო ფუნქციებს, დასახელებული **კოდექსი** **სისხლის** **სამართ**ლის მთელ რიგ **საკითხებს** **წყვეტს** თავისებურად, სხვა მოკავშირე **რესპუბლიკების** სისხლის სამართლის **კოდექსისაგან** **განსხვავებით.**

პროფ. **გ. ერემოვი** გამოვიდა მოხსენებით — მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური **რესპუ**ბლიკის **უფლებრივი** **მდგომარეობა“. მან** **აღ**ნიშნა, სსრ კავშირი **შეიქმნა** **თანასწორუფლ**ებიანი **საბჭოთა** **სოციალისტური** **რესპუბლიკ**ების ნებაყოფლობითი **გაერთიანების** **საფუძველ**ზე. მომხსენებელმა ვრცლად ილაპარაკა იმაზე, თუ **რა** **დიდი** **მნიშვნელობა** **აქვს** **სსრ** **კავშირის** **სიძლიერის** **განმტკიცებისათვის** **ეროვნებათა** **შ**ორის **თანამშრომლობას.**

პროფ. **ვ. ფარქოსაძემ** ყურადღება გაამახვილა ლენინის დიდ **დამსახურ**ებაზე **ამიერკავ**კასიის ფედერაციის **შ**ექმნის **საქმ**ეში, **აგ**რეთვე **ი**მაზე, **თ**უ **რ**ოგორი **აღ**ფრთოვანებით **შ**ეხვდა ვ. ი. ლენინი **ამ**იერკავკასიაში **საბ**ჭოთა **ხ**ელისუფლების **გ**ამარ**ჯ**ვებას. **მ**ან **მ**აშინდელი **მ**დგომარეობის **ღ**რმა **ე**კონომიური **და** **პ**ოლიტიკური ანალიზის **საფ**უძველზე **გ**ონივრულად **გ**ანსაზღვრა **ი**მ **გ**ადაუდებელი **ა**მოცანების **გ**ადაჭრის **აუ**ცილებლობა, **რ**აც **უ**ზრუნველყოფდა **საბ**ჭოთა **ხ**ელისუფლების **შ**ენარჩუნებასა **და** **შ**ემდგომ **გ**ანმტკიცებას **ა**მიერკავკასიის **რ**ესპუბლიკებში.

პროფ. **ბ. ხარაზიშვილი** **გ**ამოვიდა **მ**ოხსენებით — „**დ**ანაშაულის **ჩ**ადენის **პ**ირობების **ც**ნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა". მან ამომწურავად ილაპარაკა დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ პირობებზე და მისი თავიდან აცილების საშუალებებზე.

პროფ. ე. ნეიძე თავის მოხსენებაში შეეხო შრომის კანონმდებლობის საკითხებს, მის წარმოქნასა და განვითარებას საბჭოთა საქართველოში. კანონმდებლობა წინა პლანზე აყენებს მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მატერიალური წახალისების საფუძველს, ხელს უწყობს შრომის დისციპლინის განმტკიცების ამოცანას, შრომის დაცვის პირობების გაუმჯობესებასა და მატერიალურ უზრუნველყოფას.

დოც. ვ. ლორიამ თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ 30-იანი წლების ადმინისტრაციული პრაქტიკის მიხედვით ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიეცემოდა როგორც ფიზიკური პირი, ისე საწარმო-დაწესებულება, რომელთა ხელმძღვანელობას ბრალი მიუძღოდა გადაცდომაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 21 ივნისის ბრძანებულებამ არსებითად შეცვალა ეს წესი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ადმინისტრაციული საქმის წარმოების შესახებ არსებული კანონმდებლობა ჯერ კიდევ მოითხოვს შემდგომ განვითარებას. ამჟამად ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს საკოდიფიკაციო მუშაობა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით. ამან, უეჭველია, ზეგავლენა უნდა მოახდინოს ადმინისტრაციულ-პროცესუალური კანონმდებლობის კოდიფიკაციაზე.

პროფ. შ. ჩიკვაშვილი თავის მოხსენებაში შეჩერდა საბინაო კანონმდებლობის საკითხებზე.

დოც. მ. კეკელიამ ილაპარაკა ვახტანგ VI სამართლის წიგნის შედგენილობაზე. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ვახტანგ VI სამართლის წიგნი თავდაპირველად 224 მუხლს შეიცავდა, 225-დან 270 მუხლამდე კი შემდეგ შეივსო სასამართლო პრაქტიკის მეშვეობით.

ხელნაწერი, რომელიც მიჩნეულია ვახტანგ VI-ის მიერ რედაქტირებულად (ხელნაწერი, ინსტიტუტი, S—3683) ახლავს სოლომონ მაღალაძის მიერ გადაწერილი საძიებელი, ზანდუკი, ხელნაწერთა ინსტიტუტში მოიპოვება აგრეთვე S—1457-ით აღრიცხული საძიებლის ნაწილი სათაურით: „ზანდუკი სასამართლოს წიუნისა სრული." მისი გადამწერის ვინაობა უცნობია.

როგორც S—3686 ხელნაწერთან, ასევე მაღალაძის ხელით დაწერილ სხვა საბუთებთან შედარებით დასტურდება, S—1457 ზანდუკიც მაღალაძის ხელითაა შესრულებული. უფრო მეტიც, იგი S—3686 კრებულისათვის დართული ზანდუკიდან გადაუწერია, რომელშიც სჯულმდებელ მეფეს საკუთარი ხელით შეუტანია ზოგიერთი ჩასწორება.

S—1457 ხელნაწერში მოიხსენება ვახტანგის სამართლის წიგნის „სიე", „სივ" (3V), „სკმ"(8V) და სხვ. მუხლები. ეს კიდევ ერთი საბუთია იმის ნათელსაყოფად, რომ 204 მუხლების შემდგომი მუხლებიც ვახტანგის სამართლის წიგნის განუყოფელი ნაწილი იყო თვით სჯულმდებელი მეფის სიცოცხლეშივე და თუ სამართლის წიგნის არქიტექტონიკა შეუსაბამობას ამჟღავნებს, ამის მიზეზი სხვაგან უნდა ვეძიოთ.

პროფ. ნ. ლომსაძემ ისაუბრა საადგილმამულო კანონმდებლობაზე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში.

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ლ. ადეიშვილმა ილაპარაკა მუშა-მოსამსახურეთა შრომითი უფლებებსა და გარანტიების გაფართოებაზე.

სამეცნიერო სესიის დასასრულს პროფ. მ. პეტროვმა მოკლე სიტყვაში იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს მიულოცა საბჭოთა საქართველოს ორმოცდაათი წლისთავი და გადსცა ლენინგრადის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მისასალმებელი აღრესი ვ. ი. ლენინის დიპლომის ფოტოპირით.

პროფ. კ. ფედოროვი თავის გამოსვლაში შეეხო ქართული საზოგადო მოღვაწეების როლს 1924 წლის კონსტიტუციის შემუშავებაში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით მან ფაკულტეტის ხელმძღვანელობას გადასცა ფასიანი საჩუქარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ალკკ საჩხერის რაიკომის აქტივის კრება

მიმდინარე წლის 21 ივნისს გაიმართა საქართველოს ალკკ საჩხერის რაიკომის აქტივის კრება, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ აგრეთვე პარტიული, სამეურნეო და საბჭოთა მუშაკები.

მოისმინეს საქართველოს ალკკ საჩხერის რაიკომის პირველი მდივნის თ. ტრაპაიძის მოხსენება — „დამნაშავეობასთან ბრძოლაში რაიონის პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ“.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: საჩხერის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა ა. დეკანოიძემ, საჩხერის ა. წერეთლის სახელობის საშუალო სკოლის პიონერხელმძღვანელმა რ. დეკანოიძემ, ჭალის საშუალო სკოლის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორმა ჭ. აბაშიძემ, შინაგან საქმეთა საჩხერის რაიგანყოფილების ბავშვთა ოთახის ინსპექტორმა ს. ბარბაქაძემ, ორღულის საკოლმეურნეო პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა ც. დეკანოიძემ, საჩხერის საბავშვო ბიბლიოთეკის გამგემ ლ. პარკაძემ, ჩიხის საკოლმეურნეო პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა გ. იაკობაშვილმა, მახათაურის საკოლმეურნეო პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა ბ. გოგოლიძემ, საჩხერის რაიონის განათლების განყოფილების პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანმა კ. ტაბატაძემ, შინაგან საქმეთა საჩხერის რაიგანყოფილების უფროსმა მ. ყიფიანმა. შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ საჩხერის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. შ. ჭიღლაძე.

განხილულ საკითხზე კრებამ მიიღო სათანადო დადგენილება და მიმართვა რაიონის ახალგაზრდობისადმი.

გ. ჟვანია—კოსმოსური სამართლის საერთაშორისო ინსტიტუტის წევრი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის განყოფილების გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი გ. ჟვანია გასული წლის ნოემბერში არჩეულ იქნა კოსმოსური სამართლის საერთაშორისო ინსტიტუტის წევრად. ინსტიტუტი სამეცნიერო დაწესებულებაა და არსებობს ასტრონავტიკის საერთაშორისო ფედერაციასთან. მისი ადგილსამყოფელია პარიზი.

1958 წლიდან გ. ჟვანია არჩეულია აგრეთვე საერთაშორისო სამართლის ასოციაციის წევრად. ასოციაციაში კოლექტიურ წევრად შედის საერთაშორისო სამართლის საბჭოთა ასოციაცია, ხოლო ინდივიდუალურ წევრებად საბჭოთა კავშირიდან არჩეულია 24 იურისტი. ასოციაციის ადგილსამყოფელია ლონდონი.

1965 წელს გ. ჟვანია მონაწილეობდა დემოკრატ-იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის VIII კონგრესის მუშაობაში (კონგრესი შედგა ქ. ბუდაპეშტში).

ᲤᲐᲡᲘ 50 ᲙᲐᲞ.

ИНДЕКС 76185

СОВЕТСКОЕ ПРАВО № 3

(на грузинском языке)

Орган Министерства Юстиции ГССР, Прокуратуры ГССР
и Верховного Суда ГССР